

პატრიარქი


ჯვარისმცვირთველო ქართველი ერის,
ღმერთმა ინება კურთხევა შენი...



უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II

1977 წლის 23 დეკემბერი. თბილისი. სიონის საკათედრო ტაძარი.
საქართველოს ეკლესიის XII კრება. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი
ილია (ირაკლი ლუდუშაური-შიოლაშვილი) აირჩიეს სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.





● 3.4 1977 წლის 23 დეკემბერი. თბილისი. სიონის საკათედრო ტაძარი. საქართველოს ეკლესიის XII კრება. შოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმიდესი პიმენი, ალექსანდრიის, რუსეთის, ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენელი საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებთან და მოწვეულ დელეგატებთან ერთად.

საოცარია განგება ღვთისა. არც მის მონყალებას აქვს საზღვარი. ჭეშმარიტად, უფლის განგებამ და მისმა მონყალებამ დააყენა თქვენს წინაშე ჩემი სიმდაბლე, როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მამამთავრისა.

მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს, ღვთის ამ წმიდა ტაძრის თალებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა.

მუხლს ვიყრი მისი ძლიერების წინაშე და თაყვანს ვცემ მარადიული ნათლით მოსილ ხსენებას მისას.

თავს ვხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის – ქართველი ერის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და გონება.



● 5.6 1977 წლის 23 დეკემბერი. თბილისი, სიონის საკათედრო ტაძარი. საქართველოს ეკლესიის XII კრება. ახლადარჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.



- - 1977 წლის 25 დეკემბერი. მცხეთა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. საქართველოს XII საეკლესიო კრების მიერ ახლადარსებულ უშირველეს იერარქს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა ისტორიულ შიტრას ადგამს ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი (ცერცვაძე), მარჯვნივ მანგლელი ეპისკოპოსი ვაიხაია (დიონაძე).



1977 წლის 25 დეკემბერი. მცხეთა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. საღმრთო ლიტურგია.

შევთხოვ დედა ღვთისას, მეოხს წინაშე უფლისა, რომ მან ჩვენს ერში რწმენა და სიყვარული გააძლიეროს, რადგან სწორედ რწმენა და სიყვარულია ის ორი ძალა, რომელსაც საქართველოს გადარჩენა შეუძლია.







- 11 კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მშობლები და ძმები. 1932 წ.
- მამა – გიორგი ლუდუშაური-შიოლაშვილი.
- დედა – ნატალია კობაიძე.
- ძმები – თეიმურაზი, შოთა და ვიქტორი.



● 12. სალოცავი კუთხე შშიბლიურ სახლში.

არ მახსოვს ჩემი თავი უფლისადმი რწმენისა და სიყვარულის გარეშე... თვით ჩემი ოჯახი იყო მორწმუნე და მშობლები ბავშვობიდანვე გვინერგავდნენ ღვთის სიყვარულს. სახლში მუდამ გვექონდა ხატები, აუცილებლად ენთო კანდელი, ყოველ შაბათ-კვირას ეკლესიაში დავდიოდით. სახლშიც ვლოცულობდით. როგორც წესი, საღამოს ყველანი ერთად ძილის წინ ლოცვებს ვისმენდით.

ჩემი ბავშვობა დაემთხვა საქართველოს ეკლესიისთვის მეტად მძიმე პერიოდს. სამღვდელოება იღვენებოდა. ეკლესიები იხურებოდა. ხალხს წირვა-ლოცვაზე დასწრების უმინოდა. ჩვენს სახლს ხშირად აფარებდნენ თავს დევნილი სასულიერო პირები, თვეობით რჩებოდნენ ისინი ჩვენთან და წარუშლელ კვალს ტოვებდნენ პირადად ჩემს აზროვნებასა და ბუნებაზე.




● 13. მოსკოვის სასუდიაერო სემინარიის სტუდენტი ირაკლი დუღუშეური-შიოლაშვილი დედამისეულებთან და რძადიანს ერთად. 1953 წ.



● 14. კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის შვიბლები, თჯახის ანლიბელი მოძღვარი და მისეუილი.



● 15. მღვდელი გიორგი (მალანია), რომელმაც ჯვარი დაწერა კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის შვიბლებს.



● 16. კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის შობილებს მიერ 1947 წელს აშენებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველის სახელობის ტაძარი ქ. ვლადიკავკაზში.



● 17. ვლადიკავკაზი. შობილებს მიერ აშენებული ტაძრის 50 წლისთავზე წირვას აღავლენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. 1997 წ.



- 18. წარწერა ტაძარზე, სადაც აღნიშნულია, რომ ეკლესია თავდაპირველად აიგო 1947 წელს გიორგი და ნატალია შიოლაშვილების დედაწლით.



- 19. ვლადიკავკაზი. განასლებული ტაძარი, რომელიც აშკაბად დგას კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მშობლების მიერ აგებული ეკლესიის ადგილზე. 1997 წ.



● 20. არქიმანდრიტი ტარასი (კანდელაკი), რომელმაც ქრისტეშობის დღესასწაულზე მონაღლა ხაში დღის ყრმა ირაკლი ღუდუშაური-შიოლა-შვილი, მარცხნივ კათოლიკოს-პატრიარქის ნათლია მონაწილი ზოილე (დვალისვილი). 1933 წ.



● 21. მიტროპოლიტი ილია ნათლიასთან – ივუშენია ზოილესთან ერთად. 1976 წ.




○ 22. მარჯვენა რიგში, მეორე მერხზე, მე-6 კლასის მოსწავლე ირაკლი ღუდუშაური-შიოლაშვილი. 1947 წ.



● 23. სკოლის მოსწავლე ირაკლი ღუდუშაური-შიოლაშვილი 1949 წ.



● 24, 25, 26, 27 სტუდენტობის
წლები. 1952-1960 წ.წ.



● 28 მოსკოვის სასულიერო აკადემიის მე-12-ე გამოშვება.
1956-1960 წ.წ.



● 29.30 იეროდიაკონი ილია. 1957წ.



● 31. მღვდელმონაზონი ილია. 1959 წ.



● 32. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II და იღუმენი ილია. 1961 წ.



● 33. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II და არქიმანდრიტი ილია მასპინძლობენ სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოს ვაზგენ I-ს. 1962 წ.



● 34. არქიმანდრიტი ილია. 1963 წ.



● 35. უემოქმედელი ეპისკოპოსი ილია. 1965 წ.



● 36 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ევრემ II-სთან ერთად. 1965 წ.



● 37 იმ დროისათვის საქართველოში მოქმედი ერთადერთი სასულიერო სასწავლებლის – შცხეთის სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი, ეპისკოპოსი ილია. 1965 წ.

○ 38. მცხეთის სასულიერო სემინარია.
სრულიად საქართველოს კათოლიკოს
- პატრიარქი ევგენე II და მიტრო-
პოლიტი ილია გამოცდაზე. 1969 წ.



● 39. ყაზბეგის რაიონი. სოფელი სნო.
პარაკლისი წმიდა ათინოგენის ხსენების
ღღეს. 1970 წ.



● 40. სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ევგენე
II-სთან ერთად. 1971 წ.





● ქ. თბილისი. სიონის საკათედრო ტაძარი. საქართველოს ეკლესიის XI კრება. ახლადარსებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V (დეკლარიანი). მარჯვნივ საქართველოს მომავალი პატრიარქი ილია II, მარცხნივ რუსეთის მომავალი პატრიარქი ალექსი II. 1972 წ.



● 42.43. იმილიში. სიონის საკათედრო ტაძარი. საქართველოს ეკლესიის XI კრება. 1972 წ.




● 44. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმიდესი ბიმენი და შიტრობოლიტი ილია მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში. 1972 წ.



● 45. შიტრობოლიტი ილია ქრისტიანთა სამშვიდობო კონფერენციაზე ზაგორსკში. 1973 წ.



● 46. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-სთან ერთად. 1976 წ.



● 47.48.49. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V და მიტროპოლიტი ილია მასპინძლობენ ბულგარეთის პატრიარქს, უწმიდეს მაქსიმეს, 1976 წ.



● 50. ალექსანდრისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი უნეტარესი ნიკოლოზ VI სტუმრად ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში მიტროპოლიტ ილიასთან. 1977 წ.




● 51. თბილისი. მიტროპოლიტი ილია სიმენთა პატრიარქ-კათოლიკოს ვაზგენ I-თან ერთად. მარცხნივ მიტროპოლიტი ზინობი (ჭაჭუგა), რომელმაც მომავალი კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ბერად აღკვეცის საიდუმლო შეასრულა. 1977 წ.



• 52.53.54. შეუფე ილია



უსაზღვრო სევდა მოეფინა დღეს ჩვენს ეკლესიას, რადგან ფიზიკურად განგვეშორა რწმენით, სიყვარულითა და სასოებით აღვსილი მზრუნველი მამა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და ენერგია შესწირა ქართველ ერს, ბრწყინვალე შარავანდედით მოსილ უძველეს ივერიის ეკლესიას. ახლა, მწუხარების ჟამს, უპირველეს ყოვლისა გვახსენდება მისი სულიერი სწავლებანი, გვახსენდება ის ღვთისსათნო საქმენი, რომელიც მან აღასრულა.



© 55, 56. თბილისი. სიონის საკათედრო ტაძარი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის (დევდარიანი) პანაშვიდი. 1977 წ.





● 57.58 ბათუმი. 1989 წ.



ა 59 სხალოა. 1989 წ.

საქართველოს ეკლესია 2000 წლის ისტორიას ითვლის. პირველ საუკუნეში აქ, ამ წმიდა ადგილზე, აჭარაში, ქადაგებდნენ წმიდა მოციქულები – ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. აჭარაა დღევანდელი საქართველოს ქრისტიანული ფუძე, ქრისტეს ნათელი ლაზეთთან ერთად სწორედ აქედან გავრცელდა მთელს საქართველოში.



© 60-61 სვგთბ. 1989 წ.





⊙ 62 ბათუმი, 1989 წ.

ნუ შეგვაშფოთებს და სასონარკვეთილებაში ნუ ჩაგვაგდებს დღევანდელი ჩვენი მძიმე ყოფა, რადგან ხშირად განსაცდელი მშვიდობისა და კეთილდღეობის წინამორბედი. გავიხსენოთ, როგორ შესცვალა სიხარულმა მაცხოვრის ჯვარცმით გამოწვეული მწუხარება, დამცირება დიდების საწინდრად იქცა, სიკვდილმა უკვდავებას დაუთმო გზა.



© ილია სხელია. 1989 წ.

ყოველი განსაცდელი ან გაჭირვება ღრმა აზრს შეიცავს და თავისებურ ხიბლს ატარებს. ტკივილის შემდეგ აუცილებლად მოდის შვება, მოულოდნელი სიხარული და – პირიქით, რაც აწონასწორებს ჩვენს ცხოვრებას. ამიტომაც ამბობენ არაბები: „გამუდმებული შზიანი დღეები უდაბნოს ქმნიან“, და მართლაც, ადამიანები, რომელნიც მწუხარების გარეშე განლევენ ნუთისოფელს, ხშირად უდაბნოს ემსგავსებიან. მუდმივი წარმატებისა და წინსვლის საფრთხე კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი პიროვნებაში ამპარტავნებას, დამოუკიდებლობის გრძნობას აძლიერებს და აღვივებს ცრუ აზრს, თითქოს ღვთის დახმარების გარეშე გვექონდეს უნარი ვიყოთ განმგებელნი ჩვენი ყოფისა.

მხოლოდ განსაცდელის ჟამს ვაცნობიერებთ ხოლმე, რამდენად უსუსური და უმწიონი ვართ და როგორ აუცილებლად გვეჭირდება შენევნა ღვთისა.



...ს ხალხია, სულის მისახსენებელი პანაშვიდი 19 აპრილის ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილ-თათვის. 1989 წ.

19 აპრილს აქ წარმოდგენელი ტრაგედია დატრიალდა...

დღეს სრულიად საქართველო კვლავ გლოვობს. 9 აპრილი და 19 აპრილი ის თარიღებია, რომლებიც მუდამ ემახსოვრება ჩვენს ერს. ეს არის გლოვის და ამავე დროს სულიერი ერთობის დღე. ამ მწუხარებამ ჩვენ გაგვაერთიანა.



● 65 სხელია. 1989 წ.

ადამიანები ხშირად გაურბიან სიკვდილზე ფიქრს, რაც არასწორია. სიკვდილი გარდაუვალი რეალობაა, იგი ახალი სიცოცხლის დასაწყისი და ღმერთთან შეხვედრის საწინდარია. ვაი მას, ვინც არ ემზადება ამისთვის, ვისაც არ ახსოვს თავისი ამქვეყნიური დანიშნულება და მხოლოდ მიწიერ გულისთქმათა დაკმაყოფილება გაუხდია ცხოვრების მიზნად.

ამქვეყნიური ყოფა მხოლოდ დროებითი მოვლენაა, იგია გამოცდა ჩვენი სულისა, მოსამზადებელი საფეხური მარადიულობისა, რომელთანაც თითოეული განვლილი დღე სულ უფრო მეტად გვაახლოებს.





● სე. დათვი. 1989 წ.





● 71.72.73.74 ბათუმი. 1990 წ.

ღმერთმა მოგვცეს უნარი სწორად ხედვისა, ღმერთმა მოგვცეს მაღლი
ჭეშმარიტებასთან ზიარებისა და მამინ ჩვენ ნამდვილ თავისუფლებას
მოვიპოვებთ.



● 75.76 ბათუმი. მოსუცებულთა და ინგალიდთა სასლში. 1996 წ.



● 77 ბათუმი. 1996 წელი.



● 78 სიხუმი. 1978 წ.

მახსოვს ჩემი ჩამოსვლა აფხაზეთში. როგორც მღვდელმთავარმა პირველად 1965 წელს მიემართე აქაურ მკვიდრთ და დღემდე არ მაფიქვდება ის სითბო, გულითალობა და სიკეთე, რაც მაშინ ვიგრძენი, როცა ვიყავი ეროვნების განურჩევლად აქ მოსახლე მართლმადიდებელ ქრისტიანეთა სულიერი მამა.



● 79 სიხუმი. 1979 წ.



● 80 გაგრა. 1990 წ.

ჩვენ შეიძლება განსხვავებული სურვილები გვქონდეს, განსხვავებული იყოს ჩვენი აზრები, მაგრამ სამართლიანობა, ღრმა ანალიზის უნარი და სიყვარული მუდამ უნდა იყოს ჩვენი თანმდევი, ესაა საფუძველი მშვიდობისა და ურთიერთგაგებისა, როგორც ცალკეულ პიროვნებებს, ისე ხალხებს შორის.



● 81 განთიადი. 1990 წ.



● 2 კომანი. წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის კურთხევა. 1990 წ.





© 82.84.85 კომანი. წმიდა ვახლისკის წყაროსთან. 1990 წ.

უფალმა დაიცვას და დაიფაროს საქართველო ხილული და უხილავი მტრისაგან, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა გადააფაროს თავისი დედობრივი კალთა სრულიად საქართველოს, ამინ.



● სვ ბოდბე. წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში. 1990 წ.

საქართველოს განმანათლებელი წმიდა ნინო ჩვენი ერის მფარველია და იგი დღესაც აგრძელებს თავის დიდ მოღვაწეობას ჩვენს ქვეყანაში. არ უნდა ვიფიქროთ, რომ წმიდა ნინომ IV საუკუნის დასაწყისში იქადაგა და ამით დაამთავრა თავისი მოციქულებრივი ღვაწლი. წმიდა ნინო ვაზის ჯვრით, დღესაც დადის ყველა კუთხეში და მფარველობს სრულიად საქართველოს.



● 87 ბოდე. 1990 წ.



● 88 ბოდე. წმიდა ნინოს ხაფიაჯიანი. 1990 წ.



● 88 წვარელი. ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. 1984 წ.



● 89 წვარელი. ილიაობა. საღმრთო ლიტურგია. 1989 წ.



● 91 წვარელი. 1989 წ.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა იწყება საქართველოსთვის საბედისწერო ჟამს, როცა ჩვენმა სამშობლომ დაკარგა სახელმწიფო-ებრივი დამოუკიდებლობა, როცა საქართველოს ეკლესიას მოჰკვეთეს თავი და დაუმორჩილეს რუსეთის ეკლესიის სინოდს, როცა ერის სული იყო ჩამკვდარი, სინმიდემლახული, ბეთლემი – უკაცური.



92. ყვარელი. 1989 წ.




93, 94. ყვარელი. 1989 წ.



● 95. 96 დავითგარეჯი. დავით გარეჯელის სახელობის შაჰათა მონასტერი.
ღვთისმსახურების აღდგენის დღე. 1989 წ.



● 97 დაფოტარეჯი. იონე ნათლისმცემლის
სახელობის უდაბნო. 1989 წ.



● 98.99 დაფოტარეჯი. 1989 წ.



● 100.101 ივანეთი. 1989 წ.



● 102 შირვანა. ფიროსმანის მუზეუმი. 1989 წ.




● 103 თელავი. 1989 წ.



● 104 ნუკრიანი. 1989 წ.



● 105 სივარეჯო. 1989 წ.



● 106 სივარეჯო. 1989 წ.

ქრისტიანული სარწმუნოების ღრმად გაცნობიერება საშუალებას იძლევა, ჩვენდეთ ისტორიის ფილოსოფიურ შინაარსს, ისტორიულ მოვლენათა მისტიურ არსს. არ შეიძლება წარსულისა და მომავლის გარეშე მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრება. ისტორიული გამოცდილების გააზრება და გათვალისწინება ყოველად აუცილებელია. ამიტომაც, სულიერი თვალთ ღრმად უნდა შევისწავლოთ წარსული, რომ სამომავლოდ სწორი დასკვნები გავაკეთოთ.



○ 107 ხაშვი. 1989 წ.



● 108 გრემი. 1989 წ.

მთელი ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება მზადებაა უფალთან შესახვედრად. თუ ადამიანი არ ხდება პროცესი სულიერი განწმენდისა და ფერისცვალებისა, ეს შეხვედრა სამწუხარო შედეგით დასრულდება. მიუხედავად იმისა, სწამს თუ არა ღმერთი პიროვნებას, უნდა მას თუ არა წარდგომა წინაშე უფლისა, ეს შეხვედრა აუცილებლად მოხდება; მან პასუხი უნდა გასცეს შემოქმედს, ყველა თავისი საქციელის გამო, რათა საუკუნო ნეტარება ან მარადიული ტანჯვა დამსახურებისამებრ მიეგოს.



● 109 გურჯაანი. 1989 წ.

ეკლესია სხეულია ქრისტესი. მისი დანიშნულება სწორედ ისაა, რომ უმკურნალოს ცოდვით დამძიმებულ და დასნეულებულ ადამიანის სულს. სულიერი ფერისცვალება მხოლოდ ეკლესიაშია შესაძლებელი, რადგან სულიწმიდა აქ მოქმედებს მთელი ძალით და აქ აღესრულება საიდუმლოებანი, რომელნიც განმედენ და განანათლებენ მორწმუნეთ.



● 110 ლაგოდეხი. 1989 წ.

ძალიან ხშირად ჩვენ გვიჩნდება სურვილი დედამიწაზე სამოთხის შექმნისა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დედამიწა არ არის და ვერც იქნება სამოთხე; არამედ, ეს არის ადგილი სამოთხიდან განდევნილთა.



● 111 ლაგდეზი. 1989 წ.

ჩვენ სიკვდილისა და გაქრობისათვის ნამდვილად არა ვართ დაბადებულნი. თითოეული ჩვენგანის მიზანი მარადიული სიცოცხლის მოპოვებაა, უფალთან მიახლებაა, რადგან სოცოცხლეა ღმერთში და საუკუნო ნეტარებაში. ამქვეყნიური ცხოვრება კი გამოცდაა ჩვენი სულისა.



● 112 შუამთა. 1989 წ.




● 113 წითელწყარო. 1989 წ.

ჩვენი ამქვეყნიური ყოფა რაღაც დიადისა და მარადიულის კარიბჭეა. მიწიერი ცხოვრება რთული, წინააღმდეგობებით სავსე და მრავალფეროვანია. ამ მცირე დროში უნდა მოვასწოთ სამყაროს რეალური სახის დანახვა, მისი სწორად აღქმა და, რაც მთავარია, შევძლოთ საკუთარი თავის შეცნობა. ხედავდე შენს თავს და სამყაროს ერთმანეთისაგან განცალკევებულად კი არა, არამედ ერთმანეთში: შენს თავს – სამყაროში და სამყაროს – შენში, აი, რას უნდა ვესწრაფოდეთ ჩვენ.



ფ. მ. წითელწყურის. 1989 წ.

ჭეშმარიტად რჩეულია ის, ვისაც ძალუძს თავის თავში დაიტიოს ღვთის დიდება, ვინც ჰპოვა ღმერთი და ცხოვრობს უფლის კანონებით. ასეთი ბედნიერება ულვევი და არა მინიერია, ღრმა, მარადიული და ნამდვილია. ეს არის ბედნიერება არა მარტო კეთილ დღეთა, არამედ განსაცდელით სავსე ცხოვრებისაც, იგია ბედნიერება არა მხოლოდ სიცოცხლისა, არამედ სიკვდილისაც, ბედნიერება არა დროებითი, არამედ მარადიული.



● 115 წითელწიარო. 1989 წ.

მოზარდს თავიდანვე უნდა გაუზღვივოთ წმიდა წერილისადმი მონივნება და სიყვარული, ეკლესიური ცხოვრების სურვილი. დავანახოთ სიმძიმე და დამღუპველობა ცოდვისა და ცოდვილ მიდრეკილებათა მონობისა, ვასწავლოთ გარჩევა სიკეთისა და ბოროტებისა, ვასწავლოთ სინანული, შერიგება, უნარი დანაშაულის აღიარებისა, სიმართლის დაცვისა, ისინი უნდა მივაჩვიოთ სიყვარულით ცხოვრებას, სხვისი ტკივილის გათავისებას, ზრუნვას გაჭირვებულებისა და ავადმყოფებისადმი და საერთოდ უნდა აღვზარდოთ მათში სურვილი, იცხოვრონ და იღვანონ ღმერთთან, მოყვასთან და ბუნებასთან თანხმობასა და კავშირში.



● 115 ალავერდი. 1989 წ.




● 117. 118 ალავერდი. დირსი შამის იოსებ ალავერდელის საფლავთან. 1989 წ.



● შინაგანით. 1982 წ.

ღვთის მსგავსების მიღწევა თავისუფალი ნებით ხდება. ჩვენთვის მომადლებული თავისუფალი ნება ფართო შესაძლებლობებს იძლევა არჩევანისთვის. ზოგიერთს მცდარად მიაჩნია, თითქოს ადამიანის ცხოვრების წარმმართველი ბედისწერაა, მაგრამ ეს ასე არ არის. პიროვნების მომავალი თვით მასზეა დამოკიდებული, იგი თვით ირჩევს ღვთის საუფლოსკენ ან დაღუპვისკენ მიმავალ გზას. ადამიანური ყოფის საიდუმლოებით მოცულ პროცესში, რომლის დროსაც ერთი იქცევა კენად, მეორე – აბელად, ერთის გული ივსება ღვარძლითა და სიკეთისადმი სიძულვილით, მეორისა კი – სათნოებითა და დაუშრეტელი სიყვარულით, რა თქმა უნდა, თავისუფალი ნება გადამწყვეტ როლს ასრულებს. თუკი ვალიარებთ ჩვენგან დამოუკიდებელ ბედისწერას, მაშინ ყველა ადამიანური ღირსება: სიყვარული, თავგანწირვა, თავმდაბლობა, სიმშვიდე, მოწყალება... აზრს დაკარგავს.



© 129 ზუგდიდი. 1989 წ.

ბევრმა არ იცის, რომ საქართველოში, ზუგდიდში დაცულია პერანგი ყოვლადწმიდისა მარიამისა, რომელზედაც მაცხოვრის სახეა აღბეჭდილი.


ღვთისმშობლის პერანგი უდიდესი სინშინდუა მთელი ქრისტიანული სამყაროსი. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ეს დღე უნდა აღინიშნებოდეს არა მარტო საეკლესიო დღესასწაულის სახით, არამედ იგი უნდა აქცეს საერთო – სახალხო ეროვნულ ზეიმად.



● 121 სუვერენი. 1989 წ.




● 122 ხობი. 1989 წ.



ფ. 12: მარტვილი. 1989 წ.

ეკლესია თავისებური მოსამზადებელი საგანაა, სადაც მორწმუნენი მარადიული ცხოვრების დაწყებისთვის იწვრთნებიან. ამავე დროს ეკლესია არის საიდუმლოთა აღმსრულებელი. აქ ადამიანი სულიერად იბადება, აქ ხდება მისი ფერისცვალება და სულიწმიდის ტაძრად ქცევა.



● 12: პატარა სუფუნა, 1989 წ.

ყველას დაუდგება მიწიერ ყოფასთან განშორების დღე. გარდაცვალება სინამდვილეში ხელახალი შობაა სხვა სამყაროში...

მტკივნეულია ახლობელთან განშორება, მაგრამ ცრემლებისა და მწუხარების მიღმა უნდა დავინახოთ ნათელი დაულამებელი, რომლითაც მოცულია მართლმორწმუნე განსვენებულის სული; უნდა დავინახოთ ქრისტეს მიერ სიკვდილის ძლევა და აღდგომა.



o 125.126 წალენჯიხა. დეო ქიანელის
ხასლ-მუზეუმი. 1989 წ.



● 127 მარტვილი. 1989 წ.



● 128 სენაკი. 1989 წ.



● 129 ფოთი. 1989 წ.



o სენაკი. ერთგული გმირის უფული შარტაგას დედასთან. 1998 წ.

მე მინდა ვუთხრა ყველას, აქ მყოფს და იმევეყნად წასულს (ისინიც ხომ ცოცხლებია და ესმით ჩვენი): დიდია თქვენი ღვაწლი ქვეყნის წინაშე და დიდი იქნება ჯილდოც თქვენი უფლისგან ბოძებული. თქვენ ხომ თავისუფლებისათვის, სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის, ჩვენი ნათელი მომავლისათვის იბრძოდით; თქვენ იბრძოდით წყვიადისა და უმეცრების წინააღმდეგ. ჭეშმარიტად დიდია თქვენი მსხვერპლი და ამდენად თქვენი დამსახურებაც ღვთისა და სამშობლოს წინაშე.



● 131 სენაეი. 1998 წ.



● 132 თეკლათი. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სულიერი შიშისგან არქიმანდრიტ შიო ძიძაგას ხაფლაგთან. 1998 წ.



● 133.134.135 ფოტო. 1998 წ.

პატრიარქი



- 136 გელათი. წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის საფლავთან. 1989 წ.

დავით აღმაშენებელი ჩვენს მეფეთა შორის განსაკუთრებით გამობრწყინდა სიბრძნით, დიდი სინშიდითა და სულიერი სიმტკიცით.

მისი ცხოვრება, მისი შრომა და ღვაწლი საფუძველს იძლევა განვაცხადოთ, რომ იგი იყო მეფე და სულიერი მამა სრულიად საქართველოსა.

გალობანი სინანულისანი, - ეს საოცარი ლაღადისი, შეიძლება შევადაროთ ანდრია კრიტიელის „კანონს“, ანდა ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებას“. იგი შესანიშნავი სარკეა დავით მეფის ფაქიზი სულისა...

თითქმის არ არსებობს ჩვენში მეცნიერი, მწერალი, ისტორიკოსი, რომელიც მის ნათელ პიროვნებას არ შეხებოდა, მაგრამ დღემდე კიდევ ერთი რამ არის გასაკეთებელი! უნდა შევისწავლოთ დავით აღმაშენებელი როგორც თეოლოგი, როგორც დიდი ღვთისმეტყველი.

დავით აღმაშენებელმა, ჩვენმა დიდმა წინაპარმა და დიდმა მეფემ, დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ. დავით აღმაშენებელმა მოგცეთ თქვენ და სრულიად საქართველოს ჭეშმარიტი, მტკიცე სარწმუნოება. ღმერთმა მოგმადლოთ ის სინშიდე, ის განცდა თვისთა ცოდვათა, რომლითაც ასე გამოირჩეოდნენ ჩვენი დიდებული წინაპრები.



● სტ. გელათი. 1989 წ.

გელათის აკადემია უნდა იყოს მონოდებული არა მარტო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის, არამედ სულიერი მოღვაწეობისთვისაც. მან უნდა მისცეს ხალხს ცოდნა ადამიანის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობებისა, გაუღვივოს სინანულისა და განწმენდის სურვილი და მოამზადოს ისინი მარადიული ცხოვრებისათვის...

გელათის აკადემიას უწოდებდნენ მეორე იერუსალიმს და მეორე ათენს. იერუსალიმში იგულისხმებოდა მისი მაღალი სულიერება, ხოლო ათენში – მაღალი მეცნიერული დონე.



• 138. ველაიი. 1989 წ.

მეცნიერება ღვთისგან ნაკურთხია. იგი ადამიანის, როგორც ღვთის ხატების მიღწევაა, მაგრამ ყოველწინაადა უნდა ვეცადოთ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ამ მეტად რთულ დროს სწორი მიმართულება და გამოყენება მივცეთ ადამიანის გონების ნაყოფს, უნდა ვეცადოთ, რომ მეცნიერულმა წინსვლამ ხელი არ შეუშალოს პიროვნების სულიერ განვითარებას.



● 139. გელათი. 1989 წ.



● 140. ქუთაისი. 1989 წ.

ერის სულიერი ამაღლების საქმეში დიდი როლი ეკისრება ინტელიგენციას. ჩვენ ამ მხრივ ნამდვილად გვყავს ისეთი ძალა, რომელიც შეძლებს ხალხს გაუძღვეს, ოღონდ აუცილებელია ეკლესიასთან მისი დაკავშირება, რათა ამპარტავნებამ და თვითდაჯერებამ არ იმძლავროს მასზე.



● 141.142. ქუთაისი. 1989 წ.



● 143. ქუთაისი. 1989 წ.

ჩვენთვის აუცილებელია მტკიცე სულიერი საყრდენი, სულიერ რეალობაზე დაფუძნებული საძირკველი. ამ საძირკველზე იდგნენ ჩვენი დიდი წინაპრები, ამიტომაც შექმნეს და დაგვიტოვეს ის განუმეორებელი სულიერი კულტურა, რომელიც დღესაც სიამაყით გვაფასებს.



● 144. ქუთაისი. 1999 წ.



● 145. ქუთაისი. 1999 წ.

მოგვმადლე ჩვენ, ზეციერო მოძღვარო, ჩვენთა დიდთა წინაპართა რწმენის ძალა, სასოების შეურყეველობა და მსურვალება მათი სიყვარულისა!

მოგვმადლე ნიჭი, ამქვეყნიურ ხმაურში მარადიულობის სიმშვიდის შეგრძნებისა, რათა ვისწრაფოდეთ შენსკენ და ვიხაროთ შენთან უკუნითი უკუნისამდე.



● 146. ამბროლაური. 1991 წ.



● 147.148. ჭრებელი 1999 წ.

ნუ შიშობ, იტვირთო ჯვარი, უფლის მიერ შენთვის განკუთვნილი. მაცხოვარი მოგვევლინა არა დასასჯელად და წასაწყმედად, არამედ – ხსნიათვის თაყვანისმცემელთა მისთა. იგი ყოველ ჩვენგანს განუშაბდებს ისეთ ჯვარს, რომლის ტვირთვაც ძალგვიძს, ოღონდ უნდა მივენდოთ, ვუსმინოთ და მივსდეთ მას. მხოლოდ მორწმუნედ გახდომა არ არის საკმარისი, რომ ქრისტიანი გვერქვას, რომ ეკლესიის ნაწილი ვიყოთ. აუცილებელია ხელახლა შობა, ახალ ადამიანად ქცევა, აუცილებელია ეკლესიური ცხოვრება.

ამქვეყნიური ცხოვრება – ძვირფასი ნიჭია, რომელიც ღვთისგან გვაქვს მომადლებული. ჩვენ კი მას ხშირად უაზროდ და უდარდელად ვატარებთ. ვივინყებთ რა ამქვეყნიური ცხოვრების ხანმოკლეობას, ხან წარსულზე ვდარდობთ, ხან კი მომავალს შევეყურებთ დიდი იმედით, მაშინ, როცა ანწყო, ე. ი. ჩვენი ცხოვრება, ამ უნაყოფო დარდსა და ოცნებებში გადის.



● 149. ლენინგრადი. 1999 წ.



● 150. ზესტაონი. 1999 წ.

ვინც ქრისტეს გზას დაადგება, არა მხოლოდ აუცილებლად შეიცნობს სად არის ჭეშმარიტება, არამედ ეზიარება კიდევ მას, ხოლო ჭეშმარიტებასთან ზიარება საუკუნო ცხოვრებას მიანიჭებს. ასე რომ, ვისაც თავისი ნამდვილი მოწოდების აღსრულება – სულის გადარჩენა სურს, თავდაპირველად ჭეშმარიტების გზაზე უნდა დადგეს და მერე ამ გზით ჭეშმარიტებასთან უნდა მივიდეს, რაც უკვე მიზნის მიღწევას – მარადიული ცხოვრების მოპოვებას ნიშნავს.



◉ 151. მესტია. 1999 წ.

სასოებავ და ერთადერთო იმედო ქვეყნისავ! ჰქმენ
კეთილსასწაულ და სძლიე ბოროტსა ამ სწრაფწარმავალი
სოფლისა. გვეჯერა, მოგვანიჭებ ძალას წარმატებისათვის და
მხნეობას სულიერი ფერისცვალებისათვის.



● 152 მცხეთა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. 1981წ.

თუ არა ქრისტეს მადლით მონიჭებული ძალმოსილება, როგორ შეძლებდა ურიცხვ მტერთან ბრძოლით დაღლილი ხალხი, აღუშენებინა მცხეთაში ცადაზიდული სვეტიცხოველი.

განუყოფელი კვართი უფლისა უდიდეს ძალას ანიჭებს ქართველ ერს და უდიდესი ღვაწლისკენაც მოუწოდებს: – კვართის განუყოფლობა სიმბოლოა ადამიანთა შორის ერთობისა და ღმერთთან უწყვეტი კავშირისა, ღვთისა და მოყვასისადმი სიყვარულის ამ დაუშრეტელმა წყარომ გადაგვარჩინა და მოგვიყვანა დღემდე. საქართველო, როგორც მფლობელი საკაცობრიო მნიშვნელობის სინმიდისა, მონოდებულია არა მარტო თვითონ იყოს განუყოფელი და მთლიანი ქვეყანა, არამედ სხვა ერებსაც მისცეს მაგალითი ერთიანობისა.



● 153.154 მცხეთა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. საღმრთო ლიტურგია ადელენილი დიდგორის ომის 860 წლისთავთან დაკავშირებით. 1981 წ.



● 155 მცხეთა. სამთავროს წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში. 1983 წ.



● 156 მცხეთა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ეზოში, ილია ჭავჭავაძის წმიდანად შერაცხვის დღეს. 1987 წ.



● 157 მცხეთა. სამთავროს წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის აღსაყდრების 12 წლისთავი. 1989 წ.

○ 159 ფარანის ტბა. მსვლელობა წმიდა ნინოს ნაკვალავზე ფარანიდან მცხეთისაკენ. 1990 წ.



ჩვენი მოძღვრების წინამძღოლობით მორწმუნეებმა გამოიარეს წმიდა ნინოს გზა, გამოიარეს ლოცვით, მარხვითა და ღვაწლით. შეიძლება ამ გზაზე მათ განსაცდელი შეხვდათ და მძიმე დღეებიც გადაიტანეს, მაგრამ სამაგიეროდ წმიდა ნინოს შენეებით მოიპოვეს დიდი მადლი და ძალა და იგი სვეტიცხოველში ჩვენამდე მოიტანეს.



● 159, 160, 161 მცხეთა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. შესვედრა მომლოცველთა ჯგუფის წევრებთან, რომლებმაც წმიდა ნინოს გზა ფეხით გამოიარეს ფარანიდან მცხეთამდე. 1990 წ.





● 162 შიომღვიმის მამათა მონასტერი. პარაკლისი წმიდა შიო მღვიმელის საფლავთან. 1990 წ.



● 163 შიომღვიმის მამათა მონასტერი. საღმრთო ღვთისმშობლის საფლავთან. 1990 წ.




● 164, 165 ზედაზენი. ღირსი მამა იოანე ზედაზენელის საფლავი. 1990 წ.



● 166 მცხეთა. ნათლობა მტკვრისა და არაგვის შესართავთან. 1990 წ.



● 167.168. 169 მცხეთა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. დიდი სუთშაბათი. მარონის კურთხევა. 1995 წ.





● 170.171.172 შტეტა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. საქართველოს ეკლესიის XIII გაფართოებული კრება. 1995 წ.




© 173.174 მცხეთა, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ-გიორგი შვედნაძის ინაუგურაცია. 2000 წ.

თქვენო აღმატებულებავ,
საქართველოს პრეზიდენტო,
აღსრულდა განგება ღვთისა და ნება ჩვენი ერისა, – თქვენ საქართველოს პრეზიდენტად ბრძანდებით არჩეული. დიდია თქვენი ღვაწლი როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს წინაშე, მაგრამ დღეიდან განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გეკისრებათ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის. ვიმედოვნებთ, ყველაფერს გააკეთებთ საქართველოს გამთლიანებისა და ქართველი ერის გაერთიანებისათვის.



© 175.176 მცხეთა. ნათლობა მტკვრისა და არაგვის შესართავთან. 2000 წ.

ნათლობით ადამიანი ხელახლა იბადება; ეკლესიის წევრი და ქრისტეს ნაწილი ხდება, თავისუფლდება როგორც ადამისმიერი პირველქმნილი შეცოდებისგან, ისე ყველა სხვა ცოდვისაგან; აღდგება მასში ხატება ღვთისა, ენიჭება სულიწმიდის მადლი და ყველა სიკეთე მისი.



© 177, 178, 179 გორი. 1990 წ.



◦ 2003 წელს ურბნისი. წმიდა ნეოფიტე ურბნელის ხსენების საკათედრო ტაძარი. წმიდა ხანიდის ხეობა. 2003 წ.



◦ 182 გორის თეატრი, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების 900 წლისთავისადმი მიძღვნილი საშეცნეო კონფერენცია. 2003 წ.



საქართველოს ეკლესია იყო, არის და მუდამ იქნება სული ქართველი ერისა. საქართველოს ეკლესია არის ის წმიდა საფანე, სადაც აღიზარდა, აღორძინდა, სადაც ფერი იცვალა ქართველი საცის შინაგანმა სამყარომ. იგია კარიბჭე უფლის დიდებისა.

პატრიარქი



● 183.184 დიდგორი. 1989 წ.



● 165 ახალგაზრდა. 1989 წ.



● 186.187 კახმა. წმიდა ნინოს ჯვრის აღმართვა. 1991 წ.



© 188 ბოლნისი. ყოვლადწმიდა ღვთის-
შობლის მიძინების სახელობის ეკლესია.
ღვთისმშახურების აღდგენის დღე. 1989 წ.

ეკლესია ერთადერთი ადგილია ჩვენი გადარჩენისა; იგი კარიბჭეა მარადიული ნეტარი ცხოვრებისა. არ შეიძლება დაგვიანება, დაუშვებელია სულიერი განწმენდის კიბეზე ზეალსელის სამომავლოდ გადაღება. არავინ იცის, რას გვიზადებს ხვალისდელი დღე. მაშ, ნუ დავაყოვნებთ, გავხდეთ ნევრნი ქრისტეს ეკლესიისა და ვეზიაროთ იმ სინმიდეთ, რასაც იგი ნათლობის, მირონცხების, აღსარების, ზიარებისა და სხვა საიდუმლოთა მადლით გეთავაზობს.



● 189.190 დმანისი. 1989 წ.



◉ 1982 წელი.



◉ 1990 წელი.



● 153 რუსთავი. წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის კურთხევის დღე. 1990 წ.



● 154 რუსთავი. წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი. საღმრთო ლიტურგიაზე. 1995 წ.

ეს დიდებული ტაძარი, რომელშიც დღეს ვიმყოფებით და ვლოცულობთ, მეფე ვახტანგ გორგასლის სახელზე აშენდა, რადგან რუსთავის ეპარქია სწორედ მისი მეფობის უამს დაარსდა... წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის დიდი ღვაწლით საქართველოში დადგინდა პირველი კათოლიკოსი პეტრე და ჩვენმა ეკლესიამ ანტიოქიის ეკლესიისაგან მიიღო ავტოკეფალია – დამოუკიდებლობა.



● 1995 წ. რუსთავი. შეხვედრა მეტაღვთისმამასთან. 1995 წ.



● 1996, 1997 წ. რუსთავი. 1996 წ.

● 199 თელეთი. წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი. 1996 წ.



● 199 შავნაბადა. წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი. 1996 წ.

მშვენიერი, გასაოცარი და უსასრულოა სამყარო; მშვენიერია ადამიანი – ხატი ღვთისა და გვირგვინი ქმნილებისა. დიდია უფალი, მიუწვდომელია ძალა და სიბრძნე მისი. უსაზღვრო და განმაცვიფრებელია მოთმინება და უნაპირო სიყვარული მისი ჩვენ ცოდვილთადმი.



● 200 შაენაბადა. წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში თბილისის გიმნაზიის „შაენაბადას“ აღსაზრდელებთან ერთად. 2003 წ.

ღმერთი, მოყვასი და მე – აი, ის ღვთაებრივი სამკუთხედი, რომელიც სიყვარულით უნდა იყოს შეერთებული. თუ ამ სამთაგან თუნდაც ერთი რგოლი დაირღვა, დაირღვევა თვით სიყვარული; დამდაბლდება იგი, ქვენა გრძნობად გადაიქცევა და ბოლოს განქარდება კიდევც.

ის, ვისი ცხოვრებაც ღვთის რწმენასა და სიყვარულზეა დაფუძნებული, აუცილებლად იქნება ღვთის მოშიში, პატივს მიაგებს მშობლებს, შეიყვარებს მოყვასს, არ მოიპარავს, არ ხელყოფს სხვის სიცოცხლეს, არ დასწამებს ცილს ადამიანს, თავისუფალი იქნება შურისაგან, იცხოვრებს ეკლესიურად და უსურვეს ყველას მას, რაც თავისი თავისთვის უნდა, რადგან ჭეშმარიტი სიყვარული მოიცავს ქრისტიანის ცხოვრების ყველა მხარეს, განსაზღვრავს და საფუძვლად ედება ურთიერთობას პიროვნებასა და შემოქმედს შორის, ადამიანთა შორის.



• 201. 202 წლებში. 1989 წ.

● 203. 204, 205 დარილის ხეობა. პარაკლისი წმიდათა მოაზარანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელის სახელობის მონასტრის ასაშენებლად განკუთვნილ ადგილზე. 1990 წ.



ღმერთო ძლიერო, შენ ხარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება; მუხლმოდრეკილნი გვედრებით, წარგვიძელ გზითა შენითა მით ინროითა; მოწყალო, მოგვმადლე სიბრძნე გულისა, რათა ვცნათ, რა არს ჭეშმარიტი და ვემსახუროთ მას... უწყით, უფალო, სიცოცხლე ჩვენი წამისყოფაა, სიცოცხლე ჩვენი განსაცდელია ოდენ. უსასოთა სასოო, გეაჯებით, მოგვეაბლენ, რათა არა დავინთქათ ზღვასა ცხოვრებისასა; ხელი შენი აღმადგინებელ გვეყავნ ჩვენ დაცემულთა, დავრდომილნი შეგივრდებით და ნუ განგუაგდებ, რამეთუ შენი ვართ, უფალო... ღირს გვეყვენ ჩვენ მარადიული ნეტარებისა, ვინაითგან ნიჭი და წყალობა უზენაესი ფრთეთა ქვეშე შენსა ყოფნაა, შენს მტილოვანში დამკვიდრებაა.





● 206 სწო. ნათლობა მდინარე რუსწყალში. 1990 წ.



ფ 207 დარიალის ხეობა. საქართველოს ეკლესიის
წმიდა სინოდის წევრებთან ერთად. 1999 წ.

გზა სიმართლისა და ჭეშმარიტებისა არის ქრისტეს
გზა. იგი ვინროა და ეკლიანი, მაგრამ კუროთხელი და
სამეუფო, ერთადერთი და გადამრჩენი.



● 2015 გერგუთის წმიდა სამების სახელობის მამათა მონასტერი. საღმრთო ლიტურგიაზე. 1999 წ.



○ 2019 სწო. წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია. საღმრთო ლიტურგიაზე. 1999 წ.




● 216 დარიალის ხეობა. თაშარის ციხე. 1999 წ.

ლუდუშაურები გამორჩეული გვარია ყაზბეგში. პირველი ლუდუშაური სახელად ლუდუშა იყო, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის ნათლული. მერე მისი შთამომავლობა გამრავლდა. შიოლა ლუდუშაურის შტოდან კი შიოლაშვილები წამოვიდნენ. შიოლა ლუდუშაურს დედა ბაგრატიონის ქალი ჰყავდა, მეუღლე კი ერისთავების გვარიდან ითხოვა.



● 211. 212 სსრ. შიოლაშვილების გვარის დღესასწაულზე. 1999 წ.



● 213.214.215 სნთ. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დედისა და ძმის საფლავთან. 1999 წ.

მინიერი ჩვენი ცხოვრება უდაბნოში მოგზაურობას ჰგავს. დღე-დღეს აუნყებ მარადიულობის კარიბჭესთან ჩვენს მიახლოებას; მთავარია, იქ წარვსდგეთ ღირსეულად. ღვთის დიდი წყალობაა, რომ არ ვიცით ჩვენი აღსასრულის დღე, რათა ყოველთვის გვახსოვდეს სიკვდილი და ყოველი დღე გავატაროთ ისე, თითქოს იგი იყოს უკანასკნელი.



● 216. ანტონი, 1999 წ.



● 217 სნო, 1999 წ.



● 218 სწო. შიოლა ღუდუშაურის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის კურსევა. 1999 წ.



● 219. 220 სწო. შიოლა ღუდუშაურის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრი. 2001 წ.



© 221 დარიალის ხეობა. მამათა მონასტრის ასაშენებლად განკუთვნილი ადგილის კურთხევა. 2001 წ.

ჩვენ უკვე ვაკურთხეთ ადგილი, სადაც აშენდება მთავარანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელის და წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი, რომელიც თავისი დანიშნულებით მრავალმხრივი დატვირთვის იქნება: იგი იქცევა კარიბჭედ და ამავე დროს პირველ მასპინძლად ჩრდილოეთიდან საქართველოში შემოსულთათვის და ყველა თავიდანვე იგრძნობს, რომ ისინი ქრისტიანულ ქვეყანას ესტუმრნენ; ამასთან სასულიერო პირთა თანადგომა აუცილებელი იქნება დარიალში მყოფი ჩვენი სასაზღვრო ჯარისათვის... აქ დაილოცებიან მწვერვალთა დასაპყრობად ჩამოსული მთამსვლელები, რუსეთისაკენ მიმავალი მგზავრები, მაგრამ მონასტრის მთავარი დატვირთვა მაინც ადგილობრივ მოსახლეობაში სულიერი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ეროვნული გრძნობის განმტკიცება იქნება.



ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან, წმიდა ნინოს უფალი გამოეცხადა და მაცხოვრისგან დაბეჭდილი ათმუხლედ ნერილი გადასცა. იგი წმიდა ქალწულს მცხეთაში ქართლის მეფისათვის უნდა გადაეცა. მოციქულთასწორმა მცხეთის გზა მწყემსებს ჰკითხა, და მათი რჩევით მდინარეს გამოჰყვა. ამიტომაც ეს გზა, რომელიც წმიდა ნინომ გამოიარა ფარავნიდან მცხეთამდე, წმიდა გზაა, რადგან მან ქრისტეს ნათელი დაამკვიდრა საქართველოში.



○ 222, 223, 224, 225 ნინოწმინდის რაიონი, სოფ. ფოკა. საღმრთო ლიტურგია ფარაგნის ტბასთან ღია ცის ქვეშ. 1989 წ.



● 226, 227 ფოკა. პარაკლისი ფარაგნის ტბასთან. 1989 წ.



მიხარია, რომ ვიმყოფები მესხეთის წმიდა მინაზე, რომელიც ჩვენი რწმენისა და კულტურის სათავეა. საუკუნეების მანძილზე მტერი ცდილობდა აღმოეფხვრა ჩვენში ქრისტიანული სარწმუნოება, რადგან იცოდა, რწმენის დაკარგვით ერიც დაიკარგებოდა. დიდი მსხვერპლის მიუხედავად მესხებმა და, საერთოდ, ქართველმა ხალხმა გაუძლო ამ განსაცდელს, რადგან არ უღალატა მაცხოვარს.





● 230 ადიგენის რაიონი. სოფ. არაღი. 1988 წ.



● 231 ახალქალაქის რაიონი. სოფ. აფნია. 1988 წ.



● 232 სოფ. ანდრიაწმიდა. წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ხსენების ეკლესია. 1988 წ.



● 233 ქ. ახალციხე. მუზეუმის წინ. 1988 წ.




• 234 ახალციხის რაიონი. სოფ. აწყური. ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის სახელობის ტაძრის ნანგრევები. 1988 წ.

ჩვენს ეკლესიას განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა მართებს საქართველოს ამ უძველესი, წარსულში ფრიად დანინაურებული ისტორიული მხარის მიმართ, რომელსაც მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს. ეროვნული სულის კვლავ აღორძინება მესხეთში ჩვენს დროს უკავშირდება. ამ საშვილიშვილო საქმეში თავისი წვლილის შეტანა ევალებათ მორწმუნეებს. აქ ყველგან უნდა ისმოდეს ქართული სიტყვა, ლოცვა და გალობა.



○ 235 ქვემო ვარძია. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. 1988 წ.



● 236 საფარის მაშაია მონასტერთან მისასვლელი გზა. 1988 წ.



● 237 ვარძია. 1990 წ.



● 238 ქვემო ვარძიასთან მისასვლელი გზა. 1990 წ.



● 239 ქვემო ვარძია. 1990 წ.



● 240 ქვემო ვარძია. ყოვლადწმიდა დვთისმშობლის მიძინების
სახელობის ტაძარი. 1990 წ.



o 211 ვარძია. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. 1990 წ.

საუკუნეების განმავლობაში ეს იყო უწმიდესი ადგილი ქართველთათვის... თამარ მეფემ სწორედ აქ შეავედრა ბასიანის ბრძოლაში მიმავალი ქართველთა ლაშქარი ვარძიის ღვთისმშობლის ხატს. ფეხშიშველი და თვალცრემლიანი ლოცულობდა იგი და უფალმა მისცა მას გამარჯვება ურიცხვ მტერზე.



● 242, 243, 244, 245 ქვემო ვარძია. სამონასტრო კომპლექსი. 1990 წ.



○ 216 ადიგენის რაიონი. სოფ. ჯარჯმა. ჯარჯმის მამათა მონასტერი. 1990 წ.



● 247 ახალციხე. 1990 წ.



● 246 ვაიის ველები. 1990 წ.

თქვენ ცხოვრობთ იქ, სადაც დაიწყო ქრისტიანობის ისტორია საქართველოში, სადაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენს ქრისტიანულ კულტურას. ამ მხარეში არსებული ეკლესია-მონასტრების სიმრავლე ამის ნათელი დადასტურებაა. არასოდეს უღალატოთ რწმენას, რომელმაც გადაგარჩინათ თქვენ და სრულიად საქართველო.

გისურვებთ, გქონოდეთ სრულყოფილი და ყოვლისმომცველი სიყვარული: სიყვარული ღვთისა და მოყვასისა, სიყვარული დედა სამშობლოსი და ჩვენი უკვდავი სულისა, სიყვარული მარადიული მომავალი სიცოცხლისა, სიყვარული სიკეთისა და ყოველივე იმისა, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს სულიერ თვალთა აღზიდვასა და აღდგომას.



© 249, 250, 251, 252 სიონის საკათედრო ტაძარი.
წმიდა შუგუ დაფით აღმაშენებლის ხსენების
დღე. საღმრთო ლიტურგია. 1980 წ.



● 25 ა სიონის საკათედრო ტაძარი.
სულთმოფენობა. 1980 წ.



● 25; ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ
სამეცნიერო რედაქციაში. 1980 წ.




● 255 კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწი-
ფო აკადემიური თეატრის დასთან. 1980 წ.

საეკლესიო დღესასწაულები არა მარტო იმ ღირსშესანიშნავ წმიდა მოვლენებს გვახსენებენ შორეულ წარსულში რომ მოხდა, არამედ გვაახლოებენ იმ სულიერ სიწმიდესა და რეალობასთან, რომელიც უყამოა, დროზე მაღლა დგას და სულიერ ძალას გვმატებს.



● 256. 257 კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს ხალხთა მეგობრობის ორდენს გადასცემს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბავლე გილაშვილი. 1984 წ.



● 254 ხალხია შეკრების მუხეუში. 1985 წ.



● 259.260 საქართველოს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებთან. 1985 წ.

ინტელიგენციის და საერთოდ გავლენიან პიროვნებათა ბედნიერებაც და უბედურებაც იმაშია, რომ მათ თავიანთი მრწამსით, თავიანთი ცხოვრებით შეიძლება სულიერად გადაარჩინონ ან დაღუპონ არა მარტო საკუთარი თავი, არამედ გარშემომყოფნი და სხვა მრავალნიც.

დღეს ჩვენს ინტელიგენციას იმაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე თვითონ გრძნობს. ის როლი, რასაც თავის დროზე ასრულებდა სამეფო დინასტია, თავადაზნაურობა, ეკლესიასთან ერთად უნდა იტვირთოს ინტელიგენციამ. იგი უნდა იქცეს ერისთვის ჭეშმარიტი გზის გამკვლევად, ეროვნული მრწამსის, კულტურისა და ხელოვნების დამცველად და შემქმნელად.

○ 261 პერსონალური კომპიუტერების
გამოყენაზე. 1983 წ.



○ 262 მეცხრე საჯარდემიოვის
თანაშრომლებთან. 1985 წ.



○ 263 კინორეჟისორ რეზო ჩხეიძესა
და თენგიზ აბულაძესთან. 1985 წ.



როდესაც ჩვენი კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე ვლაპარაკობთ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა გვსურს და სხვისგან აღარაფრის სწავლა აღარ გვჭირდება. არა, ჩვენ გონიერ და შრომისმოყვარე ფუტკარს უნდა ვემსგავსოთ, რომელიც ნექტარს მხოლოდ იმ ყვავილებისაგან აგროვებს, რომელიც თაფლისთვისაა გამოსადეგი.



● 264, 265 ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასთან. 1985 წ.

დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს ლიტერატურას, თეატრსა და კინოს, საერთოდ ხელოვნებას. ტალანტითა და ნიჭით დაჯილდოებულ მწერალსა და რეჟისორს, რომელიც თვითონაც ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და სწორად ხედავს კაცთა გულის იდუმალ ზრახვებს, კეთილი მწყემსის მსგავსად ძალუძს, დაგვეხმაროს როგორც სინამდვილის შეცნობაში, ისე ჩვენთვის სავალი გზის მიგნებაში.



© შინის სიონის საკათედრო ტაძარი. ბზობა. 1985 წ.

ტაძარი ოაზისია, სადაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალით, ლეღვითა და ამაოებით დაღლილი სული შინაგან მშვიდობასა და სიწყნარეს პოვებს. იმთაც კი, ვინც აქ 10-15 წუთით შემთხვევით შემოდის, რომელთაც არაფერი იციან ღვთის, მარადიული ცხოვრებისა და უკვდავი სულის შესახებ, იზიდავს უჩვეულო გარემო, ღვთისმსახურების მშვენიერება, საეკლესიო გალობა. ხოლო ის, ვინც დიდი რწმენითა და ღვთაებრივი სიყვარულითაა გამთბარი, შეიგრძნობს გაცილებით სიღრმისეულსა და არსებითს, ვიდრე უბრალო ესთეტიკური სიამოვნებაა.


წმიდა ლაზარეს სახელს უკავშირდება ქართველთა უძვირფასესი საუნჯის, - ქართული ენის სულიერი ძალა. იგი არის წინა სახე ამ ენის შემდგომი დიდებისა, ამიტომაც ჩვენმა ეკლესიამ ლაზარეს შაბათს დაადგინა ქართული ენის დღესასწაული.



● 257 სიონის საკათედრო ტაძარი. ლაზარეს შაბათი. 1986 წ.

ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელია ენა ქართული, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამათმთავრისა. მასშია მთელი საქართველო... გაზაფხულზე გამლილი პირველი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლად ამოსული მზის ცხოველმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი სანყისი; უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვით დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტიცხოველი, და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი.

○ 268 სიონის საკათედრო ტაძარი. დიდი ხუთშაბათი.
ფერსთბანკა. 1986 წ.



● 269, 270, 271 სიონის საკათედრო ტაძარი. ვნების
პარასკევი. გარდამოსნის გაშლისკენ. 1986 წ.





● 27.1 სიონის საკათედრო ტაძარი. წმიდა სინოდის განჩინება ილია ჭავჭავაძის წმიდანად შერაცხვის შესახებ. 1987 წ.

დიდი ილია ჭავჭავაძის წმიდანად შერაცხვა არ არის მხოლოდ აღიარება მისი დამსახურებისა (მისი დამსახურება კი ერისა და ეკლესიის წინაშე მეტად დიდია) ეს კიდევ სხვა რამეცაა. ამა თუ იმ პიროვნების წმიდანად კანონიზირების შემდეგ ღვთის ლოცვა-კურთხევით, მას ეძლევა განსხვავებული მადლი, განსხვავებული ძალა ერის შეწევისა. ამიერიდან ილია ჭავჭავაძე, – წმიდა ილია მართალი არის შუამდგომელი წინაშე ღვთისა ჩვენი ერისა და ეკლესიისათვის.



● 273.274 მეტეხის ეკლესიაშია დვინისპოლის სახელობის
ტაძარი. დვინისსახურების აღდგენის დღე. 1988 წ.



● 275.276 ანისხატის ეკლესია. ღვთისმსახურების აღდგენის დღე. 1988 წ.



● 277.278 უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. 1988 წ.



● 274 სიონის საკათედრო ტაძარი. სამადლობელი პარაკლისი სასულიერო აკადემიის გახსნასთან დაკავშირებით. 1988 წ.



● 250 თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნის დღე. სხდომა აკადემიის შენობაში. 1988 წ.

დღეს ჩვენთვის, მთელი ჩვენი ერისთვის ბედნიერი დღეა. ღვთის წყალობითა და ლოცვა-კურთხევით იხსნება თბილისის სასულიერო აკადემია...

თბილისის სასულიერო აკადემია უნდა იყოს გელათის, გრემის, იყალთოს აკადემიათა ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი... იგი უნდა იქცეს დამაკავშირებელ ხიდად თანამედროვე მეცნიერებასა და ღვთისმეტყველებას შორის.



○ 281 სიონის საკათედრო ტაძრის სტიქაროსნებთან. 1989 წ.



● 282 სიონის საკათედრო ტაძრის ვაჟთა გუნდთან. 1989 წ.



● 2Բ3.284 სიონის ხაკათედრო ტაძარი, Զնտბა, 1989 Վ.



... შველელაბა საქართველოს საბატონიარქო რეზიდენციიდან სიონის ხეივანზე
ტაძრისკენ. 1989 წ.



● 286 ზარის ჩამომსხმელებთან. 1989 წ.



● 287 უენალისტთა სახლში. 1989 წ.



● 288 სამედიცინო ინსტიტუტში. 1989 წ.



● 289 ბაღნელოლოგიური კურორტის თანამშრომლებთან ერთად სხდომაზე. 1989 წ.

● 290.291 ილია შიკოვის სახელობის ფიზიკა-
მათემატიკურ სკოლაში. 1989 წ.



დღეს, როდესაც სამსახურებრივი დატვირთვის გამო მამის მსგავსად დედაც გასულია სახლიდან, ბავშვების აღზრდაში ძალიან დიდ ადგილს იკავებს სკოლა. სკოლა და მისი გარემო მოზარდისთვის მეორე ოჯახია, სადაც, ერთი მხრივ, ხდება განმტკიცება შინ ნასწავლი ჩვევებისა და, მეორე მხრივ, გადაფასება იქ შეძენილი ცოდნისა. ამასთან სკოლა ის ადგილია, სადაც მოზარდში ყალიბდება მოყვასისადმი დამოკიდებულების ძირითადი ფორმები...

როგორც ცალკეულ ოჯახს, ისე სკოლას თავისი მოძღვარი უნდა ჰყავდეს, რათა მისი დახმარებით, სულიერი საუბრებით, ლოცვით, აღსარებითა და ზიარებით ყოველმა ადამიანმა თავისი ცხოვრებით შექმნას ჯვარი, რომლის ვერტიკალი დაუარსებლად ღვთისაკენ მიემართება, ჰორიზონტალური ხაზი კი – შორს მოყვასისაკენ.



მართალია, საქართველო დღეს მრავალი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური, სულიერი და სხვა პრობლემების წინაშე დგას, მაგრამ უმთავრესი საზრუნავი მაინც ჩვენი ბავშვების სწორი აღზრდაა, რადგან ოჯახის კეთილდღეობა ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაა... მთავარი ის კი არ არის, თუ რა რაოდენობის საგანს ვასწავლით ახალგაზრდას, არამედ ის, თუ რა შედეგს მოგვცემს ჩვენს მიერ მიცემული ცოდნა, როგორ წაადგება ის ყმანვილის სულიერ თუ პრაქტიკულ ცხოვრებას.



© 292, 293, 294, 295, 296 მოსწავლე-ახალგაზრ-
დობის რესპუბლიკურ სახელეშო. 1989 წ.



● 207 მისწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში. 1989 წ.

ღმერთო მოწყალეო, მამაო და ძეო, და სულო წმიდაო, შენ შეიტკბე, აკურთხე და კეთილად აღზარდე ბავშვები ჩვენი. მოანიჭე მათ სარწმუნოება მტკიცე, რამეთუ გარეშე სარწმუნოებისა შეუძლებელია ცხოვნება. უფალო და მეუფეო, შენ ხარ სრული და უზენაესი სიყვარული, დაჰნერგე გულთა შინა მათსა სიყვარული შენი, სიყვარული მამულისა, სიყვარული მშობელთა, სიყვარული მოყვასისა. აღაცხე ჩვენი ერის მომავალი სულიერი და ფიზიკური ძალითა, მოჰმადლე მათ ნიჭი სწავლისა და სიყვარული წიგნისა, მოანიჭე მათ სასოება, თავმდაბლობა, მორჩილება და სინმინდე, რათა იყვნენ ტაძარნი სულისა წმიდისა.



● 298. 299 შთავრთბის სახლის წინ
9 აპრილის დამეს. 1989 წ.

მე თუმცა არ ვიცოდი, რა მოხდებოდა, შემზარავი
წინათგრძნობა დამეუფლა და ამიტომ გადავწყვიტე ხალხთან
ერთად დავრჩენილიყავი და მათი ხვედრი გამეზიარებინა.





9 აპრილი – ეს ჩვენი გლოვაცაა და ჩვენი სულიერი ზეიმიც, მაგრამ ეს მაინც გამოცდა იყო ჩვენი. შეუძლებელია ვიცხოვროთ მხოლოდ ჩვენი გმირული წარსულით. წარსულის გათვალისწინებით ჩვენ რეალურად უნდა დავინახოთ დღევანდელი დღეც და მომავალიც. უნდა დავინახოთ, ვინ დგას ჩვენს წინაშე, ვინ გვახვევია გარშემო, რომელია თავისუფლებასთან მისასვლელი გზა.



● 300.301.302.303 სიონის საკათედრო ტაძარი. პანაშვიდი
ცხრა აპრილს გარდაცვალებულთათვის. 1989 წ.



● 304.305 რუსთაველის გამზირზე შთავგებობის სიხლის წინ. 1990 წ.



შევთხოვ უფალს, ყოველდღშიდა სამეხას, მამას, ძესა და სულიწმიდას, რომელიც თვით არის ჭეშმარიტება და წყარო ჭეშმარიტებისა, რომ აგვიხილოს თვალი გულისა და გონებისა, რათა ვსცნათ ჭეშმარიტება და ჭეშმარიტი თავისუფლების გზას დაეადგეთ, ამინ.

● 306 სიონის საკათედრო ტაძარი. 9 აპრილს გარდაცვალებულთა წლისთავი. 1990 წ.





მეფე სოლომონ II-ის ნეშტის გადმოსვენება არ არის უბრალო ფაქტი. ვფიქრობ, მას დიდი სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. საქართველოს უკანასკნელი მეფის დაბრუნებით, ჩვენს ქვეყანას უბრუნდება მადლი ღვთისა. ამინ.

● 307.308.309.310 მეფე სოლომონ II-ის ნეშტის ჩამოსვენება საქართველოში. 1990 წ.



● 311 შთაწმიდა. წმიდა ილია მართლის საფლავთან. 1990 წ.

ილიას ცხოვრების ეტლმა, ილია წინასწარმეტყველის ეტლის მსგავსად, ცეცხლის კვესებით გადაუარა საქართველოს ცას და წარუშლელი კვალი დატოვა.

გარდაცვალება არ ეთქმის მის სიკვდილს. ეს იყო ჯვარცმა და მსწრაფლ ამალეობა; ეს იყო გარდასახვა, თითოეულ ქართველში განბნევა და მათში ერის სიყვარულად აღდგომა.



● 312 გერმანელ ტყვეთა სახაფლაოზე. 1990 წ.



● 313 სიონის საკათედრო ტაძარი. ზურაბ ჭავჭავაძის პანაშვიდი. 1990 წ.



● 314 სიონის საკათედრო ტაძარი. მიტროპოლიტ შიოს (აგალიშვილი) პანაშვიდი. 1990 წ.



● 315 იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძარში.
1990 წ.



● 316 სიონის საკათედრო ტაძარი. წმიდა ნინოს ხსენების
ღღე. 1991 წ.



● 317 სიონის საკათედრო ტაძრის სამღვდლოებსთან.
1991 წ.



• 318 სამრევლო სკოლის კურთხევა საქართველოს
საპატრიარქო რეზიდენციის ყოფილ შენობაში. 1991 წ.



• 319 ფეხბურთის პირველი ეროვნული
ჩემპიონატის გახსნაზე. 1991 წ.



● 31: საქართველოს საპატრიარქო რეზიდენცია. საეკლესიო დროშის კურთხევა. 1992 წ.



● 32: რესპუბლიკის შოედანი. საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწვევიანების დღეს. 1992 წ.



ჭეშმარიტი ცოდნა და ჭეშმარიტი მეცნიერება აუცილებლად მიიყვანს ადამიანს ღმერთთან... რამდენი ადამიანი წავიდა ამ-ქვეყნიდან ისე, რომ ჭეშმარიტებასთან არ ჰქონიათ შეხება; ეს იმიტომ, რომ ან საერთოდ არ ეძებდნენ მას, ანდა არ ეძებდნენ იქ, სადაც მისი პოვნა შეიძლებოდა... არასწორი სარწმუნოება ყველაზე მეტად აშორებს ადამიანს ჭეშმარიტებისაგან და ბოლოს ლუპავს კიდევ მას. უნდა გვახსოვდეს, ჭეშმარიტების ძიება რთული პროცესია; რუდუნებით საესე, სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური შრომაა, რომლისთვისაც ყრმობიდანვე უნდა მოვაზადოთ მომავალი თაობა.



● 322. 323 წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის
კურთხევის დღე. 1994 წ.



● 324 თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულებთან. 1995 წ.



● 325 სიონის საკათედრო ტაძრის სასულიერო პირებთან და სტიქაროსნებთან ერთად. 1995 წ.



● 326 თავდაცვის სამინისტროს შენობის კუროსხევა. 1995 წ.



● 327 სიონის საკათედრო ტაძარი. პანაშვიდი ელენე და გიორგი ბატონიშვილების სულეების საოხად, შათი ნეშტის საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით. 1995 წ.



● 328.329.330 წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის კურთხევა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში. 1995 წ.



● 331.332 სიონის საკათედრო ტაძარი. ნათლისღების დღესასწაული. წყალკურთხევა. 1996 წ.

ეკლესია სულის განსაკურნებელი სავანება. აქ მოდიან ყველანი: კეთილნი და ბოროტნი, მდიდარნი და ღარიბნი; მოდიან ცხოვრებით დაღლილნი, მოდიან ტვირთმიმენი და სნეულნი, კეთილშობილნი და ბოროტი ძალით შეპყრობილნი, მოდიან, რათა უკეთესი გახადონ თავიანთი ცხოვრება, გამოასწორონ ჩადენილი დანაშაული, ჩამოიბანონ ბინი სულისა. ეკლესია ყველას აძლევს საშუალებას განწმედისა და სულიერი ფერისცვალებისა, ოღონდ ადამიანს უნდა ჰქონდეს ჭეშმარიტი სინანული და დიდი სურვილი ცოდვისაგან განთავისუფლებისა.

არაეკლესიური ადამიანები ხშირად განიკითხავენ ეკლესიას იმის გამო, რომ აქ ცოდვებით დამძიმებულ ადამიანებს ხედავენ. მათ ავიწყდებათ მაცხოვრის სიტყვები: "არა მოვედ მართალთა მოწოდებად, არამედ ცოდვილთა სინანულად". (მათე 9, 13.)

ქრისტიანობა რელიგიაა მშვიდობის, სრულყოფილი სიყვარულისა და მარადიული სიხარულისა. მორწმუნე ქრისტიანისთვის ერთ-ერთ უმაღლეს ბედნიერებას სხვა ადამიანისათვის სიხარულის მინიჭება წარმოადგენს.



○ ❖❖❖ სიონის საკათედრო ტაძარი. უდემამო ბავშვების მონათვლა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ. 1996 წ.

წმიდა ნათლობის ძალით სულიერი დაბადება ნიშნავს ახალი ცხოვრების დაწყებას, მსახურებას ქრისტესა და მოყვასისათვის. ამაში ჰპოვებს ნამდვილი მორწმუნე სიხარულსა და ბედნიერებას, თავისი არსებობის აზრსა და მიზანს.



● 334.335 სიონის საკათედრო ტაძარი. საღმრთო ღი-
ტურგია სრულად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქ ილია II-ის აღსაყდრების 20 წლისთავთან
დაკავშირებით. 1997 წ.



● 336 იმერსია და ბაღეცის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ (გიორგი) შევარდნაძე, წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ორდენს ვადასცემს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს აღსაყდრების 20 წლისთავთან დაკავშირებით. 1997 წ.



● 337 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნიტარესი ილია II სიტყვით გამოსვლისას მისი აღსაყდრების 20 წლისთავთან დაკავშირებით. 1997 წ.



● 335.339 სიონის საკათედრო ტაძარი. პარაკლისი სახულიერო აკადემიაში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. 1998 წ.



● 340 სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ეზოში წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის კურთხევის დღეს. 1998 წ.



● 341.342 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მოღვაწეობის ამსახველი მასალების გამოფენაზე. 1998 წ.



● 343 ერწანის საბთავრობო რეზიდენციაში საქართველოს პრეზიდენტ ელვარდ (გიორგი) შევარდნაძის ინაუგურაციის დღეს. 2000 წ.



ყველაფერი უნდა ვიღონოთ მოზარდი თაობის სულიერი ამაღლებისთვის, ხელი შევუწყოთ მათი ნორჩი, შეურყენელი გულის კულტურის სრულყოფას.





ფიგურების დასახლების ერთ-ერთი საშუალო სკოლაში. 2000 წ.

ჰარმონიული შერწყმა გონებისა და გულის შესაძლებლობებისა ეხმარება ადამიანს სულიერ, ინტელექტუალურსა და კულტურულ სრულყოფაში, თავის შეცნობაში. ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიბლიის შესწავლას.

ბიბლია არის ერთადერთი წიგნი კაცობრიობისა, რომელიც წარმოგვიდგენს ადამიანს ისეთს, როგორც იგი იყო და არის საერთოდ: დაცემული და აღმდგარი, აღმდგარი და დაცემული; გვიჩვენებს მის დიდებულ და სუსტ მხარეებს. ბიბლია არ პირფერობს და არც ამცირებს პიროვნებას, არამედ წარმოგვიდგენს მას ისეთს, როგორადაც ხედავს ადამიანს მისი შემოქმედი ღმერთი, ყოვლისმხილველი.

ბიბლია ხსნის ჩვენი სულის უფაქიზეს შრეებს, თვალნათლივ გვიჩვენებს შედეგს ცოდვისა და ბოროტებისა, შედეგს სიყვარულისა და სიკეთისა, გვიჩვენებს მარადიულ და წარმავალ ღირებულებებს.



- 348 საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მოწყალების სახლი. საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩ რიჩარდ ჯეინსონთან ერთად. 1998 წ.



- 349 ტრადიციული ორშაბათი საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ მოწყალების სახლში. 1999 წ.



- 350 საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მოწყალების სახლი. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ რობინ კუკთან ერთად. 2000 წ.

შენიე გაჭირვებულს თუ გასურს, ღმერთი შენც შეგეწიოს. მიანიჭე მოყვასს დროებითი სიხარული, თუ გასურს მარადიული ნეტარების ღირსი გახდე. გაუნანილე ქვეყნიური სიკეთე სხვებს, თუ გინდა, რომ ზეციურ მადლს ეზიარო.

ყოველი ქრისტიანი მონყალე სამართელის მსგავსად არა მხოლოდ თავისიანებისა და ახლობლების, არამედ საერთოდ, ყველა ადამიანის მიმართ მონყალე უნდა იყოს, მიუხედავად მათი ეროვნებისა და რელიგიური რწმენისა, რადგან ქრისტიანულმა სიყვარულმა საზღვრები არ იცის.

თავად სიყვარულო და სიყვარულის მომნიჭებელო უფალო, განაღე ჩვენი დაგმანული გული და აღავსე შენი უზენაესი სიყვარულით, რათა გავითავისოთ ტკივილი მოყვასისა და ვიმსახუროთ ადამიანთა საკეთილდღეოდ.

შეესთხოვ უფალს, რომ მოგანიჭოთ დიდი რწმენა და სიყვარული, რომელიც კეთილი საქმეებით გამოვლინდება, მოგანიჭოთ ის სულიერი თვალი, რომელიც სხვის გასაჭირს დაგანახებთ. ღმერთმა დაგლოცოთ, გაკურთხოთ და გაგაძლიეროთ სიკეთის სამსახურით, რომელიც მარადიულ სასუფეველს დაგიმკვიდრებთ. ამინ.



● 253 სასჯელადსრულებითი დაწესებულებების რესპუბლიკური საავადმყოფოს ენაში პატარების მსურ აგებულა ტაძრის კურთხევაზე. 2000 წ.



● 253 სასჯელადსრულებითი დაწესებულებების რესპუბლიკური საავადმყოფოს სამლოცველი ოთახში. 2000 წ.

ხშირად, როცა მძიმე დანაშაულს ვხედავთ, განვიკითხავთ, ვკიცხავთ, ვსჯით ბოროტმოქმედს, მაგრამ არ ვიძიებთ მიზეზს, რამაც ესა თუ ის ადამიანი აქამდე მიიყვანა; არ ვიძიებთ როგორი იყო მისი ბავშვობა, როგორ წარიმართა მისი ცხოვრება, ვინ და რა გარემოებებმა შეუწყო ხელი დამნაშავედ მის ჩამოყალიბებას, არც მსგავს სიტუაციაში მცხოვრები სხვა მოზარდების მდგომარეობის გამოსწორებაზე ვზრუნავთ.

ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდვა უნდა გვძულდეს, მაგრამ ცოდვის ჩამდენი ადამიანი, როგორც ბოროტის საცოდავი იარაღი, უნდა გვიყვარდეს და გვებრალებოდეს. ის კი არ უნდა უარვყოთ და განვუდგეთ, არამედ უნდა დავეხმაროთ ნაკლის დაძლევაში.

თუ პატიმარს ეცოდინება, რომ მის შესახებ იციან, იგი ახსოვთ, მას ენდობიან, აუცილებლად გაუჩნდება სურვილი გამოსწორებისა, გაუჩნდება თავისი შესაძლებლობებისადმი რწმენა, გაუჩნდება იმედი მომავლისა.

დიდი ცოდვაა კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ, რადგანაც ჩვენ ამით ბოროტებას კი არ ვსპობთ, არამედ ვამრავლებთ მას. „ბოროტებას ბოროტებით ვერ განკურნავ“ – გვარიგებს ბასილი დიდი, - „მას მხოლოდ სიკეთით შეიძლება უნამლო“. ჰუმანურ, სამართლებრივ სახელმწიფოში არ შეიძლება არსებობდეს სასჯელის ეს არაადამიანური სახე.



● ანა საქართველოს ბარლაშენტი, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს საპოლიციო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მიღების დღე. 2002 წ.

ვფიქრობ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმება უნდა იქცეს ქვეყნისთვის სასარგებლო ერთობლივი მუშაობის საფუძვლად. დროულად უნდა მოხდეს ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის რეალიზება ცხოვრებაში, თუ გვსურს ავაშენოთ განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფო, ზნეობრივი საფუძვლებით.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა მსგავსია ადამიანის სულისა და ხორცის ერთობისა, სადაც ორივეს თავისი ადგილი აქვს და კეთილგანწყობა და გონიერება წარმართავს მათ ჰარმონიულ ყოფას.



● 355. 356 მცხეთა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი.
სახელმწიფო დროშის კურთხევა. 2004 წ.

დღეს იკურთხება ხუთჯვრიანი სახელმწიფო დროშა და უფლის მადლითა და მშვენიერებით, ღვთის დიდი წყალობით იმოსება სრულიად საქართველო.



● 357. 358 გელათის სამონასტრო კომპლექსი. საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ფიცის დადება წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის საფლავთან. 2004 წ.



მედიის საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია. 2004 წ.

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო,
ყველაფერი ამ ქვეყნად ღვთის ნებით ხდება.

განგებამ უფლისამ დაგადგინათ დღეს თქვენ ამ დიდებულ ტაძარში, რათა მოგენიჭოთ
მაღლი ღვთისა ჩვენი ქვეყნის წარსამართებლად.

ეს არის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული ის სავანე, რომელიც
საუკუნეთა მანძილზე იყო სიმბოლო ქართველი ერის სიბრძნისა და გონიერებისა,
რწმენისა და სულიერი სიმაღლისა.

ეს არის ის წმიდა ადგილი, სადაც დაღვრილია მრავალი ცრემლი და აღვლენილია
მრავალი ლოცვა უფლის წინაშე საქართველოს მთლიანობისა და კეთილდღეობისათვის.

თქვენი წარმატების დიდი გარანტი არის ხალხის ნდობა. ეს მეტად სასიხარულო
მოვლენაა, მაგრამ იგი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასაც გაკისრებთ და ამას
გაფრთხილება უნდა.

არიან ხელისუფალნი, რომელნიც სათნოეყოფიან კაცთა და მხოლოდ მიწიერი
საზრუნავით მოცულნი ცდილობენ, დროის შესაბამისად იმოქმედონ. ასეთი ადამიანები
ვერ ქმნიან სახეს ისტორიისას.

არიან ხელისუფალნი, რომელნიც თვისი ქმედებებით, უპირველეს ყოვლისა,
სათნოეყოფიან უფალს და ჯილდოდ მიწიერ დიდებასაც იღებენ. როგორც წესი, მათი
სახელი საუკუნეებს ახსოვთ.

არჩევანი თქვენზეა.

აქ, ამ ტაძრიდან იწყება თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის მოღვაწეობის
პირველი დღე. ინებოს ღმერთმა, რომ ეს გზა იყოს ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და
კეთილწარმატების მომტანი...

გელათში წმიდა დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცის დადება სიმბოლოურია და
დიდად საპასუხისმგებლო, ვინაიდან აქ არა მარტო დღევანდელი, არამედ მთელი ზეციური
საქართველო დგას და თქვენგან „ჩუეულებისაებრ მამულისა სვლას“ მოითხოვს.



● 361 ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი. ეროვნული თანხმობის პარაკლისზე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვინიასთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად. 2004 წ.

გუშინ და გუშინწინ ჩვენს ქვეყანაში დიდი ზეიმი იყო – კურთხევა და ინაუგურაცია საქართველოს პრეზიდენტისა. მთელი ქართველი ერი სიხარულითა და იმედით შეხვდა ამ დღეს. დღესაც ისტორიული დღეა – დღე თანხმობისა, დღე შერიგებისა...

მინდა, პირადად თქვენ მოგილოცოთ ბატონო პრეზიდენტო ეს ისტორიული დღე. სასიხარულოა, რომ თქვენი პრეზიდენტობა იწყება მშვიდობისა და შერიგების აქტით.



◦ 362 წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი.
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ფონდის დაფუძნების დღეს. 2005 წ.

დღევანდელი დღე არის განსაკუთრებული, მე ვიტყვოდი, ისტორიული მნიშვნელობის დღე, იმიტომ, რომ ფუძნდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი, რომელსაც ეწოდება „სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი“. მას ექნება ძალიან დიდი მნიშვნელობა საქართველოსათვის. ეს იქნება ის ფონდი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლება ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად მისი რელიგიური თუ ეროვნული კუთვნილებისა. ეს ფონდი ხელს შეუწყობს ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნების განმტკიცებას.

თქვენ იცით, რომ 1801 წლიდან მოყოლებული, როცა საქართველომ დაკარგა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ანუ ამ 200 წლის მანძილზე ძალიან დაქვეითდა ჩვენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნება. უნდა ვიცოდეთ, ვინ ვიყავით, ვინ ვართ, ან ვინ უნდა ვიყოთ.

ჩვენ უნდა ვიყოთ სულიერად ისეთივე ძლიერი, როგორც იყო ქართველი ერი დავით აღმაშენებლის და თამარის დროს. იმედი მაქვს, რომ ეს ფონდი ხელს შეუწყობს არა მარტო სულიერების განმტკიცებას, არამედ ჩვენი კულტურის განვითარებას. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართველმა ხალხმა საოცარი წვლილი შეიტანა მსოფლიო საგანძურში და ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს. ქართველ ადამიანს გააჩნია ღვთისაგან ბოძებული ისეთი ნიჭი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვლინდეს, ქართულმა გენმა თავისი სიტყვა უნდა თქვას მომავალშიც, უფრო ძლიერი სიტყვა, ვიდრე მას უთქვამს წარსულში.

ამ ფონდმა ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერების განვითარებასაც. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავლისათვის. ამიტომ ჩვენ გვექნება ძალიან მჭიდრო კავშირი ჩვენს მეცნიერებათა აკადემიასთან, ჩვენს უნივერსიტეტებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დახმარების ხელი გავუწოდოთ ჩვენს მეცნიერებს.

მაგრამ მთავარი მაინც ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნების განმტკიცებაა.



● ავსტრიის საკათოლიკოსოს მეთაურებთან ერთად ავსტრიის კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს მიენიჭა საკათოლიკოსოს მეთაურებთან ერთად ავსტრიის საპატიო აკადემიის წოდება. 2005 წ.

უპირველეს ყოვლისა, ყველას მოგესალმებით და მადლობას მოგახსენებთ ამ დიდი წოდების მონიჭებისათვის. მე თავს ვიხრი ჩვენი მეცნიერების წინაშე. დიდია თქვენი ღვაწლი, თქვენი წვლილი ერისა და ეკლესიის, ჩვენი ქვეყნის წინაშე. ძველი რომაელები ამბობდნენ: “Tempora mutantur et nos mutamur in illis” – „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად“, მე ვიტყვოდი, რომ ის, რაც აქ, ამ წუთებში ხდება, ისტორიული აქტია, რაც წარმოუდგენელი იქნებოდა საბჭოთა კავშირის პერიოდში. ეს არის პირველი შემთხვევა, რომ საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად იქნა არჩეული...



კარგად მოგეხსენებათ, რომ მონასტრები პირველი სამეცნიერო კერები იყო საქართველოში, სადაც სულიერ მოღვაწეობასთან ერთად უდიდეს სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდნენ ჩვენი მამები...

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დღეს მძლავრი მეცნიერული ცენტრია, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ და ამასთან უნდა ვიზრუნოთ მის გაძლიერებაზე. აღმასვლის პროცესი უწყვეტი უნდა იყოს...

მიმაჩნია, რომ მეცნიერებათა აკადემიამ უნდა შეიმუშაოს ისეთი პროგრამები, ისეთი წინადადებები, რომელიც ხელს შეუწყობს, დღევანდელი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ქვეყნის განვითარებას...

არ შეიძლება ვიცხოვროთ მხოლოდ ჩვენი წარსულით, არ შეიძლება ვიამაყოთ მხოლოდ დიდი ისტორიით. ჩვენ უნდა ვიფიქროთ დღევანდელ დღეზე, დღევანდელ პრობლემებზე, იმ სიძნელეებზე, რომლებიც ერის წინაშე დგას; ერმა და ეკლესიამ, სახელმწიფომ და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა მეცნიერებმა უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა უნდა იყოს ქართული იდეოლოგია; ის იდეა, რომელიც გადაარჩენს სრულიად საქართველოს.

მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს ეკლესია იყო და იქნება ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის, პირადად თქვენი და ჩვენი მეცნიერების სამსახურში. მე კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ ამ მაღალი წოდების მონიჭებისათვის.



● 364.365.366.367.368 წმიდა სამების სახელობის
საკათედრო ტაძრის საკონკურსო პროექტების
დათვალიერების დროს. 1990 წ.



● 369.370.371.372 წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძრის საკონკურსო პროექტების დათვალიერების დროს. 1990 წ.



თბილისში წმიდა სამების საკათედრო ტაძრის პროექტზე გამოცხადებულ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები არის გამოხატულება ჩვენი საზოგადოების მრწამსის, აზროვნებისა და კულტურისა.






● 373.374 წმინდა სამების ხსენების საკათედრო ტაძრის ხაძირკელის ჩაერის
დღეს ელის მთაზე. 1996 წ.



● 375, 376 საქართველოს საპატრიარქო რეზიდენცია. შეხვედრა წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით. 1999 წ.

წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. ტაძარი საქართველოში მუდამ იყო ჩვენი სულიერი და ფიზიკური სიმტკიცის გამომხატველი. იგი უმსუბუქებდა მიძიმე ჯვრის მტვირთველობას ქართველ ერს და განამტკიცებდა მასში მომავლის იმედს.




• 377.378.379.380.381.382.383.384 წმიდა სამების სახელობის შუენებარე საკათედრო ტაძრის მონახულების დროს.



● 385 წმიდა სამების სახელობის მშენებარე საკათედრო ტაძარი. საღმრთო ღმერთურგია. კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის აღსაყდრების 25 წლისთავი. 2002 წ.

კაცობრიობა იმყოფება მსოფლიო ისტორიის მეორე და მესამე ათასწლეულის მიჯნაზე და ამიტომ ქრისტეს შობის ორი ათასი წლისათვის, საქართველოში ოცსაუკუნოვანი ქრისტიანობისა და სამიათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი თარიღის აღსანიშნავად არ მოიძებნება უფრო დიდი და ყოვლისმომცველი სულიერი და კულტურული მოვლენა ვიდრე ეპოქალური ტაძრის აგებაა.



○ 356 წმიდა სამების სახელობის მშენებარე
საკათედრო ტაძარი. 2002 წ.



● 387 წმიდა სამების სახელობის მშენებარე
საკათედრო ტაძარში. 2002 წ.

წმიდა სამების მშენებარე ტაძარი არის ღვთისაგან
მონიჭებული ნყალობა და ამავე დროს ნიშანი ერთიანი
ქართული სახელმწიფოს აღდგინებისა... ეს დიდებული
საკათედრო ტაძარი იქნება გვირგვინი ერთიანი დიდი
საქართველოსი.



● 348 ჯვრითი მსვლელობა საქართველოს საპატრიარქოდან წმიდა სამების სახელობის შშენებარე საკათედრო ტაძრისკენ. 2003 წ.



● 359 ჯვრის აღმართვა წმიდა სამების სახელობის შშენებარე საკათედრო ტაძრის გუმბათზე. 2003 წ.



● 390 წმიდა სამების სახელობის მშენებარე საკათედრო ტაძარი. 2004 წ.



● 391.392 წმიდა სამების სახელობის მშენებარე საკათედრო ტაძრის შინახელების დროს. 2004 წ.





● 393.394.395 წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძრის კურთხევის დღე. 2004 წ.



● 396. 397 წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძრის ტრაპეზის კურთხევა. 2004 წ.



© 398 წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძრის კურობევის დღეს საკურობეველში.
2004 წ.



● 399 წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი. მალაღდასაჯდომელზე ტახტი ყოვლადწმიდისა სამებისა. 2004 წ.



● 400 წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი. ყოვლადწმიდა სამების ტახტის დაბლა დგას ტახტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა. 2004 წ.

წმიდა სამების ტაძრის მალაღდასაჯდომელზე, იქ, სადაც ჩვეულებისამებრ უნდა იყოს პატრიარქის ტახტი, პატრიარქის ტახტის ნაცვლად დაიდგმება ტახტი წმიდისა სამებისა; ხოლო პატრიარქის სავარძელი დაიდგმება უფრო დაბლა. ასეთი ტახტი მხოლოდ სინას მთაზე დგას. იქ მალაღდასაჯდომელი საკურთხეველში აღმოსავლეთის მხარეს არის და მასზე არაჲინ ჯდება, არცერთი პატრიარქი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ღვთის ბრძანებით შესრულდა...

ასეთი ტრადიცია სინას მთის გარდა არსად არ არის. ასე რომ, სინას მთის ტრადიცია დამკვიდრდება წმიდა სამების დიდ ტაძარში.



- 401 წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი. სახარება (ოთხთავი) ზელნაწერის სახით. შესრულებული პერგამენტზე (ხბოს ტყავზე). ნუსხა ზუცურიით, სულ 140 ფურცელი. 2004 წ.



- 402 სახარების პირველი გვერდი.



● 403.404: წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძრის კურთხევის დღე. 2004 წ.

სახელითა მამისათა და ძისათა, და სულისა წმიდისათა!

„სამებოა წმიდაო, აღამალე რქაი ეკლესიისაი დღეს მიუდრეკელად, უზესთავს ბუნებათა, სიმაღლესა ზედა სარწმუნოებისა შენისასა, საფუძველსა შეურყეველსა და მას შინა განამძლიერენ“.

ო, ღმერთო ერთო – სამებოა წმიდაო ერთარსო და განუყოფელო, - დიდება და მადლობა შენდა.

ღვთივეკურთხეულო მამულო ჩვენო, – უდაბნოსა შინა აღმომორჩებულო ყვავილო უჭკნობელო, ტაძარო სამებისაო, კლიტეო დავითისაო, მახვილო მესიისაო, ადიდე ღმერთი და იხარე მარად.

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, ძმანო და დანო. წმიდა მეფე დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: „დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. ჩვენ ვართ მომხსენენი ღვთის ერთ-ერთი საოცრებისა, – შეჭირვების ჟამს, ქართველმა ხალხმა შეძლო აღეშენებინა დიდებული ტაძარი ესე წმიდისა სამებისა, სადიდებლად ღვთისა და მოსაქცევად ერისა ჩვენისა, მაგრამ მოწყალე ღმერთო, ჩვენ ვიყავით ოდენ მდაბალნი მუშაკნი შენნი. ეს შენ მოგვეც გულისხმისყოფა და ძალა, რათა შენს სადიდებლად და ჩვენდა ნუგეშად მოგვეერთმია ეს შესანირო.


აქ დაიღვრება მრავალი ცრემლი სინანულისა და განედღებთან გულნი ჩვენნი ცოდვათაგან მომყმარნი, განიწმინდება სული ჩვენი და აღდგება საქართველოც მკვდრეთით, ვითარცა ლაზარე.

ივერიელნო და ყოველნო მკვიდრნო საქართველოსისა, ისინეთ სიტყვანი უფლისანი: „აჰა, ესერა მიმიცემია წინაშე შენსა კარი განღებული, რომლისა დახშვად ვერვინ შემძლებელ არს“ (გამ. 3,8) მაშ, შევიდეთ კართა ამით, რათა ღირს ვიქმნეთ სასუფეველისა. ჰსცანთ წარმართთა და იძლიენით, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი“.

წმიდანო მეფენო, დედოფალნო, მამათმთავარნო და კათოლიკოს – პატრიარქნო საქართველოსისანო, მღვდელმთავარნო, მონაშენო, ღირსნო მამანო და დედანო, იხარეთ სავანესა მართალთასა და თქვენი ლოცვით მეოხ გვეყავით წინაშე ღვთისა, რათა განმტკიცდეს ჩვენში მართლმადიდებლური სარწმუნოება, სიყვარული და სასოება, რათა უფალმა მოგვანიჭოს მშვიდობა, ერთობა, სულთა ჩვენთა ცხოვნება და დიდი წყალობა.

სიმბოლურია ის ფაქტი, რომ მაცხოვრის შობის 2000 წლისთავისადმი მიძღვნილ და ოცსაუკუნოვანი ჩვენი ქრისტიანული ისტორიის სიმბოლურად გამომხატველი წმინდა ტაძრის კურთხევა შედგა, საქართველოს განსაკუთრებული მფარველის, წმიდა გიორგის ხსენების დღეს, შედგა იმ წელს, როცა შესრულდა 1700 წელი მისი წამებიდან. შევთხოვთ ღმერთს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, დიდმონაშე გიორგის, დალოცონ ყოველი ადამიანი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა ამ წმიდა ტაძრის მშენებლობაში. წმიდა სამება მ დალოცოს, გააძლიეროს ისინი და მათი ოჯახები.

ღვთივეკურთხეულნო ივერნო და ყოველნო მკვიდრნო საქართველოსისანო, გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს; ღმერთს ებარებოდეთ. იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.



- 405 წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის საახალწლო მილოცვა სრულიად საქართველოსადმი. 2005 წ.

წმიდა სამების ტაძარი აშენდა ღვთის განგებით, ღვთის ძალითა და ღვთის მადლით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არის ხელთუქმნელი ტაძარი... საოცარია, რომ ამ გაჭირვებისა და განსაცდელის ჟამს ქართველმა ხალხმა ააშენა დიდებული ტაძარი წმიდა სამებისა, წმიდა სამების სადიდებელი და სულიერი სავანე ჩვენი ერისა... რომელიც სიმბოლურად არის გამაერთიანებელი საქართველოსი, მთელი ქართველი ხალხისა. მთავარი ის არის რომ, ქართველმა ერმა ამით შექმნა ავტოპორტრეტი; და ყველას აჩვენა თუ შინაგანად როგორი ძლიერი ყოფილა. ეს დაფარული იყო ჩვენში და გამოვლინდა... ამ ტაძარმა ჩვენს ხალხს თავისი თავის რწმენა და იმედი შესძინა.



● 406 წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი. 2005 წ.





● 407.405 მსოფლიო საპატრიარქო რეზიდენციაში კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს და მსოფლიო პატრიარქ ყოვლადუწმიდეს დიმიტრიოს I-თან. 1979 წ.



© -109 საღმრთო ლიტურგიაზე კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს და მსოფლიო პატრიარქ ყოვლადუწმიდეს დიმიტრიოს I-თან ერთად. 1979 წ.

ჩვენ ვმადლობთ ღმერთს, რომ აღდგა ის ტრადიციული ურთიერთობა, რომელიც პირველი საუკუნეებიდან არსებობდა ჩვენს ორ უძველეს ეკლესიას შორის და გრძელდებოდა XIII საუკუნემდე. სამწუხაროდ, შემდეგ, ჟამთა ავბედობამ შეასუსტა ჩვენი კავშირი, მაგრამ ურთიერთსიყვარული, ურთიერთ-პატივისცემა და სიახლოვის დიდი სურვილი არასოდეს განელებულა.

თითქმის რვაასი წელია, რაც კონსტანტინეპოლში არ ყოფილა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. მე ბედნიერება მხვდა წილად და ღვთის ლოცვა-კურთხევით ჩამოვედი ამ დიდებულ ქალაქში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო ცენტრი ეკლესიური, კულტურული და სამეცნიერო ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.






● 414 კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს და მსოფლიო პატრიარქ ყოვლადუწმიდეს დიმიტრიოს I-ს ხელთ უყვრია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის სიგელი. 1990 წ.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდისა და ჩემი სახელით მადლობას გწირავთ თქვენ, თქვენო ყოვლადუწმიდესობავ, თქვენს წმიდა სინოდს, რომ მიიღეთ ახალი გადანყვეტილებანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და პატრიარქის ნოდების ცნობის თაობაზე, რომელიც ჩვენ უძველესი დროიდან გავგაჩნია.




● 410. 411. 412. 413. 415. 416 საღმრთო ლიტურგიაზე კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს და მსოფლიო პატრიარქ ყოვლადუწმიდეს დიმიტრიოს I-თან ერთად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის დღეს. 1990 წ.



● 417.418 მსოფლიო საპატრიარქო რეზიდენციაში კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს და მსოფლიო პატრიარქ ყოვლადუწმიდეს დიმიტრიის I-თან. 1990 წ.

● 419 ხაღმროთ ლიტურგიაზე კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს და მსოფლიო პატრიარქ ყოვლადუწმიდეს ბარდლომეოს I-თან ერთად. 1992 წ.



● 420, 421, 422 მსოფლიო საპატრიარქო რეზიდენციაში კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს და მსოფლიო პატრიარქ ყოვლადუწმიდეს ბარდლომეოს I-თან. 1992 წ.





● 423, 424, 425, 426 მსოფლიო საპატრიარქო რეზიდენციაში კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს და მსოფლიო პატრიარქ ყოვლადუწმადეს ბართლომეოს I-თან. 1992 წ.



◦ 127 კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს და მსოფლიო პატრიარქ ყოვლადუწმიდეს ბართლომეოს I-თან და მსოფლიო პატრიარქის მამასთან ერთად. 1992 წ.

თქვენო ყოვლადუწმიდესობავ, ბატონო ბართლომეოს, აღსრულდა ჩვენი დიდი სურვილი, კიდევ ერთხელ ვწვეოდით ეკუმენურ საპატრიარქოს, რათა პირადად მოგველოცა თქვენთვის მსოფლიო საპატრიარქო ტახტზე აღსვლა... ჩვენ გულითადად მოგესალმებით სრულიად საქართველოს სახელით, იმ ხალხის სახელით, რომელიც აი, უკვე თითქმის ოცი საუკუნეა მტკიცედ იცავს ქრისტიანულ სარწმუნოებას და მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციებს.

დღეს ჩვენ არ შეგვიძლია დიდი სიყვარულით და თაყვანისცემით არ გავიხსენოთ მისი ყოვლადუწმიდესობა, მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს I, რომელმაც ბევრი იღვანა მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის, ჩვენს საპატრიარქოთა დაახლოებისათვის. მისი უშუალო მონაწილეობით კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ სცნო საქართველოს ეკლესიისათვის უძველესი დროიდან მინიჭებული ავტოკეფალია და საქართველოს ეკლესიის მამამთავრისათვის პატრიარქის წოდება.

გამოვთქვამთ იმედს, რომ თქვენი ყოვლადუწმიდესობის დახმარებით აღდგება ისტორიული სამართლიანობა და მართლმადიდებლურ დიპტიქში დამტკიცდება საქართველოს ეკლესიის ისტორიული VI ადგილი...

ჩვენ ფრიად ვინოწებთ და მეტად ვაფასებთ ეკუმენური საპატრიარქოს ღვანლსა და შრომას მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთსულოვნებისა და მსოფლიოში მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის.





● 428, 429, 430, 431 კონსტანტინეპოლის მთავარ-
ეპისკოპოს და მსოფლიო პატრიარქ ყოვლად-
უწმიდეს ბართლომეოს I-თან ერთად. 1992 წ.



● 432-433 საღმრთო ლიტურგიაზე დიდისა ქალაქისა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპსა და პატრიარქ უნეტარეს ნიკოლოზ VI-სთან ერთად. 1984 წ.



საქართველოს ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ეგვიპტის მთავრობას, ასევე თქვენ, თქვენო უნეტარესობავ, რომ მოგვეცით საშუალება, ვწვეოდით დიდების შარავანდედით მოსილ ალექსანდრიის უძველეს ეკლესიას, ვწვეოდით იმ კურთხეულ ადგილებს, სადაც არაერთი უმნიშვნელოვანესი სინმინდეა დაცული, რომელთა მონახულება და თაყვანისცემა ჭეშმარიტად დიდი ბედნიერებაა ყოველი ქრისტიანისთვის.



● 434 განცდის მთაზე. 1981 წ.



● 435 აღდგომის ტაძარი. მაცხოვრის საფლაოთან.
1981 წ.



● 436 გენისარეთის ტბასთან. 1981 წ.

● 437 პარაკლისი მდინარე იორდანეს
ნაპირზე. 1981 წ.



● 438 ჭასთან, სადაც მაცხოვარი
შეხვდა სამარიტელ ქალს. 1981 წ.



უდიდესი სიხარულისა და მოკრძალების გრძნობით ვარ აღვსილი, რადგან მე და ჩემი თანმხლები პირნი ვიმყოფებით იმ წმიდა ადგილზე, სადაც ცხოვრობდა, ჯვარს ეცვა და აღდგა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. განუმეორებელია ეს გრძნობა ასევე იმიტომ, რომ ჩამოვედით იმ კურთხეულ და წმიდა ქალაქში, სადაც ჩვენს დიდ წინაპრებს უმოღვანიათ და აუშენებიათ არაერთი ტაძარი და მონასტერი, სადაც ღვთივანისკენებს ჩვენი დიდი რუსთაველი და მრავალი ქართველი წმიდა მამა. სწორედ უფლის უდიდესი რწმენა და სიყვარული ამოძრავებდათ ჩვენს მამებს, როცა ტოვებდნენ სანუკვარ სამშობლოს და მიდიოდნენ პალესტინის წმიდა ადგილებში სულიერი მოღვაწეობისათვის...

პალესტინაში ქართველებს მონასტრების მშენებლობა დაუწყიათ ჯერ კიდევ IV საუკუნეში. მარტო წმიდა ქალაქ იერუსალიმში ქართველებს ეკუთვნოდათ მრავალი ეკლესია-მონასტერი, მაგრამ დროთა განმავლობაში, მტრის გამუდმებული შემოსევების შედეგად უმრავლესობა ქართული ძეგლებისა დაზიანდა და დაინგრა. ზოგიერთი კი, საერთოდ აღიგავა პირისაგან მიწისა, ხოლო დანარჩენი გადავიდა სხვათა განმგებლობაში. ამას მოწმობს უამრავი ქართული ხელნაწერი, რომელიც ამჟამად დაცულია ვატიკანის, საბერძნეთის, პალესტინის, სირიისა და სხვა ქვეყნების მონასტრებსა და მუზეუმებში.



● 439.440 ჯვრის მონასტერი. წმიდა ილია მართლის პარაკლისი. 1987წ.

ეს სავანე IV საუკუნეში დააარსა და ააშენა ქართველთა პირველმა ქრისტიანმა მეფემ, წმიდა მირიანმა. XVIII საუკუნემდე იგი ჩვენ გვეუთვნოდა... მაგრამ შემდეგ, ჩვენი ქვეყნის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო, იერუსალიმის ეკლესიის იურისდიქციაში გადავიდა. ვფიქრობ, ჯვრის მონასტერში ქართველთა მოღვაწეობის განახლება ხელს შეუწყობს ჩვენი ეკლესიების, სახელმწიფოებისა და ხალხების დაახლოებას.



● 441.442.443 აღდგომის ტაძარი. საღმრთო
ლიტურგიაზე წმიდისა ქალაქისა იერუ-
სალიმისა და სრულიად პალესტინის
პატრიარქ უნეტარეს დიოდოროსთან
ერთად. 1987 წ.



● 444.445 ადღეობის ტაძარი. საღმრთო ღმერთურგიაზე წმინდა ქალაქისა იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქ უნეტარეს დიოდოროსთან ერთად. 1987 წ.

⊙ 446 ერთ-ერთი სასწავლებლის
მოსწავლეებთან. 1987 წ.



⊙ 447 ამაღლების შთა. ქართველ
ებრაელთან ერთად სასტუმრო
ინტერკონტინენტალში. 1987 წ.




ქართველთა სითბო და სიყვარული თან გაიყოლეს ისრაელში საცხოვრებლად წასულმა ებრაელებმა, რომელნიც დაუბრუნდნენ თავის ისტორიულ სამშობლოს. ამიტომაც არის, რომ ისინი ვერ ივიწყებენ საქართველოს, ქართულ ენას, ჩვენს კულტურას, აქ შეძენილ ჩვევებსა და ადამიანურ ურთიერთობებს.

გვჯერა, რომ არც მათი შთამომავლები, შვილები და შვილიშვილები, რომლებიც წმიდა მიწაზე დაიბადნენ და დაიბადებიან, არ დაივიწყებენ თავის წინაპართა მეორე სამშობლოს – საქართველოს, რადგანაც ებრაელ ერს მესხიერების გრძნობა გამორჩეულად გაფაქიზებული აქვს.



- 448.449 სომხეთის საპატრიარქოს წარმომადგენლებთან. 1987 წ.



◦ 450 ქრისტესშობის 2000 წლისთავი.
დევისშობლის საფლავთან.



◦ 451 ადღეობის ტაძარი. საღ-
მრთი ღვთისმშობლის შაცხოვრის საფ-
ლაგზე. 2000 წ.



◦ 452 საღმრთო ღვთისმშობლის შუმ-
დეგე საქართველოს ეკლესიის სასუ-
ლიერო პირებთან ერთად. 2000 წ.



© 453 პანაშვიდი ზეთისხილის ქობაზე. 2000 წ.




© 454 წმიდა ადგილების მლოცვის დროს. 2000 წ.



© 455 საპატრიარქო რეზიდენციაში წმიდა ქალაქისა იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქ უნეტარეს დიოდოროსთან. 2000 წ.



- 456 ჯერის მონასტერი. საღმრთო ღიატურგიაზე. 2000 წ.



● 457 წმიდა ადგილების მონღოლეთის დროს. 2000 წ.



● 458 პაღესტინის მეთაურთან იასირ არაფატთან. 2000 წ.




● 459 სასტუმრო „დავითში“. 2000 წ.



● 460 სხვადასხვა ქვეყნების პატრიარქებთან და სასულიერო პირებთან ერთად სასტუმრო „დავითში“. 2000 წ.



● 461.462 მოსკოვი. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ეწმიდეს პიმენთან ერთად. 1979 წ.



● 463.464.465 ზაგორსკი, მოსკოვისა და სრულიად
რუსეთის პატრიარქ უწმიდეს მიქეილან. 1979 წ.



● 466 ზეთისცხება. 1979 წ.



● 467 ზაგორსკი. კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სასულიერო აკადემიის საპატიო წევრად არჩევა. 1979 წ.



● 468 შეხვედრა მონაზვნებთან. 1979 წ.



ეს კონფერენცია ჩვენი დროის მეტად პოზიტიური მოვლენაა და მე მაღლობას ვუხედავ მის უწმიდესობას, სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქ პიმენს მოწვევისათვის... დღეს კაცობრიობას სამართლიანობა და ადამიანური ღირსების აღდგენა სწყურია. შევამცირეთ ომის საშიშროება და შევქმნათ პირობები მშვიდობისათვის – ესაა ჩვენი წმიდა ვალი მსოფლიოს წინაშე. შეგვენიოს ღმერთი.



● 469, 470, 471 ზაგორსკი. სამეცნიერო კონფერენციაზე – „რელიგიის მოდერნიზაციის პრობლემა კატასტროფისგან სიცოცხლის გადასარჩენად“. 1982 წ.



● 172 აქტი მოსკოვი. რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავზე. 1988 წ.

რუსული ეკლესიის ათასწლოვანი ისტორია – ეს არის ქრისტეს ჯვრისმტვირთველობის ათასწლოვანი გზა; ეს არის წმიდანთა დასები, ეს არის ქრისტიანული სიყვარული; ეს არის ბრძოლა ჭეშმარიტი რწმენისა და მამულისათვის. ეს არის სულიერ ფასეულობათა შექმნა და ზრუნვა მათი შენარჩუნებისათვის.

მართალია, ქრისტიანობა რუსეთში ბიზანტიიდან შემოვიდა, მაგრამ როდესაც რუსული ეკლესიის ისტორიას, ტრადიციებსა და კულტურას განვიხილავთ, ვხედავთ, რომ იგი რუსეთში, უპირველესად, მაინც თვითგამოვლინებად იქცა. და ესაა ყველაზე მთავარი. ეკლესია რუსი ხალხის სული გახდა და დღემდე ამაღ რჩება.

მომზადებულია საზღვარგარეთ
რუსეთი



● 174, 175 ლენინგრადი. 1989 წ.



● 176 ლენინგრადის სახელმწიფო აკადემიის 30 წლისთავზე. 1989 წ.



● 477. 476 ეკლესიათა შეთარების, ეკლესიის მოღვაწეთა და რელიგიურ გაერთიანებათა წარმომადგენლების სხდომაზე. 1989 წ.

მსოფლიოს გამორჩეული მოღვაწენი, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენელნი, მუშები, გლეხები, ახალგაზრდები – საერთოდ ყველანი სწუხან და ფიქრობენ იმაზე, თუ რა შეიძლება მოუტანოს მსოფლიოს ბირთვულმა ომმა და როგორ ავიცილოთ იგი თავიდან...

ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიის მსახურთა მოღვაწეობას. ჩვენ კვლავაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მშვიდობის იდეამ მოიცვას რელიგიური და არა მარტო რელიგიური, არამედ მთელი სამყარო.



○ იქნა მოსკოვი. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ უწმიდესი პიმენის დაკრძალვაზე. 1990 წ.

როდესაც ჩვენ უწმიდესი პატრიარქის პიმენის ცხოვრებას შორიდან ვუყურებთ, ვხედავთ მხოლოდ მის სიღიადეს, გვახსენდება სადღესასწაულო ღვთისმსახურებანი, წირვა-ლოცვანი, მაგრამ ვერ ვხედავთ იმ მძიმე განსაცდელსა და დევნას, რომელიც მან გადაიტანა, ვერ ვხედავთ მის თავგანწირულ მსახურებას, მის უძილო, ლოცვით გათენებულ ღამეებს, მის ცრემლებსა და ტანჯვას, იმ მძიმე ჯვარს, რომელიც მას თავისი მხრებით მიჰქონდა... ჩემთვის იგი ყოველთვის იყო სულიერებისა და ეკლესიურობის მაგალითი.



დიდია ჩვენი სიხარული, რადგან დღეს, უფლის ნებით, პატრიარქის ტახტზე ავიდა ღირსეული მემკვიდრე, უნმიდესი პატრიარქი მოსკოვისა და სრულიად რუსეთისა ალექსი II...

თქვენო უნმიდესობავ, დღეს თქვენ უფალმა მოგანდოთ ვრცელი სამწყსო სრულიად რუსეთისა, მოგანდოთ მაშინ, როცა აუცილებელი გახდა გადანყვება ეკლესიის წინაშე დასმული მრავალი პრობლემისა. იესო ქრისტე იყოს თქვენზე შემწე ამ სიძნელეთა გადალახვაში.



● 180, 181, 182, 183, 184, 185 მისკოევი, მისკოვისა და სრულიად
რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ალექსი II-ის აღსაყდრებაზე,
1990 წ.



● 418 სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. 1996 წ.

მიუხედავად ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი სირთულეებისა, სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიამ შეძლო გაეგრძელებინა ის დიდი ტრადიციები, რომელსაც საფუძველი მისი დაარსებისას ჩაეყარა...

დღეს, როცა თანამედროვე ცხოვრება ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავეით აყენებს ახალ-ახალ პრობლემებს, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ დავეხმაროთ ხალხს, არ დაკარგონ ქრისტიანული გზა მარადიულობისა და სინათლისაკენ. ჩვენი საღვთისმეტყველო სკოლები სწორედ ამისთვის არიან მოწოდებულნი.



● 487 სანქტ-პეტერბურგის შესტაკოვის ყოვლადწმიდა
ღვთისმშობლის სახელობის მშენებარე ქართულ
ეკლესიაში. 1996 წ.




● 488 მოსკოვი. საქართველოს საელჩო. საქართველოს
ელჩ ვაჟა ლორთქიფანიძესთან. 1997 წ.



● 489 მოსკოვის ქართულ გიმნაზიაში. 1997 წ.

პატრიარქი





© 490, 491, 492, 493, 494: მოსკოვი. წმიდა სერგი რადონეველის ლავრაში საღმრთო ლიტურგიაზე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ უწმიდეს ალექსი II-სთან ერთად. 1997 წ.

სწორედ აქ, ამ ლავრაში, წმიდა სერგის მფარველობითა და კურთხევით ავირჩიე ჩემი ცხოვრების გზა – ბერობა. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდესმა პატრიარქმა ალექსი I-მა სწორედ აქ, წმიდა სერგის ტაძარში დამასხა ხელი მღვდელმონაზვნად... მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენებიდან უკვე მრავალი წელი გავიდა, ლავრასა და მის დამფუძნებელთან სულიერსა და ლოცვით კავშირს მუდმივად ვგრძნობ.



● 495 ვლადიკავკაზის აეროპორტში. 1997 წ.



● 496 ვლადიკავკაზი. საღმრთო ლიტურგიაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის შშობილების მიერ აშენებულ ტაძარში – ტაძრის აშენების 50 წლისთავთან დაკავშირებით. 1997 წ.



- 497 ვლადიკავკაზი. საღმრთო ღვთისმეტყველებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მშობლებს მიერ აშენებულ ტაძარში – ტაძრის აშენების 50 წლისთავთან დაკავშირებით. 1997 წ.



- 498 ვლადიკავკაზი. ქუჩა, სადაც ბავშვობაში ცხოვრობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. 1997 წ.



● 499.560 ვლადიკავკაზი. შშობლფურ კუთში. 1997 წ.



● 501 ვლადიკავკაზი. საზლი, სადაც დაიბადა უწშიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. 1997 წ.



● 502 ვლადიკავკაზი. მე-19 ქართული საშუალო სკოლა, რომლის ეზოში იდგა წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია, სადაც მოინათლა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. 1997 წ.



● 503 ვლადიკავკაზი. მთავრობის სახლში. 1997 წ.



● 504 მოსკოვი. საღმრთო ღვთისმშობლის
მაცხოვრის სახელობის ტაძრის
კუროსუფასიან დაკავშირებით. 2001 წ.



● 505.506 მოსკოვი. ხიწმადეების
თაყვანისცემის დროს. 2001 წ.

© 507 მოსკოვი. შატალოვის სახელობის
ტაძრის კურთხევასადმი მიძღვნილ
ხედიმანე. 2001 წ.



© 508. 509 მოსკოვი. შატალოვის სახელობის
ტაძართან მოსკოვისა და სრულიად
რუსეთის პატრიარქ ევსემიუს ალექსი II-
სთან, სხვადასხვა ქვეყნების პატრიარქებ-
თან და სასულიერო პირებთან ერთად.
2001 წ.





● 51 უნგრეთ-ვლახეთის მიტროპოლიტ და ბუქარესტის მთავარეპისკოპოს და სრულიად რუმინეთის პატრიარქ უნეტარეს თეოქტისტესიან. 1996 წ.

მოხარულნი ვართ, რომ ვიმყოფებით იმ ქვეყანაში, სადაც პირველ საუკუნეში იქადაგა მოციქულმა ანდრია პირველ-წოდებულმა, რომელიც ასევე არის საქართველოს განმანათლებელი...

ანთიმოზ ივერიელი ბრძანდება ის პიროვნება, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუმინეთის ისტორიაში და, რომელმაც მტკიცედ დააკავშირა ჩვენი ორი ერი და ეკლესია. ეროვნებით ქართველი წმიდა ანთიმოზი გახდა თავდადებული სულიერი მამა რუმინელი ხალხისა და მას შესწირა თავისი სიცოცხლე. ქართველი ერისა და ჩვენი ეკლესიის სახელით მსურს, გამოვთქვა დიდი სიხარული და მადლიერება თქვენი წმიდა სინოდის მიერ მისი წმიდანად შერაცხვის გამო.

პეტრინონ-ბაჩკოვოს მონასტრის ცხრაას-წლოვანი მატთანე ნათელს ჰფენს ჩვენი ორი ერთმორწმუნე ქვეყნის – ბულგარეთისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვან მეგობრობას...

გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაარსებული პეტრინონის ეს დიდებული ქართული სავანე (სხვა ქართული მონასტრების მსგავსად) წარმოადგენდა, როგორც ლოცვისა და სულიერი მოღვაწეობის, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრს. აქ ინერებოდა და ითარგმნებოდა საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ლიტერატურა. იგი იქცა იმ ბრწყინვალე ადგილად, რომელმაც დააკავშირა და გაამდიდრა ქართული და ბულგარული კულტურა.



- 511.512 პეტრიწონის მონასტერი. პეტრიწონის მონასტრის 900 წლისთავთან და ბულგარეთის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 30 წლისთავთან დაკავშირებით აღვლენილ საღმრთო ლიტურგიაზე სრულიად ბულგარეთის პატრიარქ უწმიდეს მაქსიმესთან ერთად. 1982 წ.



● 519 პეტრიწონის მონასტერი. 1982 წ.



● 514 სვდობის მსველელობის. 1987 წ.



© შპს ქ. ლარნაკა. მსვლელობა მოციქულ ბარნაბას სახელობის ტაძრისკენ.
2001 წ.

ჩვენ დიდი სიყვარულით ჩამოვედით თქვენს ბრწყინვალე ქვეყანაში და გვაქვს სურვილი, გავაგრძელოთ საუკუნეთა მანძილზე არსებული ძმური ურთიერთობა. კვიპროსის სინმიდეთ და ეკლესია-მონასტრებს დიდ პატივს სცემდნენ ჩვენი მეფეები და დიდებულები, ამიტომაც ხშირად ეხმარებოდნენ. ამასთან, ქართველებიც მრავლად ცხოვრობდნენ აქ. მათ კოლონია ჰქონდათ ნიქოზიაში, რამდენიმე მონასტერი ალამანის რაიონში; მათ შორის ლალიას, იგივე ჟალიას ეკლესია, რომელიც განამშვენა და შეამკო თამარ მეფემ.

ჩვენი ორი ქვეყნის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კიკუს მონასტერს. აქ დღესაც დაცულია ქართველ დიდებულთაგან შენირული საეკლესიო ნივთები, მათ შორის ერეკლე მეფისეული ცნობილი დაფარნა, რომელიც სახეს უფარავდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლუკა მახარებლისეულ ხატს...

არ შემიძლია აგრეთვე არ აღვნიშნო ორივე ქვეყნის განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ მკვდრეთით აღმდგარი წმიდა ლაზარეს მიმართ.



● 516.517.518 ბარნაბა მოციქულის სახელობის ტაძარი. საღმრთო ლიტურგიაზე ახალი იუსტინიანესი და სრულიად კვიპროსის მთავარეპისკოპოს უნეტარეს ქრიზოსტომოსთან ერთად. 2001 წ.



○ 519 კიკოსის მონასტერში. 2001 წ.



○ 520 პანაშვიდი მთავარეპისკოპოს მაკარიოსის საფლავთან. 2001 წ.



● 521 წმიდა ნაწილების თაყვანისცემის დროს. 2001 წ.



● 522 ნიქოზია. შთაფარებისკობის ქრისტიანობის რესიდენციაში. 2001 წ.




● 523 ქ. ნიქოზიის ციხეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების დროს დაღუპულ გმირთა საფლავებთან. 2001 წ.




● 524 საეკლესიო ხელოვნების მუზეუმში სამთაფარებისკობის რესიდენციაში. 2001 წ.

○ 525 შეხვედრა კვიპროსის
პრესიდენტთან. 2001 წ.



○ 526, 527 დალია. პარაკლისი ქართული მონასტრის
ნანგრევებთან. 2001 წ.



● 528.529 ათონის მთა. ივერონის მონასტერი.
ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის
ხატთან. 2004 წ.



● 530 ათონის მთა. წმიდა ათანასეს ლავრა. წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი. საღმრთო ღიბტურგიაზე საქართველოს ეკლესიის მღვდელმსახურებთან ერთად. 2004 წ.

ჩვენ დიდი მოკრძალებითა და სიყვარულით მოვედით ამ წმიდა მონასტერში, რათა თაყვანივსცეთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას ივერიისას, თაყვანივსცეთ ჩვენს დიდ წინაპრებს: წმიდა იოანეს, ექვთიმეს, გიორგის, გაბრიელს, თორნიკეს და სხვათა – ქტიტორთა წმიდისა ამის მონასტრისათა...

იმედი მაქვს, რომ სულიერი კავშირი მუდამ იქნება საქართველოსა და თქვენს შორის. გამოვთქვამ იმედს, რომ თქვენთან ერთად ამ წმიდა მონასტერში იმოღვანეებენ ქართველი ბერებიც.

ათონის მთის ივერთა წმიდა მონასტერი მარადჟამს იყო და დარჩება ქართული სამოციქულო დედა-ეკლესიის სულის განუყრელ ნაწილად.



● 531 ელადის მარილმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ უძაღლესი ჯიღდის – წმიდა პავლე მოციქულის ორდენის გადაცემის დროს. 2004 წ.



● 532 პარაკლისი ატიკის სამიტროპოლიტოს წმიდა პარაკლიტონის მამათა მონასტერში ათენის და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოს უნეტარეს ქრისტოდულისთან ერთად. 2004 წ.



● 533 შეხვედრა ათენის მერთან. 2004 წ.



● 534 ქ. ათენი. აკროპოლისი. საქართველოსა და საბერძნეთის ეკლესიის წარმომადგენლებთან და ქართული ეკლესიის მრევლთან ერთად. 2004 წ.



● 535.536.537 საღმრთო ლიტურგიაზე ვაშინგტონის მთაფარეუბისკოპოს და სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტ უნეტარეს თეოდოსიან ერთად. 1986 წ.



○ 538 ვაშინგტონი. საღმრთო ღვთისმშობელზე წმიდა ნიკოლოზის სახელობის
ტაძარი. 1999 წ.

თქვენი უნეტარესობის მოწვევით სიხარულით ვესტუმრეთ აშშ-ს. ეს არის ჩემი მეოთხე ვიზიტი თქვენს ქვეყანაში, მაგრამ იგი განსაკუთრებულია იმიტომ, რომ ამჟამად აქ ჩამოვედით დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოდან.

ჩვენი მიზანია, განმტკიცდეს ურთიერთობა საქართველოსა და ამერიკის მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის და გაღრმავდეს თანამშრომლობა ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის...

გვახარებს, რომ შედარებით ახალგაზრდა ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესია სულ უფრო იკრებს ძალას და იზრდება მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. ამაში დიდი როლი თქვენი უნეტარესობის დამსახურება...

ფაქტია ისიც, რომ ამერიკის გავლენაც მსოფლიოში კიდევ უფრო გაიზარდა. უკვე ყველა კარგად გრძნობს, რომ აშშ-ს დღეს სულ უფრო გამოკვეთილად ეკისრება მსოფლიო მშვიდობის გარანტის მოვალეობა. ეს არის დიდი პატივი, მაგრამ ამასთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობაც.



© 539 ვაშინგტონი. წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი. ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსის და სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტ უნეტარეს თეოდოსთან და ქართველი ხავისიტოშის წარმომადგენლებთან ერთად. 1999 წ.



© 540,541 ვაშინგტონი. ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსის და სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტ უნეტარეს თეოდოსთან. 1999 წ.

○ 512 ვაშინგტონი. საღმრთო ლიტურგიაზე ვაშინგტონის მთაწარემისკოპოს და სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტ უნეტარეს თეოდოსიან ერთად. 1999 წ.



○ 513 მადარი კლინტონთან თეთრ ხაღმა. 1999 წ.



○ 544 ბალტიმორი. ბალტიმორის მურთან. 1999 წ.





● 545, 546 პენსილვანია, საღმრთო ლიტურგიაზე. 1999 წ.



● 547 ნიუ-იორკი. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტში. 1999 წ.

○ 518 ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების
ორგანიზაცია. 1999 წ.



○ 520 მიცუაღებულთა მოსახსენებელი პანაშვი-
დი პენსილვანიის სასაფლაოზე. 1999 წ.



○ 550 პენსილვანია. მთავარეპისკოპოს პედრანს
რეზიდენციაში. 1999 წ.





● 531 ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია და ინდოეთის პრეზიდენტი შრი ფანრუდდინ ალი ახმედი. 1977 წ.



● 532 აღმოსავლეთის პატრიარქ-კათოლიკოს და მალაბარის მიტროპოლიტ უნეტარეს ბასილი მარ თიმბა მათე 1-თან ერთად. 1982 წ.

ჩვენს მატრიანეში – „ქართლის ცხოვრება“-ში საქართველოსა და ინდოეთს შორის ურთიერთობაზე საუბარია V საუკუნიდან, როცა საქართველოში მეფობდა ვახტანგ გორგასალი. საერთოდ კი, ინდურ სამყაროსთან ჩვენი კონტაქტი გაცილებით შორეულ საუკუნეებში პოულობს დასაბამს...

მინდა, აღვნიშნო ის ფაქტი, რომ XVII საუკუნეში ინდოეთის დედოფალი იყო ქართველი ქალი და იმდენად დიდი გავლენა ჰქონია მის მეუღლე შაჰ დარუზე, რომ იგი გააქრისტიანა...

ჩვენს ეკლესიებს შორის ურთიერთობისათვის, ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში ინახება თქვენი ქვეყნის განმანათლებლის წმიდა თომა მოციქულის თავის ქალა.

ასე, რომ ჩვენი ერების ურთიერთკავშირს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.



● 553 თაუისუფალ დროს. 1982 წ.



● 554 აეროპორტში. 1982 წ.



● 555 ცოცხელთა სიმების პატრიარქ-კათოლიკოს უწმიდეს ვაზგენ I-თან. 1985 წ.



● 556, 557 წიწუნაკარბერდის (გენოციდის მსხვერპლთა მემორიალი) გვირგვინებით შემკობა. 1985 წ.



● 558 ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოს უწმიდეს გარეგინ I-თან. 1997 წ.

ჩვენ ვენვიეთ თქვენს ქვეყანას, რათა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ერმიადინის საკათალიკოსო ტახტზე არჩევა და გამოვხატოთ ჩვენი კეთილი დამოკიდებულება სომეხი ხალხის მიმართ.

მეტად დიდია მნიშვნელობა და როლი ერმიადინისა და სომხეთის სამოციქულო ეკლესიისა თქვენი ერის ცხოვრებაში. სწორედ მასშია ნათლად წარმოდგენილი სულიერი ძალა და კულტურა თქვენი ნიჭიერი და თავისუფლებისმოყვარე ხალხისა...

დღეს, როცა საქართველო და სომხეთი უკვე დამოუკიდებელი ქვეყნებია, პოსტსოციალიტარული პერიოდის მრავალი უმძიმესი პრობლემა კვლავ ურთიერთთანადგომით გვაქვს გადასალახი...

როგორც ვიცით, ურთიერთობა ქართველებსა და სომხებს შორის მრავალსაუკუნოვანი, ნაყოფიერი და საინტერესოა. ერთი რამ იყო დამახასიათებელი ჩვენი ქვეყნებისათვის: როცა უჭირდა სომხეთს, უჭირდა საქართველოსაც; როცა ძლიერი იყო საქართველო, მშვიდობიანად იყო სომხეთიც.



● 554 ლეკელი. წმიდა ნინოს სახელობის ქართული ტაძარი. საღმრთო ლიტურგიაზე ღვკანონი ილიასთან (მელია) ერთად. 1979 წ.

დღეს მართლაც განსაკუთრებული დღეა ჩემთვისაც და თქვენთვისაც: მადლობა ღმერთს, რომ აქ, ამ შორეულ საფრანგეთში არის პატარა ქართული კერა, ეკლესია წმიდა ნინოსი, სადაც ქართულად აღევლინება წირვა-ლოცვა...

მსურს, დავლოცო ეს წმიდა ტაძარი, მსურს, დავლოცო მამა ილია, რომელიც ამდენს შრომობს თქვენი სულის ცხოვნებისათვის. მინდა, დავლოცო ყოველი ქართველი, რომელიც აქ ცხოვრობს. ეს პატარა ტაძარი – პატარა საქართველოა. ვისაც არა გაქვთ საშუალება, რომ დიდ საქართველოში წამობრძანდეთ, აქ, კვირაში ერთხელ მაინც უნდა მოხვიდეთ, გაუზიაროთ თქვენი დარდი უფალს და ერთმანეთს მოესიყვარულეთ.

დარწმუნებული ვარ, დადგება ის ბედნიერი დღე, როცა ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით.

© შპს რომის პაპ უწყშიდეს იოანე-პავლე II-სთან.
1979 წ.



© შპს მართლმადიდებლურ ტაძარში. 1980 წ.



ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ ვიზიტს, რადგანაც ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ერთმანეთს ხვდებიან რომისა და საქართველოს ეკლესიის მეთაურები...

ჩვენ დიდად ვაფასებთ რომის კათოლიკური ეკლესიის იმ დიდ წვლილს, რომელიც მას შეაქვს ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.




● შპს ბიბლიოთეკაში. 1988 წ.



● შპს ერთ-ერთი ხასწავლებლის მოხსწავლეუბიანი. 1988 წ.



● შპს შპს ქიშიისა და ფარმაცეუტულ კვლევი ინსტიტუტში. 1988 წ.



● შპს ერთ-ერთი ფერმაში. 1990 წ.



ქართველი ერი და საქართველოს ეკლესია მუდამ მშვიდობის სადარაჯოზე იდგა და ასე იქნება მომავალშიც...

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავია მშვიდობის საკითხი. მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევების ხანაში კაცობრიობამ დააგროვა ისეთი მძლავრი იარაღი, რომელსაც შეუძლია რამდენჯერმე მოსპოს სიცოცხლე დედამიწაზე. განა შეიძლება ასეთ შემთხვევაში ეკლესია მხოლოდ მაყურებლის როლში იყოს და არ აღიმადლოს ხმა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად?!...

ჩვენ, ქრისტიანებმა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მაცხოვრის შობის 2000 წელს ჩვენი პლანეტა აყვავებული და მშვიდობიანი შეხვდეს.



● 587.568 მსოფლიოს ეკლესიათა მეთაურების
კონფერენციაზე. 1990 წ.



● 568 ლონდონი. ბერძნულ ტაძარში. 1995 წ.



● 570 შიტროპოლიტ გრიგოლიან ერთად. 1995 წ.



● 571 კენტერბერის მთავარეპისკოპოს ჯორჯ კართან ერთად. 1995 წ.



● 572 საქართველოს საელჩოში. 1995 წ.



ფოტო 1: ინგლისში მცხოვრებ ქართველებთან. 1995 წ.



ფოტო 2: ლინდისის აერობორტში. 1995 წ.

ჩვენი კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება, არქიტექტურა, მწერლობა, საერთოდ აზროვნება... მთლიანად ქრისტიანულ ნიადაგზეა დაფუძნებული. საქართველოს ეკლესია ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს ჩვენი ერის ცხოვრებაში; ამიტომაცაა იგი ეროვნული და ტრადიციული.

მიუხედავად მართლმადიდებლური აღმსარებლობის მრავალ-საუკუნოვანი ტრადიციისა, საქართველოს საპატრიარქოს ახლო ურთიერთობა აქვს სხვა დენომინაციებთან.

მოხარულნი ვართ, რომ ბოლო პერიოდში მეგობრული ურთიერთობა მტკიცდება საქართველოს ეკლესიასა და ანგლიკანურ ეკლესიას შორის...

ჩვენი ერი კარგად იცნობს თქვენს მაღალ კულტურას, თქვენს ლიტერატურას, მეცნიერებას და, ვფიქრობთ, ჩვენი კონტაქტები ორივე მხარისათვის მრავალმხრივი და ნაყოფიერი იქნება.



● 575 მიუნხენი, გერმანიაში მცხოვრებ ქართველებთან. 1988 წ.



● 576 გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ კლაუს კინკელთან. 1996 წ.



● 577 ბიბერბახი, პრესკონფერენციაზე. 1996 წ.



● 578 ბიბერბახის მერთან. 1996 წ.



● 579 შიუნენი. 1996 წ.



● 580 საარბრუკენი. გერმანულ პროდუსერთან პერმან
ვედეკინდთან. 1996 წ.



© 581 შტუდგანდი. 1998 წ.



© 582.583 სოფ. ვიბლინგუერდე. კახურების
მონადირეთა სახლ-მუზეუმში. 1998 წ.



● 584 პრიდენსდორფი. საქართველოდან სამკურნალოდ
გაგზავნილ ბავშვებთან. 1998 წ.



● 585 ბონი. ბერძნული ტაძარი. საღმრთო ღვთისმშობელს
გერმანიის მიტროპოლიტ ყოვლადუწმიდეს აფგუსტინეს-
თან ერთად. 1998 წ.



● 586 დორტმუნდი. ქალაქის მერთან ლორენც
ლადაუესთან. 1998 წ.




● **მწ.** ხაბრულაძის მერიანი. 1998 წ.



● **ნაზ.** დორტუნი. გერმანელი პრიდიუსერის ფრიდელმ ბრიუკნერის მიერ საქართველოზე შექმნილი ფილმის „რწმენის აღორძინება“ პრემიერაზე. 1998 წ.



● **ნაზ.** სიფ. ვლასტუტენი. გერმანელ პრიდიუსერთან ფრიდელმ ბრიუკნერთან თვინში. 1998 წ.




● 590, 591, 592 შვეკსპოფი. თაფისუფად დროს. 1998 წ.



● 569.594: ხაერთაშორისო სიმბოზოუმზე „რელიგია, მეცნიერება და გარემო“, კრუიზი შავი ზღვის გარშემო. 1997 წ.

მომზადდება საზღვარგარეთ
ქრუიზი შავი ზღვის ბარამო
კოლანდია




● 597 შავი ზღვის ენერჯითი მიმუშავებენ ერთ-ერთ ქარხანაში. 1999 წ.



● 597 ქარხნის სხდომათა დარბაზში. 1999 წ.



● 598 ერთ-ერთ ფერმაში. 1999 წ.



● პაპ ირანის პრეზიდენტ მუჰამედ ჰათანთან. 2001 წ.



○ 600 ფერეიდნულ ქართველებთან. 2001 წ.

საქართველო-ირანის ურთიერთობის ფესვები ძველი ნელთალრიცხვის შორეული წარსულიდან იწყება. იმ უძველესი დროიდან XIX ს-მდე არ დამცხრალა დაპირისპირება ჩვენს ქვეყნებს შორის. ირანი იყო სახელმწიფო, რომელსაც ყოველთვის სურდა თავის მფლობელობაში ჰქონოდა ჩვენი მიწა-წყალი და ამ მიზნის მისაღწევად მკვეთრ ნაბიჯებს დგამდა. მიუხედავად ურიცხვი შემოსევისა, ქართველი ხალხი ბოლომდე არ გამტყდარა და მრავალგზის დარბეული და განადგურებული, შემდეგ კი ფენიქსივით აღმდგარი, კვლავ იწყებდა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის...

მე ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნების – ირანისა და საქართველოს რელიგიური ლიდერები და სასულიერო მოღვაწენი, ჩვენი ხელისუფალნი და საზოგადოება მზად არიან, რათა მსოფლიოს ვუჩვენოთ მაგალითი იმისა, რომ რელიგიური განსხვავებულობის და წარსულში დაპირისპირების მიუხედავად, შეგვწევს უნარი ურთიერთპატივისცემისა, უნარი მშვიდობიანი და მეგობრული თანაარსებობისა.



◦ 601 ტაო-კლარჯეთის საზღვარზე, 2003 წ.



◦ 602 ხახული, ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. პარაკლისი საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებთან ერთად. 2003 წ.



● 1997 ი.ო. საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის
წევრებთან და მრევლთან ერთად. 2003 წ.



● 1997 ი.ო. პარაკლისი საქართველოს ეკლესიის
წმიდა სინოდის წევრებთან ერთად. 2003 წ.

○ 605 ხინახუხი, კონსტანტინეს და ელენეს სახელობის ტაძარი, საღმრთო ლიტურგიაზე კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს და მსოფლიო პატრიარქ ყოვლადუწმიდეს ბართლომეოს I-თან და ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპსა და პატრიარქ, უნეტარეს პეტრე VII-სთან ერთად, 2003 წ.



○ 606 კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს და მსოფლიო პატრიარქ ყოვლადუწმიდეს ბართლომეოს I-თან, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპსა და პატრიარქ, უნეტარეს პეტრე VII-სთან და საქართველოს ეკლესიის წმიდა ხინოდის წვეგრებთან ერთად, 2003 წ.



● 607 კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს და მსოფლიო პატრიარქ ყოვლადუწმიდეს ბართლომეოს I-თან და ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპსა და პატრიარქ, უნეტარეს პეტრე VII-სთან ერთად, 2003 წ.





ქართველს ყველაფერი საუკეთესო სხვისთვის, სტუმრისთვის, გარეშეთათვის ემეტება. „საუცხოო“ – ე.ი. უცხოსათვის განკუთვნილი, ასე უწოდებს იგი ყველაზე ლამაზს, მშვენიერს, კარგს.

ჩვენი ცხოვრების წესადაა ქცეული გამოთქმა: სტუმარი ღვთისაა. ვინც არ უნდა იყოს იგი ქართველი თუ არაქართველი, ქრისტიანი თუ არაქრისტიანი, მტერი თუ მოყვარე, თუ ის სტუმარია, მისი პატივისცემა პიროვნების, ოჯახის, ერის ღირსებად ითვლება.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ მიუხედავად მრავალეროვანი მოსახლეობისა, საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი ეროვნული ან სარწმუნოებრივი ნიშნით დევნას; ამიტომაც არის, რომ აქ გვერდი-გვერდ საუკუნეებია მშვიდობიანად მკვიდრობენ მუსლიმები, იუდეველები, ქრისტიანები და სხვა რელიგიების მიმდევარნი; მაშინაც კი, როდესაც მწვავედობდა ურთიერთობა ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, საქართველოში მცხოვრები ამ ქვეყნის წარმომადგენლობისადმი დამოკიდებულება კვლავ შემწყნარებლური რჩებოდა. ურთიერთობის ეს წესი არ შეცვლილა ჩვენს თანამედროვე ყოფაშიც... მოყვასისადმი ასეთი მიდგომა ქართველ ადამიანში მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების დიდი პატივისცემიდან და სიყვარულიდან მომდინარეობს.



• 1988 წ. შესეულრა თბილისის აეროპორტში.

ჩვენი უძველესი საპატრიარქოების კავშირს დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოს და კონსტანტინეპოლის ეკლესიები ხომ წმიდა ანდრია პირველწოდებულის მიერაა დაარსებული.

ჩვენს სიახლოვეს პირველი საუკუნიდანვე ჩაეყარა საფუძველი; აქტიური ურთიერთობა კი იწყება IV საუკუნიდან, როცა ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა...

ჩვენს ეკლესიათა ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ათონის ივერთა მონასტერს, რომელიც ქართველმა მამებმა, იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმიდელებმა დააარსეს. ეს საგანე დიდი ხნის მანძილზე იყო, როგორც ლოცვისა და სულიერი მოღვაწეობის, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. იგი იყო ხიდი საქართველოსა და ბიზანტიას შორის. სამწუხაროდ, ამ მონასტერთან ჩვენი კავშირი არ არის მტკიცე. დარწმუნებული ვართ, თქვენი ლოცვა-კურთხევით, თქვენო ყოვლადწმიდესობაგ, დადგება ის კურთხეული დღე, როცა ქართველი ბერები ჩავლენ ივირონში და ბერძნებთან ერთად იმოღვაწებენ.



- 616. 611 სიონის საკათედრო ტაძარი. საღმრთო ლიტურგიაზე. 1988 წ.

სტუმრად პატრიარქთან

ყოვლადუნგიდუნი დიმიტრიოს I, კონსტანტინეპოლის, –
ახალი რომის მთავარეპისკოპოსი და მსოფლიო პატრიარქი



● 612 სიონის საკათედრო ტაძარი. საღმრთო ლიტურგიაზე. 1988 წ.



● 613 მცხეთა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. საღმრთო ლიტურგიაზე. 1988 წ.



● ნი: ხათუნის საკათედრო ტაძარი. საღმრთო ლიტურგიაზე. 1994 წ.




● 615 კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში. 1994 წ.

მართალია, ადრე თქვენ უკვე რამდენჯერმე ბრძანდებოდით ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ეს ვიზიტი ორივე ეკლესიისათვის განსაკუთრებულია და ისტორიული, რადგან ახლა თქვენ საქართველოს ენციეთ, როგორც უძველესი და უპირველესი ეკლესიის მამამთავარი და მსოფლიო პატრიარქი, ღირსეული გამგრძელბელი იმ ტრადიციებისა, რომელიც ეკუმენურ საპატრიარქოს ახასიათებდა და ახასიათებს...

IV საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანულ საქართველოსა და საბერძნეთს შორის საფუძველჩაყრილი ურთიერთობა, როდესაც იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა პატივისცემისა და ურყევი მეგობრობის ნიშნად მირიან მეფეს საჩუქრად გამოუგზავნა სამსჭვალე უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, საუკუნეთა ქართველების მიუხედავად, კვლავ გრძელდება. ჩვენს კავშირს დიდ ძალას მატებს აფხაზეთში, კომანში დაცული სინმიდე – სარკოფაგი წმიდა იოანე ოქროპირისა, რომელიც საქართველოში აღესრულა.



სტუმრად პატრიარქთან
ყოვლადუნეიძის ბართლომეოს I, კონსტანტინეაოლის,
ახალი რომის მთავარეპისკოპოსი და მსოფლიო პატრიარქი



● 616, 617, 618, 619, 620 ქუთაისში, 1994წ.



● 622 საქართველოს საპატრიარქო რეზიდენცია.
უწმიდესი და უნეტარესი ილია II ოქრის პანადიას
გადასცემს ყოვლადუწმიდეს ბართლომეოს I-ს. 2003 წ.



● 623 გელათი. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შიძინების ტაძარი.
საღმრთო ლიტურგიაზე. 2003 წ.

სტუმრად ვატიკანთან
ყვლაღუწმინდისი ბარტლომეოს I, კონსტანტინეპოლის, –
ახალი რომის მთავარეპისკოპოსის და მსოფლიო ვატიკანში



● 624 შტუტგა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი.
სადმროთ ლიტურგიაზე. 2003 წ.




● 625 წმიდა სამების სახელობის მშენებარე საკათედრო
ტაძარში. 2003 წ.



● 626 იბილისის აეროპორტში. 2003 წ.



● 627 სიონის საკათედრო ტაძარი. საღმრთო ლიტურგიაზე. 1981 წ.



● 628 საქართველოს საპატრიარქო რეზიდენციაში. 1981 წ.

სტუმრად პატრიარქთან

უნეტარესი ნიკოლოზ VI, პაპი და პატრიარქი დიდისა
ქალაქისა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკისა



● 629.630 თავისუფალ დროს. 1981 წ.



● 631 სიონის საკათედრო ტაძარი. პარაკლისი. 1985 წ.



● 632 სიონის საკათედრო ტაძარი. საღმრთო ღვთისმშობლის ხატის წინ. 1985 წ.

სტუმრად პატრიარქთან

უნეტარესი ნიკოლოზ VI, პაპი და პატრიარქი დიდიხა ქალაქისა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკისა



○ 633 მსუღეღობა სიონის საკათედრო ტაძრიდან საპატრიარქო რეზიდენციამდე. 1985 წ.



● 634 საქართველოს საპატრიარქო რეზიდენციაში. 1985 წ.




● 1988 წ. შუგვედრა თბილისის აეროპორტში.



გცოდეთ, უფალო, შშობლების მიმართ უპატივემულობით, შეურაცხყოფითა და გულგრილობით და დაივიწყეთ გაფრთხილება ესე შენი: "წყველიმც იყოს დედ-მამის შემაინებელი" (მეორე სჯული, 27, 16), - როგორც ბრძანებს მეფე სოლომონი.

გცოდეთ უფროსების დამცირებით, გარდაცვლილთაღმი ულოცველობით, მათთა ნაშრომთა და ნაღვაწთა დაუტკელობით.

გცოდეთ არაწმიდით ფიქრით, ცილისწამებით, შურით, მეგობართა მიმართ ღალატი, სიუხუილით, ფიცის გატეხით, შფოთით, მრისხანებით, შურიძიებით, სხვისი ქონების მიტაცებით, სიხარბით, ქურდობით, ძალადობით, სიმდიდრის სიყვარულით და მასზე იმედის დამყარებით; შეგვიხედ და გვაპატიე, უფალო: ლოთობა, ნარკომანია, მტრობა და ღვარძლი, სხვისი ნაკლისა და ცოდვების განკითხვა, ეგოიზმი, ჭამისმოყვარება, ქიზებისა და ფულის უაზრო ფლანგვა, გაჭირვებულთა დაუხმარებლობა, პატივმოყვარეობა, პირადი განდიდების სურვილი;

ღმერთო, მოწყალეო, გცოდეთ უსაქმობით, დაზარებით, უმიდობით, აღსარებისა და ზიარების გარეშე ცხოვრებით, მკითხვათ-პარასკევით, ოთხშაბათ-პარასკევსა და სხვათა მარხვათა დარღვევით, შაბათ-კვირას და ღლასწაულებზე წირვის გარეშე ყოფნით, თვითმკვლელობაზე ფიქრით, შეილებისა და სხვა ადამიანების წყველით, შეილებს ჭეშმარიტი რწმენისა და სულიერების გარეშე აღზრდით, არაეკლესიური, ამაო ცხოვრებით და სხვა მრავალი ცოდვით.

ჩვეუცა, უფალო, შენთა მსახურთა - სასულიერო პირთა, გვაპატიე არაღირსებისამებრი მსახურება შენი და განგვემიდენ ჩვენ.

ჰოი, უფალო, მუხლმოდრეკილი გვევდრებით ჩვენთა წინაპართა, სრულიად საკართველოსა და ყოველთა ქართველთა სახელით. მკვიდრთა საქართველოსათა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მყოფთა ჩვენთა თანამემამულეთა სახელით, და შეფთხოვთ, შეგვიწყალებ ჩვენ დიდითა წყალობითა შენითა და მრავალითა მოწყალებითა შენითა აღზოცენ უსჯულობანი და ყოველნი ცოდვანი ჩვენნი. მარჯვენითა შენითა გვასხურე უსუბითა, რათა უფროის თოვლისა განვსკეტაკნეთ.

შეახე ყოვლად წმიდა ხელი შენი სულსა და ხორცსა ჩვენსა, გულსა და გონებასა ჩვენსა და განწმიდენ ივინი.

მწყემსო კეთილო, რომელმან გვზარდა, გვასწავლე და გვეწურთენ წელითა ათასეულნი და მრავალთა განსაცდელთაგან საკვირველად გვიხსენ, აწცა მოგვხედ მოწყალებითა.

შეჭირებულნი გვედრებით, აღადგინე და განამტკიცენ საზღვარნი საქართველოსანი, დლოცე მამული ჩვენი და ყოველი მკვიდრი მიწისა ამის. მტერნი და მებრძოლნი ჩვენნი მოყვარედ მოაქციე, მოგვეცე, მოწყალეო, შეუორგულებელი სიყვარული ღვთისა და მოყვასისა. შვეილობა, სიბრძნე, თავმდაბლობა, სიხარული, გული ვინიერი, უნარი ცოდვათა მიტეგებისა. შთავგაცეი სამოსელი სეტეაკი ნათლისობისა შენისა და შეგვარტყი ძლიერებაი შენი, რათა ვიყთ ჩვენ ყოველნი ერთ სამწყსო და შენ იყო მწყემსო მხოლოი.

ჭეშმარიტად ცოდვათა ჩვენთა ზღვა აღძრულ არს და დანთქმას ვეიქადის, მაგრამ შენზედა მონღოლებნი, უფალო, ვსალოებთ, რომ ჩვენზეც აღსრულდება ნათქვამი შენი: "მეწაჟულიც რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით განვასეტაკო; ჭიაფვირვით წითელიც რომ იყოს, მატლის ფთისასავით გაქციო". ნისლივით წარვზოცაკ უსჯულობათა შენთა და ღრუბელივით - ცოდვათა შენთა; დამიბრუნდი, რადგან მე გამოიგისიდე შენ" (ისაია, 1, 18; 44, 22).

უფალო ჩვეწო, გულთამხილველო, ისმინე და შეიწირე აღსარებაი ჩვენი მეოხებითა ყოვლადწმიდისა დიდისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და ყოველთა წმიდითა შენთა.

აჰა, უფალო, დავიბრუნდით, აი, სინანული ჩვენი. შენნი ვართ, გვაცხოვრებ ჩვენ სახელთა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა. ამინ!

*თბილისის ყოვლადწმიდა სამების მშენებარე ტაძარი ელას მთაზე
შობა ქრისტესი, 6 იანვარი, 2000/2001 წელი*



© 850

ადამიანი შესაქმის ყველაზე დიდი და გამოუცნობი საიდუმლოა. თითოეული პიროვნების სულიერ სამყაროში ორი მიმართულება უპირისპირდება ერთმანეთს; მასშია მსგავსება ღვთისა და ცოდვით დაცემული ბუნება კაცისა, მასშია სიმძალე და სიმდაბლე, თავისუფლება და მონობა, ძალა დიდი სიყვარულისა, თავდადებისა და ასევე მდაბალი გრძნობა უნაპირო ეგოიზმისა და დიდი სისასტიკისა; მასშია აღდგომისა და ამაღლების უნარი და დაცემისა და ყოველივეს განადგურების შესაძლებლობა. არჩევანის უფლება ღმერთმა ჩვენ მოგვანიჭა. ჩვენზეა დამოკიდებული, რომელ გზას გავყვებით.

მართალია, უცოდველი მხოლოდ უფალია, ადამიანი კი მიდრეკილია ცოდვისაკენ, მაგრამ არ არსებობს ცოდვა, ღვთის სიყვარულს რომ აღემატებოდეს და ჭეშმარიტი სინანულით, აღსარებითა და ზიარებით მისი შენდობა არ შეიძლებოდეს.

ცოდვათა დაძლევის პროცესი ადვილი არ არის და იგი დიდ შრომასა და ნებისყოფას ითხოვს, მაგრამ ამავე დროს ეს არის შინაგანი ნეტარებისა და მადლის მომნიჭებელი ღვანლი, მსვლელობა ცად აღმყვანებელ კიბეზე, რომლის თითოეული საფეხურის დაძლევა გარკვეული გამოცდის ჩაბარების ფასად ხდება. ამიტომაც არ უნდა შევეშინდეთ განსაცდელს. იგი საშუალებაა სულიერი წრთობისა და ცოდვათაგან განთავისუფლებისა. იგია ნიშანი სულიერი კიბეზე ზესვლის დაწყებისა, ხოლო, ვინც არ შესდგომია ამგვარ ამაღლებას, იგი შორსაა სულიერი ბრძოლისა და განსაცდელისაგან.

ქეშმარიტი სინანული სულიერი განწმედისა და ამაღლების ხანგრძლივი პროცესის შედეგია; ეს არ არის ერთი და ორი დღის ან თუნდაც რამდენიმე თვის შრომა, არამედ იგია ღვანლი მთელი ცხოვრებისა.

რაოდენ ამაოა და საწყალობელია ყოფა მათი, რომელთაც ისე გალიეს ეს ნუთისოფელი, რომ მხოლოდ მიწიერ სიკეთეთა (ქონების, მდგომარეობის, უზრუნველი ცხოვრების, პატივისა და თანამდებობის) მოხვეჭა დაისახეს ცხოვრების მიზნად და მარადიულ ღირებულებებზე არც კი დაფიქრებულან.

ნუთუ ნებისმიერი თაობა (თუნდაც ცალკეული ინდივიდი) არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ უაზროდ მოკვდეს ყოველი ახალი თაობის მოსვლის შემდეგ, რომელმაც ზუსტად იგივე ბედი უნდა გაიზიაროს, როცა ცვლად მისი შთამომავლობა მოვა?!

ნუთუ პიროვნების, გვარის, ტომის, ერის არსებობა ნიშნავს უმიზნოდ მცხოვრები მუდმივად მკვდომი ადამიანების თუ თაობების ცვლას?!

ვინც ამგვარად ფიქრობს და ცხოვრობს, მარადიული სიკვდილისთვის სწირავს თავს და ასეთი დამოკიდებულებით სიცოცხლეს საშინელ ტყუილად და დიდ უაზრობად აქცევს. ეს კი არის უდიდესი დანაშაული ღვთისა და საკუთარი თავის წინაშე.



● 851

თანამედროვე ადამიანის ტრაგედია იმაშია, რომ კულტურა და მეცნიერება (განსაკუთრებით ფილოსოფია) დიდად დასცილდა ეკლესიას.

ბევრს ეჩვენება, რომ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები დადასტურებაა ადამიანური გონების სრულყოფილებისა, და ჰგონიათ, რომ მას შეუძლია დროთა ვითარებაში ახსნას მთელი სამყაროს საიდუმლოებანი; ამიტომაც შემოქმედისადმი რწმენა ნაკლებად გაცნობიერებული საზოგადოების გამოვლინებად და დღეისათვის სრულიად ზედმეტად მიაჩნიათ, ანდა – იმდენად მისაღებად, რამდენადაც შეიძლება იგი გამოადგეთ მოსახლეობის „დაბალი“ ფენების მართვის საშუალებად.

ისინი უარყოფენ სასწაულს, რადგან ნებისმიერ სასწაულში არის ის, რასაც ლოგიკითა და მიწიერი კანონებით ვერ ახსნი.

მორწმუნეთათვის კი ცხოვრება, ღვთისა და სამყაროში მისი სასწაულების აღიარების გარეშე, წარმოუდგენელია. მშვენივრად თქვა გოეთემ: როგორც არ უნდა მოინდომოს ადამიანი, ბუნება და მასში მიმდინარე პროცესები გონებაზე უნაშთოდ არ იყოფა. ანუ ყველგან და ყველაფერში რჩება ადგილი ირაციონალურისათვის, რწმენისთვის.

რწმენა არ გამორიცხავს მეცნიერებას, პირიქით, მის მიღწევებსა და მტკიცებულებებს იყენებს და ახალი აღმოჩენებისათვის თვითონაც იღვწის (XIX-XX საუკუნეებში არაერთი გამოგონება უკავშირდება მორწმუნე მეცნიერთა და მკვლევარ სასულიერო პირთა სახელებს). მისთვის გასაგებია, რომ ესა თუ ის თეორია ან ჰიპოთეზა შეიძლება ხვალ საერთოდ მიუღებელი აღმოჩნდეს ან უკეთესით შეიცვალოს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ადამიანის გონება და მისი შესაძლებლობები შეზღუდულია და სრულყოფილებისაგან დაშორებული.

მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლება არის ისეთივე, როგორც იყო პირველ საუკუნეებში მაცხოვრისა და მისი მოწაფეების მიერ დადგენილი და წმიდა ეკლესიის მიერ აღიარებული. ეს იმიტომ, რომ იესო ქრისტე არა მარტო სრულყოფილი ადამიანია, არამედ – ჭეშმარიტი ღმერთიც და მისი სწავლება უცდომელია.

რწმენის გარეშე სიცოცხლე ძალიან ძნელი, შიშისმომგვრელი და გაუმართლებელია. სიკვდილი უაზროს ხდის მას და აუხსნელ, მტანჯველ გამოცანად აქცევს. ხშირად მხოლოდ ახლობლის გარდაცვალება, მძიმე ავადმყოფობა ან სხვა რაიმე დიდი ტკივილი იხსნის ხოლმე თავდაჯერებულ ურწმუნოთ სულიერი სიბრმავისაგან.



● 852

თითოეული ჩვენგანის ცხოვრება, ისევე, როგორც წარსული ჩვენი ერისა, განსაცდელითაა სავსე. უფალი ადამიანს უგზავნის სხვადასხვა გასაჭირს, მწუხარებასა და უბედურებას, ათასგვარ სიძნელესა და დამცირებას, რათა მან, ბოლოსდაბოლოს, შეიცნოს თავი თვისი. განგიცდია შენ ეს ყოველი?– ეს სისასტიკეა, – შეიძლება თქვა ან გაიფიქრო; მაგრამ სხვა გზა არ არსებობს. როდესაც განცხრომით ცხოვრობ, გავიწყდება ყველაფერი: ღმერთიც, შენი უკვდავი სულიც, გავიწყდება, რომ მდგმური ხარ ნუთისოფლისა და ზესთა სოფელს დაემკვიდრები. როდესაც არ იცი, რა არის გაჭირვება, ფიქრობ, რომ ბედნიერი ცხოვრება შენით მოიპოვე და ეს მუდამ ასე იქნება; ამ დროს მოდის შენთან უფალი და ცდილობს, გაგაღვიძოს; გაგათავისუფლოს ზურანისაგან. საწოლ ოთახში განაცალკევებს, ავადმყოფობის სარეცელს დაგიგებს... თუ იცი, რატომ? შენთან საუბარი სურს, სურს უნამლოს იმ სენს, შენს სატკივარზე უფრო საშუაში რომაა, სურს მიეახლოს შენს სულს, რათა განკურნოს იგი. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდები, რომ მთელი გავლილი ცხოვრება შეცდომებითაა სავსე; და, თუ, ღვთის მადლით, ამას შეიგნებ, უკვე სწორ გზაზე დახარ.

ღმერთმა ძე თვისი გამოგვიგზავნა, რათა მისი არც ერთი მორწმუნე არ დაღუპულიყო, არამედ მოეპოვებინა მარადიული ცხოვრება, რადგან ქრისტეში არის მარადიული ცხოვრება, რადგან ქრისტეში არის სიცოცხლე და სიცოცხლე იგი არის ნათელი კაცთა (იოანე, 1, 4). ეს ნათელი განგვაშორებს ბნელს; იგია ნათელი იმედისა და სიხარულის მომტანი და, ამავე დროს, მამხილებელი, განწმენდისაკენ მომწოდებელი. იესოსმიერი ნაბლით უნდა შევხედოთ ჩვენს თავს და გამოვიკვლიოთ იგი, თუ გვსურს სწორად ვიცხოვროთ, სწორად შევაფასოთ მოვლენები და თვით ჩვენ გავხედოთ ძე ნათლისა.

როდესაც მორწმუნე ადამიანი რეალურად შეხედავს ცხოვრებას, თავის გარემომცველ სამყაროს, მიდის დასკვნამდე, რომ მიწიერი ჩვენი ცხოვრება – ეს არის მხოლოდ ნაწილი რაღაც დიდისა, განუსაზღვრელისა, ეს არის მხოლოდ მომზადება მარადიული და უკვდავი ცხოვრებისათვის.



● 833

ზოგჯერ, როცა ადამიანს მწუხარება ეწვევა, იგი იმდენად იბნევა, რომ ხსნას ვეღარ პოულობს. მის წარმოდგენაში ისე მძიმდება გარემო, რომ გამოსავალს თვითმკვლელობაში ხედავს. ურწმუნოების გამო ჰგონია, თითქოს ამით განსაცდელისაგან იხსნის თავს, სინამდვილეში კი სულს სწირავს მარადიული ტანჯვისათვის, რადგან თავისი ნებით აბარებს მას ეშმაკს. თვითმკვლელისათვის (თუ იგი შეურაცხადი არ არის) ლოცვაც კი არ შეიძლება, არ შეიძლება პანაშვიდის გადახდა და წესის აკება. უნდა გვახსოვდეს, გაჭირვების ჟამს სულით არ უნდა დავეცეთ, რადგან ნებისმიერ მდგომარეობაში გამოსავალი მაინც მოიძებნება, ოღონდ კეთილგონიერებას უნდა მოვუხმოთ და ღმერთს მივუხლოთ.

ის, ვინც ამ საშინელ ნაბიჯს დგამს, გმობს სულიწმიდას და უმძიმეს დანაშაულს სჩადის ღვთისა და საკუთარი სულის წინაშე. იგი ფიქრობს, თითქოს ამ გზით განთავისუფლდება იმ წამებისაგან, რაც მას მიწიერ ყოფაში ერგო; ავიწყდება კი, რომ თავს სწირავს გაცილებით უფრო საშინელი და თანაც მარადიული სატანჯველისათვის, რომლისგანაც მას უკვე ვეღარავინ იხსნის...

თვითმკვლელობის მსგავსი ცოდვაა ლოთობა და ნარკომანია, რომელთაც პიროვნებები სრულ გადაგვარებამდე მიჰყავთ. თანამედროვე ყოფისთვის დამახასიათებელი ეს ორი სენი განსაკუთრებით საშიშია მცირერიცხოვანი ერებისათვის...

ქვეყნისათვის ნარკომანია უფრო საშიშია, ვიდრე ომი, რადგან ამ დროს ადამიანი იღუპება როგორც ფიზიკურად, ისე – სულიერად...

ლოთის ან ნარკომანის ოჯახი, როგორც წესი, არამყარია. ასეთი მშობლების შვილები შეუძლებელია არ იყვნენ დალდასმულნი.

ასეთმა პიროვნებებმა უნდა გააცნობიერონ თავისი მდგომარეობა და იფიქრონ ხვალინდელ დღეზე. ბოროტის ჩაგონებით მათ ხშირად გულგატეხილობა ეუფლებათ და გამოსწორების იმედი ეკარგებათ, რაც მცდარი აზრია...

აუცილებელია, მათ დაიჯერონ, რომ სწორ გზაზე დადგომა არასოდეს არ არის გვიან, შეიგნონ და დაინახონ თავისი დამლუპველი ცხოვრების წესი, გადაწყვიტონ მისგან განთავისუფლება და გულით სთხოვონ უფალს შემწეობა. ეკლესიაში მრავალი ადამიანი ისეთი, რომელთაც ღვთის დახმარებით შეძლეს ამ სენისაგან თავის დაღწევა და ნორმალური ოჯახური ცხოვრების აღდგენა.

ვიმეორებთ, უფალი შეგენევით, მთავარია გადაწყვეტილების მიღება.

ნარკოტიკების მიღება ცოდვაა, მაგრამ გაცილებით მძიმე ცოდვაა მისი გავრცელება. ამის ჩამდენი, ფაქტობრივად, ადამიანთა მასობრივი სულიერი და ფიზიკური მკვლელობის თანამონაწილეა და ამიტომაც ღვთისაგან სასტიკად დაისჯება. მეტად შემაშფოთებელია, რომ საქართველოში ორგანიზებული ნარკობიზნესი სულ უფრო დიდ მასშტაბებს იღებს. არის საშიშროება იმისა, რომ საქართველო ნარკობიზნესის სატრანზიტო ქვეყნად იქცეს. მე თხოვნით მივმართავ ხელისუფლებას, სამართალდამცავ ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებს, ახალგაზრდებს, მთელ ერს, რათა მათ ყველაფერი იღონონ მდგომარეობის რადიკალური გამოსწორებისათვის.



● 554

ეკლესია ყოველთვის იცავდა ოჯახის სიმტკიცესა და ხელშეუხებლობას. აბორტი და მუცლადღებული ჩვილის სიცოცხლის მოსპობის ყოველგვარ მცდელობას ეკლესია ყოველთვის მკვლევლობად მიიჩნევდა. წმიდა ნერილზე დაყრდნობით, ეკლესიამ საუკუნეების მანძილზე გამოიმუშავა ქრისტიანული ქორწინების, შვილიერების, ოჯახური ცხოვრების მტკიცე კანონები, რომელთა დარღვევა არავის ეპატიება.

ეკლესიის მიერ იმთავითვე აღიარებული ფაქტია და თანამედროვე მედიცინაც მეცნიერულად ამტკიცებს იმას, რომ ადამიანი ჩასახვისთანავე იწყებს დამოუკიდებელ არსებობას და იგი უკვე პიროვნებაა. აღარაფერს ვამბობთ 7, 10, 12 კვირის ნაყოფზე, რომლის ქმედებანიც ადამიანური ჩვევების აშკარა გამოვლინებებით ხასიათდება. ამიტომაც არანაირი მნიშვნელობა არა აქვს სამი თვის (უფრო მეტი ხნის, ან უფრო ნაკლების) მუცელში მყოფ ყრმას მოკლავს დედა, თუ უკვე დაბადებულ სამი თვის (ან თუნდაც 10, 20, 30 წლის) შვილს. რატომ არის ნებადართულად და ჩვეულებრივ მოვლენად მიჩნეული პირველი შემთხვევა, მეორე კი – დიდ დანაშაულად და საერო სამართლის სასჯელს დაქვემდებარებული, – ეს ხომ ანომალიაა?..

რა შეედრება იმ ცოდვის სიმძიმეს, როცა ესა თუ ის პიროვნება საკუთარი შვილის უმოწყალო მკვლელობაზე; აბორტის გამო პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც დედას, ისე – მამას (თუ ეს მისი თანხმობითაც მოხდა). ჩვენი საზოგადოება საესეა შვილისმკვლელობებით და ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ მათ, ამ ცოდვის სიმძიმის შესაბამისად, ღრმა სინანულის განცდა არა აქვთ...

ჩვენო დედებო, ჩვენო მშობლებო, ჩვენო საყვარელო სულიერო შვილებო, ნუ დაიდებთ შვილის მკვლელობის უსაშინლეს დანაშაულს... დადეთ პირობა, რომ აღარ დაუშვებთ თქვენს წიაღს შეფარებული, თქვენს იმედად მყოფი, თქვენდამი საოცარი სიყვარულით გამსჭვალული თქვენი ნაშიერის უმოწყალო მკვლელობას.

ამჟვეყნად პრობლემები არ დაილევია, რადგან ბოროტება ებრძვის სიკეთეს და ამ ბრძოლის მთავარი ობიექტი არის ადამიანი. დედამინაზე განსაცდელისა და ტკივილის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია; წარმოუდგენელია პიროვნება, რომელსაც არ მოუწევს დემონებისგან წაქეზებული ავი და გაბოროტებული ადამიანების თავდასხმებთან შეჭიდება. აი, ამ დროს აუცილებელია, გამოიჩინოთ კეთილგონიერება და მოუხმობთ მოთმინებას, რომ არ მიაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ.



● 855

ოჯახში ნორმალური ცხოვრების დამკვიდრებისთვის აუცილებელია უფროსის პატივისცემა, იერარქიის დაცვა, მოთმინების უნარი. ასევე უდიდესი სათნოებაა თავდადება. ღირსეული მეუღლენი ერთმანეთისა და შვილებისადმი სწორედ მსხვერპლშენიერული სიყვარულით ცხოვრობენ, რაც მოყვასისადმიც მათ ქრისტიანულ დამოკიდებულებას განაპირობებს.

ტრადიციულ ოჯახში ყოველთვის წესრიგია. აქ უფროსები შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობენ, ამასთან, ოჯახის ყოველ წევრს თავისი ფუნქცია, სახე და მოვალეობა აქვს...

ქალი, უპირველეს ყოვლისა, მოსიყვარულე მეუღლე და მზრუნველი დედაა, რომელიც შვილებს ეკლესიურად და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ზრდის...

მამაკაცი უნდა გრძნობდეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ღვთის, სამშობლოსა და ოჯახის წინაშე. მან ყოველგვარ მიწიერზე მაღლა, უფლის შემდეგ, სამშობლო უნდა დააყენოს და უნდა ჰქონდეს მისი დაცვის მოთხოვნილება, საჭიროების შემთხვევაში კი – თავდადების უნარი. ასეთი ადამიანები წარსულშიც იყვნენ და ჩვენს დროშიც მრავლად არიან.

სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის დიდ ნაწილში დაკარგულია განცდა იმისა, რომ უშრომლად ნაშოვნი ლუკმა სანამლავია. რომ ის, რაც ჩვენი ოფლით არ არის მოპოვებული, არ გვეკუთვნის და ეშმაკის მიერ შემოთავაზებული თვალისმომჭრელი საცდურია. ასეთი შხამით ნასაზრდოები ცალკეული ადამიანი თუ, საზოგადოდ, ოჯახი ბედნიერი ვერასოდეს იქნება.

მაღალი თანამდებობა, სიმდიდრე ერთგულებას ვერ გაგიწევს. ის მხოლოდ სამარის კარამდე მიაცილებს ადამიანს და, როგორც ორგული, იქვე ტოვებს; შემდეგ კი ადამიანი რჩება სულ მარტო და თან მიაქვს საქმენი კეთილნი ან ბოროტნი, რომელიც ამქვეყნად უკეთებია.

ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ არ გვმართებს გატაცება მხოლოდ დასავლეთის ან აღმოსავლეთის, თუნდაც ჩრდილოეთის ან სამხრეთის კულტურით, არამედ ერთგულნი უნდა დავრჩეთ ჩვენი ტრადიციის, ჩვენი სულიერი და მატერიალური ღირებულებების. „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“, – როგორც ბრძანებდა დიდი ილია. ამასთან, უნდა შევინარჩუნოთ საუკეთესო ურთიერთობები ყველასთან, მივიღოთ მათგან ის, რაც ჩვენთვის სასურველია, და უხვად გავიღოთ ის, რაც მათ სჭირდებათ და რისი გაცემაც შეგვიძლია.



● 856

თუ პიროვნებას, ხალხს, სახელმწიფოს არ აქვს სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად მტრების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად მთლიანად დაანგრევს ქვეყანას. ის უბიძგებს საზოგადოებას ფსევდოდემოკრატიისა და ცრუ თავისუფლებისაკენ, გააუფასურებს ეროვნულ ღირებულებებს, დაარღვევს ფორმას და შინაარსს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისას.

როგორც ადამიანისათვის მხოლოდ მიწიერი სურვილებით გატაცება არის დიდი ცოდვა და უაზრობა, ასევე უაზრობაა სახელმწიფო ინტერესების შემოფარგვლა მარტო ყოფითი პრობლემებითა და მიწიერი საკითხებით. თუ ხელისუფლებას სურს, არ ჩაეფლოს ამაოების ქაობში და არც თავისი საზოგადოების წევრები განიროს უმიზნო ყოფისთვის, მას (ისევე, როგორც ცალკეულ პიროვნებას) ყოველთვის და ყოველ საქმეში ორიენტირად ცათა სასუფეველი უნდა ჰქონდეს და ყველგან და ყველაფერში ქრისტიანული ცხოვრების წესის დამკვიდრებას უნდა ცდილობდეს. ასეთი სახელმწიფოა სიცოცხლისუნარიანი, სულით ძლიერი და გაუტყეხელი...

აცლებულია, რომ საქართველომ, როგორც ძველმა ქრისტიანულმა სახელმწიფომ, იხელმძღვანელოს ქრისტიანული ეთიკით და ააშენოს ეროვნული სახელმწიფო ჩვენს ტრადიციებსა და მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე დაყრდნობით.

დღეს მსოფლიო პროცესები ახალ გამოწვევას სთავაზობს ყველას. ჩვენმა ერმაც პასუხი უნდა გაცეს გლობალიზაციის მიერ შემოთავაზებულ მოთხოვნებს და თავისი ადგილი და ფუნქცია იპოვოს თანამედროვე მსოფლიოში, რაც აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოების არსებობა კი ქვეყნის წარმატების საწინდარია.

მამულის მსახურება ჭეშმარიტი რწმენით ერთ-ერთი უმთავრესი ღვაწლია; ეკლესიისაგან სწორედ ამ ნიშნით არიან წმინდანებად შერაცხილნი: ცოტნე დადიანი, დემეტრე თავადადებული, ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვანი.

სახელმწიფოებრივი აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, ღირსების, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევა. შეუძლებელია, საზოგადოებას შინაგანად არ სურდეს თავისუფლება და სხვაზე დამოკიდებულებას ამჯობინებდეს; შეუძლებელია, საზოგადოებას არ ჰქონდეს პასუხისმგებლობა წინაპრებისა და მომავალი თაობების წინაშე და მან შექმნას რაიმე ღირებული. შეუძლებელია, ერს არ ჰქონდეს საკუთარი ღირებულების გრძნობა და ააშენოს სრულფასოვანი სახელმწიფო.

უცხო სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული გავლენის ქვეშ ცხოვრებამ ჩვენს საზოგადოებას ეს სამი ძირითადი საყრდენი გამოაცალა. პოსტიმპერიულ საზოგადოებებს კი ხშირ შემთხვევაში უჩნდებათ არასრულფასოვნების განცდა, რაც მათ დამოუკიდებლობის მოპოვების ნაცვლად ხშირად ახალი, „კეთილი“ ბატონის ძიებისაკენ უბიძგებს. ამას შეიძლება პირობითად პროვინციალიზმი ეწოდოს, როცა არასრულფასოვნების განცდის გამო ხდება უპირობო აღიარება სხვისი პრიმატისა, მაქსიმალური დამსგავსება და მონური ლტოლვა მისადმი, საკუთარი ფასეულობების უგულვებელყოფის ხარჯზე.

ამის საპირისპირო მოვლენაა ე.წ. „მესიანიზმი“, რომლის გამოვლინებაა ფუნდამენტალიზმი და ფაშიზმი. ეს იდეოლოგია ამკვიდრებს თავის განსაკუთრებულობას და, აქედან გამომდინარე, სხვებზე მბრძანებლობისა და ბატონობის უფლებას.

ეს ორივე მიმართულება უკიდურესობაა, ინვესს სახელმწიფოსა და საზოგადოების კრიზისს და სრულ კრახს; ამიტომაც იმლებოდა იმპერიები.

ქრისტიანული სწავლებით, ჭეშმარიტია მხოლოდ სამეუფო გზა, რომელიც გამიჯნულია უკიდურესობებისაგან და წარმოადგენს ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების ერთადერთ სწორ ორიენტირს. დღესაც ასე ვითარდება ყველა წარმატებული სახელმწიფო, ეყრდნობა რა საკუთარ ტრადიციას და კულტურათა ურთიერთგამიდრების პრინციპს.

სახელმწიფოებრივი აზროვნება არის იმ საზოგადოებაში, სადაც გააზრებული აქვთ „ჩვენი“ საჭიროების უპირატესობა „მეს“ და „ჩემის“ საჭიროებაზე. ეგოისტური ინტერესების მქონე ადამიანი ზურგმუქეცხვით დგას საზოგადოებისა და სახელმწიფოს პრობლემებისადმი. მას მხოლოდ საკუთარი სახლი აქვს დალაგებული, ზღურბლს მიღმა კი არაფერს აქცევს ყურადღებას.

სახელმწიფოებრივი აზროვნება დიდი მონაპოვარია და იგი მაღალგანვითარებული კულტურის მაჩვენებელია. ჩვენი ერისთვის ტრადიციული ეს თვისება ბოლო 200 წლის მანძილზე ქვეყნის პოლიტიკური, შემდეგ კი – ეკლესიური დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო მეტად დაეცა. ეს პერიოდი ერთ-ერთი უმძიმესია ჩვენს ისტორიაში, რადგან მტრისგან იავარქმნილ საქართველოშიც კი ავტოკეფალური ეკლესია ერს არა მარტო სახელმწიფოებრივ აზროვნებას უნარჩუნებდა, მაქსიმალურად უწყობდა ხელს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების პროცესს.



● 857

თავისუფლება არ არის ყველაფრის უფლება, არამედ იგია მუდმივი თვითკონტროლი და მისი საშუალებით ცოდვის მონობიდან თავის დაღწევა... თავისუფლება მშვენიერია, სასურველი და ახლობელი, მაგრამ იგი, ამავე დროს, საშიშიცაა, რადგან თითოეულ ჩვენგანს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს; თავისუფლება ადამიანს აძლევს არჩევანის, ინიციატივის გამოჩენის, შეხედულებების შეცვლის საშუალებას... მაგრამ, ამავე დროს, პასუხსაც სთხოვს ყველა მის მოქმედებასა და გადანყვებილებაზე.

ჭეშმარიტ თავისუფლებას ზეცად აპყავს ადამიანი, ანიჭებს რა მას მშვიდობას, სიხარულსა და ბედნიერებას; მაგრამ თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა, პირველ რიგში, საკუთარ თავთან და მასში ფესვგადგმულ მანკიერებებთან. ეს რთული პროცესია და იგი სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება. „ შეიცანთ ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება განგათავისუფლებს თქვენ“, – გვარიგებს მაცხოვარი (იოანე, 8,32).

განა შეიძლება ჭეშმარიტ თავისუფლებაზე საუბარი იქ, სადაც უარს ამბობენ ზნეობრივ ცხოვრებაზე და მის ნაცვლად პროპაგანდა ეწევა „ყველაფერი ნებადართულია“ პრინციპს? ნუთუ ნორმალური ყოფა ეთქმის იმ გარემოს, სადაც ადამიანის კატასტროფული სულიერი დაცემის პროცესს თავისუფლებისაკენ სწრაფვად სახელსდებენ და საშინელი ცოდვის მონობას ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობად აცხადებენ?!

ამა თუ იმ პიროვნებას ან საზოგადოებას, რომელიც თუნდაც მორწმუნედ მიიჩნევდეს თავს, შეიძლება საფრთხე ორი უკიდურესობიდან დაემუქროს:

პირველი, – ეს არის ფანატიზმის, კარჩაკეტილობის, იზოლაციისა და თვითდაჯერებულობის მდგომარეობა, მეორე კი, პირიქით, მომდინარეობს თავისუფლების უგუნური გაგებიდან, ზედმეტი ლიბერალიზმისა და ყველაფრის ნებადართულობის პრინციპიდან.

ორივე ეს მიმართულება სინამდვილეში ღვთისაგან გაუცხოების შედეგია.

დღეს ჭეშმარიტ რწმენას ურწმუნოება კი აღარ უპირისპირდება, არამედ – ცრუ სარწმუნოება, რომელსაც ჭეშმარიტების დიდი პრეტენზია აქვს. ნამდვილ თავისუფლებას თვითნებობა და თავაშვებულობა ცვლის, რომელიც ასევე ურცხვად იჩემებს თავისუფლების სახელს.



იმის საშიშროებაც აშკარაა, რომ ჩვენი მთავარი ყურადღება მიპყრობილია ტექნიკური, ეკონომიკური და ფინანსური ეფექტების მიღწევაზე, ურთიერთობის ზნეობრივი მხარე კი სრულიად დავიწყებულია. უფრო მეტიც, ლამის იძულებით ხდება ზნეობრიობის გადაგვარება, ეს კი სულიერი და ფიზიკური განადგურების რეალურ საფრთხეს ქმნის. ღმერთი ნამდვილად არ გვაპატიებს თავაშვებული ცხოვრების წესის დამკვიდრებას და ეს ყველამ უნდა გაითავისოს.

სამწუხაროა, რომ ტელევიზია და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ყოველგვარი მორიდების გარეშე აჩვენებენ საზოგადოებას სულიერი დაცემის გამაოგნებელ სცენებს, ძალადობასა და ათასგვარ მკვლევობებს და ამით ანგრევენ ჩვენში ღვთის მიერ დადგენილ ზღუდეებს.

არ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ ზნეობრივი სიმახინჯეები ყოველთვის იყო, მაგრამ ადრე ამ თემებზე საუბრისაც კი რცხვენოდათ; ადამიანები აცნობიერებდნენ, რომ ეს არის ცოდვა, და მრავალი მათგანი ჩადენილ დანაშაულს ინანიებდა. ახლა ყოველივე ეს დაშვებულია და ლამის პროგრესულ მოვლენადაც არის მიჩნეული.



● 859

ფაქტი ერთია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა სრულიად მოუშზადებელი შეხვდა „თავისუფლებას“, იმ ალვირახსნილი და მოურიდებელი ცხოვრების წესს, რომლის წინაშეც იგი ასე მოულოდნელად აღმოჩნდა. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ბევრმა ვერ გაუძლოს ცდუნებას, დაემონოს ავხორც ცნებებს და ცხოველურ ინსტინქტებს...

ჩვენ დიდგორის ველი გველის. თითოეულმა ჩვენგანმა, განსაკუთრებით კი – ახალგაზრდობამ, უნდა შეძლოს დავითობა. ოლონდ მათ თავდაპირველად უნდა სძლიონ ცოდვათა შორის უპირველესს – ამპარტავენებას, ყალბ წარმოდგენას, თითქოს ისინი უფროს თაობასთან შედარებით უფრო განათლებულნი, მრავლის მცოდნენი და გონიერნი არიან.

მართალია, თაობათა შორის წინააღმდეგობა ყოველთვის იყო და კვლავაც იქნება, მაგრამ იგი არ უნდა გადაიზარდოს უგულვე-ბელყოფასა და გაუცხოებაში. ახალგაზრდებს მეტი დაფიქრება და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მართებთ; მათ უნდა იცოდნენ, რომ ტელევიზიით, ინტერნეტით, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით მიღებული ცოდნა ზედაპირულია, სიღრმე აკლია და იგი ასეთივე ადამიანებს აყალიბებს. ძველი თაობა კი, მიუხედავად მრავალი ნაკლოვანებისა, უფრო წინდახედული იყო და უფრო ღრმად აზროვნებდა...

თავის მხრივ, მამებმაც მეტი ლმობიერება უნდა გამოიჩინონ შვილებისადმი, რადგან მათ, ჩვენთან შედარებით, კიდევ უფრო რთულ დროს მოუწიათ ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა და გაცილებით მეტი პრობლემები და სიძნელებები აქვთ დასაძლევნი.

თაობათა ერთობა და ერთსულოვნება დღეს ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ეშმაკი ყოფს და აპირისპირებს, ღმერთი კი აერთიანებს და არიგებს.

გარეგნულად ხალისიან ჩვენს ახალგაზრდებში მე ვხედავ სევდას, რომელიც დროდადრო ნელდება, ხან კი ისევე ძლიერდება. ხშირად გაუცნობიერებელი ეს გრძნობა ჭმუნვაა სულისა. წუხილია სინმიდის, სულიერი სიმალლის, ტრასაცენდენტურის მიუწვდომლობის გამო, ღვთისა და ჭეშმარიტების მონატრების გამო.



• 560

დღეს ჩვენ განსაკუთრებით გვანუხებს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირველივე წლებში ჩვენი ერი ცრუ მოძღვრებათა და სექტანტურ მწვალელობათა შეუნელებელი და გამიზნული შემოტევის ობიექტი ხდება, რაც ხშირად ქველმოქმედებისა და ჰუმანიტარული დახმარების ნიღბით იფარება.

სამწუხაროდ, მათ უკვე მრავალი ადამიანის სულის შესყიდვა შეძლეს, რაც ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის ჩვენს ეროვნულ მთლიანობას, ჩვენს ტრადიციებსა და ზნეობას, ჩვენს კულტურას და რაღა თქმა უნდა, ქვეყნის სარწმუნოების გზაზე ჩვენი ერის სვლას.

მართლმადიდებლობა და ქართველობა საუკუნეთა მანძილზე ერთ ცნებას წარმოადგენდა. ეს ასეა დღესაც. ამიტომაც ადამიანი, რომელიც სცილდება მართლმადიდებლობას, ეკარგება ერს.

საქართველოს ეკლესია მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, რათა სექტანტთა და ჩვენი ქვეყნისთვის უცხო ახალ სწავლებათა მოქმედება განისაზღვროს, როგორც რელიგიური ექსპანსია ქართველი ხალხის წინააღმდეგ, და მიღებულ იქნეს გადაამჭრელი ზომები მათი მოქმედების აკრძალვისათვის.

ზოგიერთს იქნებ ჰგონია, რომ მოციქულთა და წმიდა მამათა მიერ დადგენილი ქრისტიანული ღირებულებანი დროის შესაბამისად უნდა იცვლებოდეს. ასეთი ადამიანები სულიერებაში საერთოდ ვერ ერკვევიან და სარწმუნოებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსგავსად განიხილავენ. მათ არ ესმით, რომ მართლმადიდებლობა ეს არის ქრისტეს ეკლესია დედამიწაზე, ქრისტეს ეკლესია კი არის სულიწმინდის მადლით განახლებული სიცოცხლე ქრისტესთან და ქრისტეში.

ქრისტიანობაში სწორედ სათავეები უნდა ეძებოს ჭეშმარიტების პოვნის მსურველმა, იმ წყაროს უნდა მიაგნოს, რომელიც პირველქმნილი მადლით ავსებს მის მიმღებთ და შეურყვნელად იცავს მაცხოვრის სწავლებას...

დიახ, ჭეშმარიტება ერთია და მას ვერ უმეტოქევებს სხვა ნახევრადჭეშმარიტებანი. ეს არ არის ამპარტავენება და სხვათა ზემოდან ყურება, რადგან ჭეშმარიტება დამსახურებისამებრ კი არ მოიპოვება, არამედ იგი ერს ღვთისაგან ეძლევა.

მე ვაფრთხილებ ჩვენს ხალხს, ჩვენს მორწმუნეთ: იყავით დაკვირვებულნი და ყურადღებიანი; ნუ დაკარგავთ ჭეშმარიტებას, ნუ დაკარგავთ ჩვენს სარწმუნოებას, მიწიერ საცდურზე ნუ გაცვლით მარადიულ ცხოვრებას, თორემ მერე გვიან იქნება, რადგან ჟამი ახლო არს.

გახსოვდეთ: „ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის არცა ღმერთია მამა“ (წმ. კვიპრიანე).

უნდა ვიცოდეთ და მუდამ გვახსოვდეს, რომ მართლმადიდებლობაშია ჩვენი ძალა, რომ მხოლოდ მართლმადიდებლობამ შეინარჩუნა ის რწმენა, წესები და ტრადიციები, რომლებიც უფალმა მოციქულებს დაუტოვა. ამიტომაც ჩვენი ეკლესია იწოდება სამოციქულო ეკლესიად და იგი დღემდე იცავს ერთიანი, განუყოფელი სამოციქულო ეკლესიის მრწამსსა და ტრადიციებს.



● 861

როდესაც თანამედროვე ისტორიკოსები და ზოგჯერ ღვთისმეტყველნიც ეკლესიაზე წერენ, უფრო ხშირად მის გარეგნულ მხარეზე ამახვილებენ ყურადღებას, ან წარსულის მიხედვით აფასებენ მის როლს. ეკლესია გაცილებით იმაზე დიდია, ვიდრე ჩვენ გვგონია. ეკლესია მისტიკური სხეულია უფლისა. ეკლესია მასში მყოფი მრევლი კი არ არის მხოლოდ, ან დედამიწაზე მცხოვრები მორწმუნენი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, უფალი, ღვთისმშობელი მარიამი, ანგელოსთა დასი და წმიდანთა მთელი კრებული, შეერთებული მლოცველთა ჯგუფთან; ამიტომაც არის ტაძარი – ცა დედამიწაზე.

სულიწმიდის მადლს მთელი სისასვით ატარებს მართლმადიდებელი ეკლესია. მართლმადიდებლობა არის ადამიანური გონებით შეურყვნელი უფლისმიერი სწავლება რწმენისა და სარწმუნოებრივი ცხოვრების შესახებ, რომელიც ჩვენ უშუალოდ წმიდა მოციქულთაგან გადმოგვეცა.

მართლმადიდებლობა ერთადერთია და შეუცვლელი.

ეკლესიაში ლოცვას ღრმა სულიერი და სასწაულმოქმედი ძალა აქვს. ამიტომაც აგებდნენ ჩვენი წინაპრები ათასობით და ათიათასობით ტაძარსა და მონასტერს. ეს არ იყო მათი მძაფრი რელიგიური განცდის გამოვლინება, არამედ გრძნობა და აღქმა აქ მიღებული დიდი მადლისა. თითოეული მათგანის სინმიდე და ღვთისმოსაობა იყო შედეგი არა მხოლოდ მათი მორწმუნეობისა, არამედ – მათი ეკლესიურობისა. ისინი იყვნენ ნამდვილნი წევრნი ეკლესიისა – ქრისტეს სხეულისა. ამიტომაც არ იყვნენ ჩაკეტილნი ვინრო ეგოისტურ ჩარჩოებში, არამედ ღვთისა და მოყვასის სიყვარულით საცენი ცხოვრობდნენ მარტივად, სათნოდ და მშვიდად.

ისინი კი, ვინც ეკლესიის წიაღში არ იმყოფებიან, შორს არიან ჭეშმარიტი მშვიდობისა და სიყვარულის, უფლის მადლისა და სიხარულისაგან. მათთვის ჯოჯოხეთი უკვე ამქვეყნიდანვე იწყება. ამქვეყნიდანვე იწყება ღვთისსათნო ადამიანთა ზესვლა ცისაკენ და ეს პროცესი მსგავსია ებრაელთა მოგზაურობისა ეგვიპტიდან აღთქმული მინისაკენ.

ჩვენს საზოგადოებაში არის კატეგორია ისეთი ადამიანებისა, რომელნიც თავს ქრისტიანებად მიიჩნევენ, მაგრამ არ სწამთ ეკლესიისა და მის გარეშე ცხოვრობენ. მათი ნაწილი თავს ვერ აღწევს გარკვეულ ფსიქოლოგიურ ბარიერს. მაგალითად, ზოგიერთს არ უყვარს ხალხთან ერთად ლოცვაზე დგომა და ამას თავის გამოჩენად მიიჩნევს, ზოგს არ მოსწონს ერთი კოფიდან ზიარების მიღება, ანდა ვერ ხვდება, რატომ უნდა აღიაროს თავისი ცოდვები მოძღვრის წინაშე და არა ხატის წინაშე და ა. შ. ისეთებიც არიან, რომელნიც ფიქრობენ, რომ ეკლესია მხოლოდ სამაგალითო, წმინდა ადამიანებისაგან უნდა შედგებოდეს და, რაკი აქ ჩვეულებრივ ცოდვითაც და ზოგჯერ დამნაშავეთაც ხედავენ, აღარ სურთ ტაძარში სიარული. ამგვარი დამოკიდებულება ჯერ კიდევ პირველი საუკუნეებიდან მოდის და მას სექტანტური მიმდინარეობა მონატანიზმი ეწოდება.

საერთოდ, ასეთი აზროვნება რელიგიაში სრული გაუცნობიერებლობის შედეგია, რადგან ეკლესიური ცხოვრების გარეშე ქრისტიანობა იგვივა, რაც ქრისტიანობა ქრისტეს გარეშე, ხოლო ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, მათთვისაა, ვინც ცოდვილია და დაღუპვისაკენ მიექანება; ასეთი ადამიანების თავის წიაღში მიღებისათვის ეკლესიის განკითხვა ფარისევლთა ქრისტიანობაა, რადგან ქრისტეს, რომელიც ხშირად იყო მეზვერებთან და ცოდვილებთან, ამის გამო სწორედ ფარისევლნი განკითხავდნენ; უფლის პასუხი კი ასეთი იყო: „არ უხმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ – სნეულთა“.

რჩეული და სინმინდით მცხოვრები ადამიანები, რა თქმა უნდა, არიან ეკლესიაში, მაგრამ მისი კარები ასევე ღიაა გადარჩენის მოსურნე ნებისმიერი ცოდვილისათვის. ეკლესიას ეკუთვნის კაცთა მთელი მოდგმა, დაწყებული სრულყოფისაკენ მიმავალი გზის პირველი უმდაბლესი საფეხურიდან – ნებისმიერ შემდგომ საფეხურამდე.

ადამიანი იმდენადაა გარემოცული მინიერი გრძნობებითა და ფიქრებით, რომ მას ხშირად უძნელდება ღვთიური ნათლის აღქმა. მაგრამ დგება ყამი, როდესაც ყველა ეს გრძნობა და ფიქრი სადღაც ქრება, ადამიანი გადადის სხვა სამყაროში და იბადება ახალი შეგრძნება, შეგრძნება არაამქვეყნიურისა, შეგრძნება რაღაც მშობლიურისა და, ამავე დროს, შორეულისა და მიუწვდომელისა – შეგრძნება ღვთისა.

ჩვენს სწრაფად ცვალებად და ურთიერთდაპირისპირებულ დროში კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ ეკლესია არის ის ერთადერთი გადამრჩენელი ხომალდი, რომელსაც შესწევს ძალა გადალახოს ცხოვრების ზღვის აბოპოქრებული ტალღები და ნაპირზე მშვიდობით მიგვიყვანოს.

უნდა ვიაროთ ბნელიდან ნათლისკენ, ცოდვიდან – სინმინდისაკენ, განკითხვიდან – ყოვლის მიტევებისკენ, სიძულვილიდან – სიყვარულისკენ, მინიდან – ზეცისკენ. ეს გვა ერთადერთია და გულისხმობს ჭეშმარიტ ქრისტიანულ ცხოვრებას, ანუ ეკლესიურობას, რადგანაც აქაა მხოლოდ შესაძლებელი სულიერი სრულყოფის კიბეზე ამაღლება.



● 662

ყველა გონიერ ადამიანს აღელვებს და აინტერესებს არა მარტო საკუთარი ბედ-იღბალი, არამედ – თავისი ხალხის და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს ანმყო და მომავალი. როდესაც უყურებ მიმდინარე პროცესებს, ზოგჯერ გულგატეხილობა გეუფლება; გეჩვენება, თითქოს კაცობრიობა სადღაც უძირო უფსკრულისაკენ მიექანება და აღარ არსებობს ძალა, რომელიც მოახლოვებულ ტრაგედიას შეაჩერებს; მაგრამ ეს ასე არ არის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ის, რაც კაცთათვის შეუძლებელია, ღვთისათვის არის შესაძლებელი. ოღონდ მთავარია, სწორ გზაზე ვიდგეთ და სწორად ვიცხოვროთ.

ისევე, როგორც პიროვნების განსაცდელი, ერის განსაცდელიც ღვთისაგან მისი სულიერი ამაღლებისთვის ხდება. ახლა სწორედ ამ პროცესს გავდივართ და დარწმუნებული ვარ, ღვთის ნებალობით, იგი იქცევა ზეცად აღმყვანებელ ჩვენს სულიერ კიბედ. ის კი, ვინც გაურბის ღვთისაგან დამპყველ ამ გამოცდას და იოლ გზას ეძებს, უარს ამბობს დიდების გვირგვინზე.

ჩვენ არ გვაქვს უფლება პესიმისტური დასკვნები გამოვიტანოთ, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მსოფლიოს ხვალისდელ დღეზე. არ უნდა დაგვაკინწყდეს, რომ ადამიანი ღვთის ხატად არის შექმნილი, რომელსაც შესწევს უნარი დააღწიოს თავი სიბნელის წყვდიადს და აღადგინოს განყვეტილი კავშირი ღმერთთან. ყველაფერი მხოლოდ ჩვენზე, ჩვენს არჩევანსა და სურვილზეა დამოკიდებული. რწმენა, გონიერება, სიყვარული და ნებისყოფა იყო და არის ადამიანის ერთადერთი მკურნალი და დამცველი.

მე მივმართავ მთელ ჩვენს ერს, საქართველოს მოსახლეობას, გადადგით ნაბიჯები ერთმანეთისა და ღვთისაკენ. ეცადეთ ყოველ თქვენს მოქმედებას სიყვარული ედოს საფუძვლად, რათა იყოთ მსახური უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტისი...

თუ ჭეშმარიტად გვსურს, ქრისტიანის სახელი გვერქვას, შევეცადოთ, მტერიც შევიყვაროთ. სიყვარული ის ერთადერთი იარაღია, რომლითაც ბოროტება დაიძლევა და განქარდება.

ჰოი, ღვთიკურთხეულო საქართველოვ, წინასწარმეტყველი დავითის მსგავსად, რჩეულთა შორის ამაღლებულო; ღვთისმშობლის საფარველით დაცულო ივერთ სამკვიდროვ, ანდრია მოციქულისა და წმიდა ნინოს მიერ ქრისტეს ნათლით გაბრწყინებულო და ათთა ბევრთა და სხვა მრავალთა მონამეთა სისხლით მორწყულო; დროშავ სვიანო, უძლეველო, გორგასლიანო, დავითიან-თამარიანო; საიდუმლოთა დიდთა დამტევენელო ენავ ქართულო, ლაზარეს მსგავსად, მკვდრეთით აღმდგარო; ღვთაებრივი სიყვარულის თანაზიარო სულო ქართულო, უტკბილესო ჩანგო ჩვენო, მრავალბმიანო.

შეურყენელი იდექ მტკიცედ, უფალი შენთანა!

გნამდეს, გიყვარდეს, თესე სიკეთე და დატკბი ხელთა შენთა შრომის ნაყოფით, რათა იყო ერთიანი და მთლიანი და იხარო ორსავე სოფელსა შინა. ამინ!

ქართველნო, ერთად – ღვთისაკენ!



● 563

დადგა ჟამი, როდესაც მე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნდა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო:

ღმერთო ძლიერო, მრავალმონყალეო, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, სამებაო, ერთარსებაო და განუყოფელო უფალო, დიდება და მადლობა შენდა! გვედრები, შეისმინე ლოცვისა ჩემისა და მოანიჭე მადლი და ძალა შენი ჩვენს ხალხს; შეცვალე მწუხარება ქართველთა ერისა სიხარულად, შფოთი და მტრობა – მშვიდობად და სიყვარულად.

სწეულნი განკურნე, უცხოეთში მყოფი თანამემამულენი მშვიდობით დააბრუნე, დალოცე და გააძლიერე ხელისუფალნი და მხედრობა ჩვენი, ერი და ეკლესია შენი და მოგვანიჭე მტკიცე და ჭეშმარიტი სარწმუნოება, სიყვარული და იმედი, სიბრძნე და თავმდაბლობა. შეგვმოსე შენი მადლით და წარსდევნე ჩვენგან და ჩვენი ქვეყნიდან ყოველი მტერი და მბრძოლი ჩვენი და აცხოვნე სული ჩვენი, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთმოყვარე.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრო მამულო ჩვენო, უფლის კვართის მადლით სვეტად ცხოველად გამოჩინებულო.

ჰე, ერო ჩემო, ანდრია პირველწოდებულისა და სხვა მოციქულთა მიერ კურთხეულო და წმიდა ნინოს ქადაგებითა და ვაზის ჯვრის ძალით მოქცეულო და მადლმოსილო.

მრავალტანჯულო საქართველოვ, ურიცხვ მონამეთა ცრემლითა და სისხლით გაბზანილო.

გმირთა სამკვიდროვ, არ იყო შენთვის უცხო ლალატიც. ვიყავით და ვართ ბრძენნიც და უგუნურნიც, შეურაცხყოფილნიც და განლაღებულნიც, ცოდვით დამძიმებულნიც და სინანულით დამდაბლებულნიც. მამულს მონყევეტილნი შვილნი შენნი ხმობენ ფერეიდნიდან, ტაო-კლარჯეთიდან, ლაზეთიდან, ჰერეთიდან და ქვეყნის სხვა კიდითგან, მონატრულნი ერთიანი საქართველოს ხილვისა.

უფალო, საკვირველად მწყალობელო ჩვენო, შენ გვაძლევ ძალას, რომ დანგრეული კვლავ აღვადგინოთ, უიმედოს ნუგეში ვსცეთ, მტირალს ცრემლი მოვსწმინდოთ, არ დავემონოთ ბოროტს და, ათას საცდურთა მიუხედავად მაინც გვახსოვდეს, რომ მხოლოდ შენ ხარ „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“.

ჰე, უფალო, გვედრებით, კვლავაც აღხოცე ცოდვები ჩვენი მენამული და განგვასუეტაკე, ვითარცა თოვლი; შენია ცანი და ქვეყანა, შენა ხარ ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული ყოვლისა. შეგივრდებით და გთხოვთ, გაგვხადე ღირსი შენი მეუფებისა, რათა ერთგულნი მადიდებელნი შენნი მარად ვიყოთ ღვთაებრივი სიყვარულით გარემოცულნი.

შენი ვართ, გვაცხოვნე ჩვენ, ამინ!



● 864

როდესაც წუთისოფლის ბნელ გზაზე დაღლილნი და გზააბნეულნი შეეჩერდებით და აღარ გვეცოდინება, საით წავიდეთ, მოგვმადლე ცხოვრებისეულ ქარიშხალში შენი ნათელი სახის ხილვა და შენი მშვიდი გამამხნეველი ხმის გაგონება.

„მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“!



PATRIARCH

**ჰვარისმტვირთველი ქართველი ერის,
ღმერთმა იწება კურთხევა შენი...**

***Endurer of the cross of the Georgian people,
blessed You are through God's will...***

Part 1

List of Photos

- 1 His Holiness and Beatitude ILIA II, Archbishop of Mtsketa and Tbilisi, Catholicos-Patriarch of all Georgia.
- 2 November 23, 1977. Tbilisi. Sioni Cathedral. The 12th Council of the Georgian Church. Metropolitan of Tkhum-Abkhazeti ILIA (Irakli Gudushauri) is elected Catholicos-Patriarch of All Georgia.
3. 4. December 23, 1977. Tbilisi. Sioni Cathedral. The 12th Council of the Georgian Church. Patriarch of Moscow and All Russia PYMEN and representatives of the Orthodox Churches of Alexandria, Russia, Bulgaria, the hierarchs of the Georgian Church and invited delegates.
5. 6. December 23, 1977. Tbilisi. Sioni Cathedral. The 12th Council of the Georgian Church. The newly elected Patriarch of All Georgia ILIA II.
7. December 25, 1977. Mtskheta. Svetitskhoveli Cathedral. Enthronement. Bishop of Alaverdi GREGORY (left), Bishop of Manglisi GIORGI (right). The foremost hierarch of the Georgian Church is entrusted with the historic mitre of Patriarchs.
8. 9. December 25, 1977. Mtskheta. Svetitskhoveli Cathedral. The Divine Liturgy.
11. The Catholicos-Patriarch's parents. 1932.
Father – Giorgi Gudushauri.
Mother – Natalia Kobaidze.
Brothers – Teimuraz, Shota and Victor.
12. The icon corner in the parental home.
13. Irakli Gudushauri, a student at Moscow Theological Seminary. His brother, sister and sister-in-law. 1953.
14. The Parents of Catholicos-Patriarch ILIA II, a close friend of the family, clergyman and His Holiness' nephew.
15. Priest Giorgi (Malania). The priest who celebrated the Holy Matrimony for the Catholicos-Patriarch's parents.
16. Protecting Veil of the Theotokos Church in Vladikavkaz. The church was built by the Catholicos-Patriarch's parents in 1947.
17. Vladikavkaz. 1997. Catholicos-Patriarch of All Georgia ILIA II is in the church built by His parents. He celebrates the Divine Liturgy marking the 50th anniversary of its consecration.
18. An Inscription on the church in Vladikavkaz; it reads that the church was initially built by Giorgi and Natalia Shiolashvili in 1947.
19. Vladikavkaz. A renewed temple erected on the site of the church built by His Holiness' parents. 1997.
20. Archimandrite Tarasi (Kandelaki). He baptized the three-day-old baby Irakli Gudushauri-Shiolashvili on the day of the Nativity of Our Lord Jesus Christ. Sister Zoié (Dvalishvili), His Holiness' God-Mother. 1933.
21. Metropolitan ILIA and His God-Mother, sister Zoié (Dvalishvili). 1976.
22. Irakli Gudushauri-Shiolashvili in the sixth grade; the first pupil in the second row (far right). 1947.
23. Irakli Gudushauri-Shiolashvili, a school-boy. 1949.
- 24.25. 1952-1960. The years spent at the Academy.
- 26.27. 1952-1960. The years spent at the Academy.
28. The 12th year of graduation at Moscow Theological Academy. 1956-1960.

29. 30. Archdeacon ILIA. 1957.
31. Monkpriest ILIA. 1959.
32. Catholicos-Patriarch of All Georgia EPREM II and Abbot ILIA. 1961.
33. Catholicos-Patriarch of All Georgia EPREM II and Archimandrite ILIA host Patriarch-Catholicos of All Armenians VAZGEN I. 1962.
34. Archimandrite ILIA. 1963.
35. ILIA, Bishop of Shemokmedi. 1965.
36. With Catholicos-Patriarch of All Georgia EPREM II. 1965.
37. Bishop ILIA, the Rector of the only functioning at that time theological school in Georgia, 1965.
38. The Theological Seminary of Mtskheta. Catholicos-Patriarch of All Georgia EPREM II and Metropolitan ILIA are hearing students at an examination. 1969.
39. The village of Sno. A prayer service on the day of commemoration of St. Aphinagenos. 1970.
40. With Catholicos-Patriarch of All Georgia EPREM II. 1971.
41. Tbilisi. Sioni Cathedral. The 11th Council of the Church of Georgia. Catholicos-Patriarch DAVID V is elected. The future Patriarch of Georgia ILIA II (right). The future Patriarch of Russia ALEKSY II (left). 1972.
- 42.43. Tbilisi. Sioni Cathedral. The 11th Council of the Church of Georgia. 1972.
44. Catholicos-Patriarch of All Georgia DAVID V, Patriarch of Moscow and All Russia PYMEN and Metropolitan ILIA at Samtavro Monastery. 1972.
45. Zagorsk. Metropolitan ILIA attends Christian Peace Conference. 1973.
46. With Catholicos-Patriarch of All Georgia DAVID V. 1976.
- 47.48.49. Catholicos-Patriarch of All Georgia DAVID V and Metropolitan ILIA host His Holiness MAKSIM, Patriarch of Bulgaria. 1976.
50. His Beatitude NICHOLAS VI, Pope and Patriarch of Alexandria and All Africa pays a visit to Metropolitan ILIA in the diocese of Tskhum-Abkhazeti. 1977.
51. Tbilisi, Metropolitan ILIA and Catholicos-Patriarch of All Armenians VAZGEN I, Metropolitan ZINOBIUS (Mazhuga), who tonsured the future Catholicos-Patriarch ILIA II (left). 1977.
- 52.53. 54. His Eminence ILIA.
55. 56. Tbilisi. Sioni Cathedral. Catholicos-Patriarch of All Georgia DAVID V has reposed. 1977. The service of last rites for the departed Patriarch.

Quotations

pp.

8. Wondrous is God's will. His lovingkindness is boundless. Truly, by the Lord's Providence and His Mercy, I, the humble, am standing before you, under the arches of this temple, as the Patriarch of the Apostolic Church of Georgia.
 I am well aware of how burdensome and, at the same time, honourable is the duty, which the Most High God has laid on my shoulders.
 I bow my knee before His Power and worship His name clothed with everlasting light.
 I bow my head to the Church of Georgia and its parish, the Georgian people, who I am ready to serve to with all my mind and strength.
11. I implore the Most Holy Mother of God, the Prayer for our souls to the Lord, that She may strengthen our people in faith and love, for, indeed, these two are the forces which can save Georgia.
14. I don't remember myself ever living without the faith and love... All my family were believers and my parents infused love for God in us. At home we always kept icons with a lamp permanently burning in their corner. As a rule, in the evening we all listened to the evening prayers.

 My childhood passed through a very tough period for the Georgian Church. The clergy were persecuted, churches were closed. People couldn't go to church for fear. Our home often served as a safe place for the persecuted clergymen providing them with shelter for many months. These people would leave an unfadable trace on my personal way of thinking and character.
32. Overwhelming sorrow has filled the Church today, for our loving Father has left us. Full of faith, love and hope, He devoted all His life and strength to the Georgian people and the most ancient Church of Georgia, the Church of everlasting light. And now, at this hour of grief, we, first of all, recall His spiritual precepts, His good deeds, favoured by God.

Part 2
In The Various Places of Georgia
List of Photos

- 57.58. Batumi. 1989.
59. Skhalta. 1989.
60. 61. Skhalta. 1989.
62. Batumi. 1989.
63. Skhalta. 1989.
64. Skhalta. A memorial service - a gathering to grieve over and remember the victims of the April 19th tragedy. 1989.
65. Skhalta. 1989.
- 66.67.68.69. Skhalta. 1989.
70. Batumi. 1989.
- 71.72.73.74. Batumi. 1990.
75. 76. Batumi. Home for the Old and Handicapped. 1996.
77. Batumi. 1996.
78. Sukhumi. 1978.
79. Sukhumi. 1979.
80. Gagra. 1990.
81. Gantiadi. 1990.
82. Komani. Consecration of St. John Chrysostom Temple. 1990.
- 83.84.85. Komani. At the spring of St. Vasilisko. 1990.
86. Bodbe. St Nino Convent. 1990.
87. Bodbe. 1990.
88. Bodbe. At the tombstone of St. Nino. 1990.
89. Kvareli. Ilia Chavchavadze's House Museum. 1984.
90. Kvareli. The Divine Liturgy in honor of Ilia the Righteous. 1989.
91. Kvareli. 1989.
92. Kvareli. 1989.
93. 94. Kvareli. 1990.
95. 96. Davidgareji Monastery. The renewal of religious service. 1989.
97. Davitgareji. The desert of John the Baptist. 1989.
98. 99. Davitgareji. 1989.
- 100.101. Iqalto. 1989.
102. Mirzaani. At Pirosmeni's museum. 1989.

103. Telavi. 1989.
104. Nukriani. 1989.
105. Sagarejo. 1989.
106. Sagarejo. 1989.
107. Khashmi. 1989.
108. Gremi. 1989.
109. Gurjaani. 1989.
110. Lagodekhi. 1989.
111. Lagodekhi. 1989.
112. Shuamta. 1989.
113. Tsitetskaro. 1989.
114. Tsitetskaro. 1989.
115. Tsitetskaro. 1989.
116. Alaverdi. 1989.
- 117.118. Alaverdi. At the tombstone of Reverend Father Joseph of Alaverdi. 1989.
119. Menjl. 1982.
120. Zugdidi. 1989.
121. Sujuna. 1989.
122. Khobi. 1989.
123. Martvili. 1989.
124. Patara Sujuna. 1989.
- 125.126. Tsalenjkhva. The museum of a famous Georgian writer - Leo Kiacheili. 1989.
127. Martvili. 1989.
128. Senaki. 1989.
129. Poti. 1989.
130. Senaki. Meeting the mother of a national hero - Zhiuli Shartava. 1988.
131. Senaki. 1988.
132. Teklati. Catholicos-Patriarch ILIA II at the grave of his spiritual father, Archimandrite Shio Dzizava. 1988.
- 133.134.135. Poti. 1988.
136. Gelati. At the grave of St. King David the Builder. 1989.
137. Gelati. 1989.
138. Gelati. 1989.
139. Gelati. 1989.
140. Kutaisi. 1989.
- 141.142. Kutaisi. 1989.

143. Kutaisi. 1989.
144. Kutaisi. 1999.
145. Kutaisi. 1999.
146. Ambrolauri. 1992.
- 147.148. Chrebalo. 1999.
149. Lentekhi. 1999.
150. Mestia. 1999.
151. Mestia. 1999.
152. Mtskheta. Svetitskhoveli Cathedral. 1981.
- 153.154. Mtskheta. Svetitskhoveli Cathedral. The Divine Liturgy commemorating the 860th anniversary of the Didgori Battle. 1981.
155. Mtskheta. Samtavro St. Nino Convent for nuns. 1983.
156. Mtskheta. In the yard of Svetitskhoveli Cathedral. On the day of canonizing Illia Chavchavadze. 1987.
157. Mtskheta. Samtavro St. Nino Convent for nuns. The 12th anniversary of Catholicos-Patriarch ILIA's enthronement. 1989.
158. The Lake of Paravani. On St. Nino's way, from the Lake of Paravani to Mtskheta. 1990.
- 159.160.161. Mtskheta. Svetitskhoveli Cathedral. Meeting with a group of prayers, who followed in the footsteps of St. Nino from the lake of Paravani to Mtskheta.1990.
162. The monastery for Monks in Shiomgvi. A prayer service at the Tomb of St. Shio of Mgvime. 1990.
163. Shiomgvi Monastery for Monks. The Divine liturgy. 1990.
- 164.165. Zedazeni. At the grave of Rev. father John of Zedazeni.1990.
166. Mtskheta. Baptizing at the estuary of the rivers Mtkvari and Aragvi.1990.
- 167.168.169. Mtskheta. Svetitskhoveli Cathedral. Great Thursday. Myrrh sanctifying. 1995.
- 170.171.172. Mtskheta. Svetitskhoveli Cathedral. The 13th open council of the Georgian Church. 1995.
- 173.174. Mtskheta. Svetitskhoveli Cathedral. The Inauguration of the Georgian President Edward-Giorgi Shevardnadze. 2000.
- 175.176. Mtskheta. Baptizing at the estuary of the River Mtkvari and Aragvi. 2000.
- 177.178.179. Gori. 1990.
- 180.181. Urbnisi. St. Neophyte of Urbnisi Cathedral. A council of the Holy Synod. 2003.
182. The theater in Gori. A scientific conference dedicated to the 900th anniversary of Ruis-Urbnisi Clerical Council. 2003.
- 183.184. Didgori. 1989.
185. Akhaldaba. 1989.
- 186.187. Kaspi. The Elevation of St. Nino's Holy and Life-Giving Cross. 1991.
188. Bolnisi. All-Holy Theotokos' Assumption Church. The day of renewing a religious service. 1989.
- 189-190. Dmanisi. 1989.

191. Tsalka. 1982.
192. Tsalka. 1990.
193. Rustavi. The consecration of St. King Vakhtang Gorgasali Temple. 1990.
194. Rustavi. St. King Vakhtang Gorgasali Temple. The Devine Liturgy. 1995.
195. Rustavi. Meeting with steelworkers. 1995.
- 196.197. Rustavi. 1996.
198. Teleti. St. George Monastery for monks. 1996.
199. Shavnabada. St. George Monastery for monks. 1996.
200. Shavnabada. St. George Monastery for monks. Tbilisi Secondary School of "Shavnabada". With the school Children. 2003.
- 201.202. Kazbek. 1989.
- 203.204.205. Dariali Canyon. A prayer service on the site where Archangels Michael and Gabriel monastery is to be built. 1990.
206. Sno. Baptizing in the river of Ruistskali. 1990.
207. Dariali Canyon. Together with the members of the Georgian Holy Synod. 1999.
208. Holy Trinity Monastery for monks in Gergeti. The Divine Liturgy. 1999.
209. Sno. St. George Church. The Divine Liturgy. 1999.
210. Dariali Canyon. St. Queen Tamar's Castle. 1999.
